

178 /
1970/2



საბჭოთა საქართველო

საქართველოს კვებისა და სანელებლების მინისტრის განკარგულებაში

1970

5

საბჭოთა სამართალი

№ 5
კომუნისტური
რევოლუცია

სექტემბერი — ოქტომბერი
1970 წელი
გამოცემის XVII წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან აკრედიტირებული კომისიის ორგანო
ო რ ტ ვ ი უ რ ი ჯ უ რ ნ ა ლ ი

შინაარსი

საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის

საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სათავეებთან 3


საბჭოთა აზერბაიჯანის 50 წლისთავისათვის

ა. მილმანი — აზერბაიჯანის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა	12
ბ. მოვსუშოვი — სახალხო სასამართლოების შექმნა აზერბაიჯანში	17
ი. ინჭკირველი — ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის სამართლებრივი კულტურა	23
ო. გამყრელიძე — შუაობითი ამსრულებლობის ცნება	33
მ. უგრეხელიძე — გაუფრთხილებლობის ზოგიერთი ნაირსახეობის შესახებ	42
ი. ხიონიძე, გ. ყურაშვილი — გატაცების ხელშემწყობ გარემოებათა აღკვეთა წინასწარი გამოძიების სტადიაში	48

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას

გ. შონია — ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილების წესი	54
გ. ხარატიშვილი — ქართველი ადვოკატების მოღვაწეობა მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნების დარგში	57
ი. ტყეშელაშვილი — 1864 წლის სასამართლო რეფორმის შეფასება გაზეთ „დროების“ ფურცლებზე	72
ო. პინტო — გაშუშებზე მონადირე	76
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	90
ინფორმაცია	92
მოკლე ცნობები	93
ნაკვესები	95

90706





СОДЕРЖАНИЕ

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

У истоков правосудия Советской Грузии 3

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОГО АЗЕРБАЙДЖАНА

А. Мильман — Создание Азербайджанского Советского государства 12
 Г. Мовсумов — Создание народных судов в Азербайджане 17
 Ю. Инцкирвели — Повысить правовую культуру советского народа 23
 О. ГамкRELИДзе — Понятие посредственного исполнительства 33
 М. Угрехелидзе — О некоторых разновидностях неосторожности 42
 И. Хиониди, Г. Курашвили — Пресечение обстоятельств, способствующих хищению в стадии предварительного следствия 48

ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ НАСЕЛЕНИЮ

Г. Шониа — Порядок персонального распределения молодых специалистов 54
 Г. Харатишвили — Деятельность грузинских адвокатов в области науки, публицистики, литературной критики и искусства 57
 Ю. Ткешелашвили — Оценка судебной реформы 1864 года на страницах газеты «Дрозда» 72
 О. Пинто — Охотник за шпионами 76
 Критика и библиография 90
 Информация 92
 Краткие заметки 93
 Остроты 95

სარედაქციო კომლეზია

შპს № 2985
 ტირაჟი 18.500
 შპ 07695

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
 ბ. ბარათაშვილი, თ. ლალიანი, გ. ინწკირველი,
 აკ. კარანაძე, მ. ლომაძე, ვ. მაისურაძე,
 ზ. რატინი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩიხია,
 თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაცვა წარმოებას 7/X-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI-70 წ., ქალაქის ზომა 70×108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4

საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სათავეებთან

ახლოვდება საბჭოთა საქართველოს არსებობის 50 წლისთავი. ამ დღის-
შესანიშნავ თარიღს ადფრთოვანებით ეგებება ქართველი ხალხი, მთელი
ჩვენი დიდი სამშობლო.

1921 წლის 25 თებერვალი ახალი სოციალისტური საქართველოს ის-
ტორიულ ნიშანსვეტს წარმოადგენს. ამ დღეს საქართველოში გაიმარჯვა
საბჭოთა ხელისუფლებამ. არსებობის პირველსავე წლებში საბჭოთა ხელი-
სუფლებამ მიიღო არა ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი: დეკ-
რეტები, დადგენილებები, ინსტრუქციები და სხვა, რომელთაც ფუძემდებ-
ლური მნიშვნელობა აქვთ ქართული საბჭოთა სამართლის ისტორიისათვის.

ამ დოკუმენტებში აისახა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ძირეული ცვლი-
ლებები: პოლიტიკაში, იურისდიქციაში, ეკონომიკაში, იდეოლოგიაში და
კულტურაში, აგრეთვე ის წარმატებები, რასაც მიაღწია ახალგაზრდა საბ-
ჭოთა ხელისუფლებამ.

ქურნალის რედაქციამ აღნიშნული დოკუმენტების პუბლიკაცია დაიწყო
1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავზე.

ამჟამად ვაგრძელებთ დანარჩენი მასალის პუბლიკაციას.
დოკუმენტების ენა და სტილი ჩვეულებრივ დატკლია. მასალები რე-
დაქციის დავალებით მოამზადა ვახტანგ სიღამონიძემ.

რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 101

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი მუხრანის უბანზე

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭო ადგენს: შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება
მეურვეობის შესახებ.

თ ა შ ი I.

მეურვეობის ორგანოება

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეურვეობის საქ-
მეს განაგებს: არასრულწლოვანისას — განათ-
ლების სახალხო კომისარიატი, ხოლო სრულ-
წლოვანისას: არა ჰკუთამყოფელია და შემ-
ლილისა, მფლანგველისა და წერაკითხვის უცო-
დინარი ყრუ-მუნჯისას — იუსტიციის სახალხო
კომისარიატი
2. აღნიშნული კომისარიატები მოქმედებენ
ქვემოთ დასახელებულ დაწესებულებებთან მეშვე-
ობით, რომელნიც ჩაითვლებიან სამეურვეო და-
წესებულებად და თავის მიზანს მეურვეობის
საქმეში განახორციელებენ მეურვეოა მეშვეო-
ბით.
3. სახალხო განათლების კომისარიატის აა-
მეურვეო დაწესებულება არის: ქ. თბილისში —
არასრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყო-
ფილება, სამაზრო ქალაქებში — სახალხო განათ-

- ლების განყოფილება, ხოლო სოფლად სახალხო
განათლების უახლოესი განყოფილება, რომელიც
მოქმედებთ თემის აღმასრულებელი კომიტეტის
მეშვეობით.
4. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამე-
ურვეო დაწესებულებად ჩაითვლებიან სახალხო
მოსამართლენი.
5. ამ სამეურვეო დაწესებულებათა მოვალეო-
ბაა, მეურვეობაში მყოფთათვის ზრუნვის საერ-
თო ღონისძიებათა გარდა შეადგენს მეურვეო-
ბის დაწესება და გაუქმება, მეურვის დანიშნა
და დათხოვნა, მისი მოქმედების საერთო ზედა-
მხედველობა.
6. სახალხო განათლების კომისარიატს ექვემ-
დებარება: მცირეწლოვანთათვის ზრუნვის ღო-
ნისძიებათა ხელშეწყობა და სახალხო გა-
ნათლების განყოფილებათა მოქმედების ზედა-
მხედველობა.
7. მეურვე დაიცავს მეურვეობაში მყოფი
ყველა პირადსა და ქონებრივ ინტერესს და ჩა-
ითვლება მის კანონიერ წარმომადგენლად.



თ ა ვ ი II. მეურვეობის დაწესება და გაუქმება

8. მეურვეობა დაწესდება არასრულწლოვანთათვის, სრულწლოვანთა შორის კი სულით ავადმყოფისა, მფლანგველისა და წერა-კითხვის უცოდინარი ყრუ-მუნჯისათვის და განხორციელება საამისოდ სპეციალურად დანიშნული მეურვის მიერ.

9. არასრულწლოვანად ჩათვლება ის, ვისაც 18 წელი არ შესრულებია.

10. მეურვეობაში მიცემული უნდა იქნეს ყველა არასრულწლოვანი, რომელიც არ იმყოფება მშობლების ან ერთი მათგანის ზრუნვაზე.

11. სულით ავადმყოფი მიცემული უნდა იქნეს მეურვეობაში, უკეთეს დადგენილი წესით ცნობილი იქნება, რომ იგი სულით ავადმყოფია.

12. მეურვეობა უნდა დაწესდეს მეურვეობაში მისაცემი პირის საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მისი ქონებისათვის, უკეთეს ეს ქონება სხვაგან აქვს, — ამ ქონების ადგილას.

13. როდესაც მეურვეობის დაწესება საჭიროა 10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ გარემოებას აცნობებს, სამეურვეო დაწესებულებას, ის თანამდებობის პირი და დაწესებულება, რომელსაც თავისი სამსახურის გამო ასეთი შემთხვევა ეუწყება, და აგრეთვე მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელი, და თვით ეს პირიც.

14. როდესაც მეურვეობის დაწესება საჭიროა 11 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ გარემოებას აცნობებს დაინტერესებული პირი და დაწესებულება იმ ადგილის სახალხო მოსამართლეს, სადაც ავადმყოფი ცხოვრობს.

15. ასეთი ცნობის მიღებისას სახალხო მოსამართლე მოქმედებს თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

შენიშვნა: სულით ავადმყოფთა შემოწმება ხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცალკე ინსტრუქციით.

16. სულით ავადმყოფად ცნობილი პირის მეურვედ ინიშნება ქმედობა-უნარიანი პირი, რომელიც ავადმყოფის სიკვდილის შემდეგ შეიძლება მისი მემკვიდრე იყოს.

17. მეურვეობის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა იქნეს გამოკრული იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობის დანიშვნის შესახებ, იმ ადგილის სასამართლოში, სადაც მეურვეობის დანიშნული დაწესებულებაა, ხოლო თუ მე-

ურვეობა დაწესებულია სახალხო მოსამართლის მიერ — სახალხო მოსამართლეთა საბჭოში.

19. მეურვეობა მოისპობა, უკეთეს მისი დაწესების საფუძველი აღარ არსებობს.

20. მეურვეობა არა სრულწლოვანისა მოისპობა, როგორც კი მას 18 წელი შეუსრულდება.

21. მეურვეობა სულით ავადმყოფისა მოისპობა სახალხო მოსამართლის დადგენილებით, როდესაც ადგილობრივი განყოფილება აუწყებს მოსამართლეს, რომ ეს პირი განკურნებულად ცნობილია.

თ ა ვ ი III. მეურვეობის დანიშვნა და დათხოვნა

22. მეურვე დანიშნულ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც სათანადო დაწესებულება, რომელიც გამგებლობს მეურვეობას, შეიტყობს ასეთი დანიშვნის საჭიროებას.

შენიშვნა: ერთი და იგივე მეურვე შეიძლება დანიშნოს როგორც ერთს, ისე რამდენიმე პირს; შესაძლებელია აგრეთვე თანამეურვის დანიშვნაც.

23. მეურვედ უნდა დანიშნოს სრულწლოვანი, რომელსაც აქვს ამ მოვალეობის ასრულების უნარი.

24. მეურვედ არ შეიძლება დანიშნოს:

- ა) ის, ვინც თვით იმყოფება მეურვეობაში,
- ბ) სასამართლო წესით უფლება შეზღუდული,
- გ) ის, ვისი ინტერესიც ეწინააღმდეგება მეურვეობაში მყოფის ინტერესს და განსაკუთრებით ის, ვინც მისდამი მტრულად არის განწყობილი.

25. მეურვის დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცება იმ პირს, ვისაც აარჩევს მეურვეობაში მისაცემი (უკეთეს იგი სულით ავადმყოფი არ არის და მას 14 წელი შესრულებია). ან მისი დედა თუ მამა, ხოლო უკეთეს ასეთი პირი არ აღმოჩნდა — მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელ ნათესავს ან მეუღლეს.

26. მეურვის დანიშვნის დროს იმ პირთაგან, რომელიც ნაჩვენებია 25 მუხლში, დაწესებულებაში, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს, მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც პირადი დამოკიდებულება დასაწესნი მეურვისა და მეურვეობაში მისაცემ პირს შორის, ისე საუბოვრებელი ადგილის სიახლოვე.

27. მეურვედ არჩეულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით მისი მეურვედ დანიშვნა. ამავე დროს ამის შესახებ უნდა გამოიკრას განცხადება იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობას დანიშნავს.

28. განსაჩივრება დადგენილებისა, ამა თუ იმ

პირის მეურვედ დანიშვნის შესახებ სწარმოებს იმავე წესით და იმავე ვადაზე, რაც აღნიშნულია 18 მუხლში.

29. საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც დანიშნება მეურვედ, ვალდებულია იკისროს მეურვეობა.

30. მეურვეობაზე უარის თქმა შეუძლიან:

ა) იმას, ვისაც 60 წელი შეუსრულდა;
ბ) იმას, ვინც ფიზიკური ნაკლის გამო გაკრებებით თუ შესძლებდა მეურვის თანამდებობის აღსრულებას;

გ) იმას, ვინც ანხორციელებს მშობლიურ უფლებას ორისაზე მეტი შვილის მიმართ;

დ) იმას, ვინც ერთ მეურვეობას უკვე ეწევა.

31. უკეთეს არსებობს ერთ-ერთი, 30 მუხლში აღნიშნული მიზეზი მეურვეობაზე უარის თქმისათვის, მეურვედ დანიშნულს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მას მეურვედ ეცნობება, შეუძლიან განახორციელოს უარის თქმის უფლება, ხოლო თუ უარი არ განაცხადა, ეს განუცხადებლობა თანხმობად ჩაითვლება.

32. უკეთეს განცხადებული უარი საფუძვლიანად იქნა ცნობილი, მეურვედ სხვა პირი უნდა იქნეს ამორჩეული, ხოლო, ვიდრე ახლად დანიშნულ მეურვეს გადაეცემოდეს მეურვეობა, უარის განმცხადებელი ვალდებულია შეასრულოს მეურვის მოვალეობა.

33. მეურვეობა მიღებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც არჩეული პირი მიიღებს უწყებას მისი მეურვედ დანიშვნის შესახებ.

34. მეურვის მოვალეობა მოისპობა მეურვეობის გაუქმებასთან ერთად, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია 24 მუხლით.

35. მეურვე შეიძლება გადაყენებული იქნეს სათანადო სამეურვეო დაწესებულების დადგენილებით, უკეთეს აღმოჩნდება, რომ იგი დაუდევარია და ბოროტად იყენებს თავის უფლებას, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა იმდენად არაღამაკმაყოფილებლად ასრულებს მეურვის მოვალეობას, რომ მეურვეობაში მყოფი პირის ინტერესებს საფრთხე მოეღოს.

36. მეურვეს დათხოვნა ერთ-ერთი იმ საფუძვლით, რაც აღნიშნულია 35 მუხლში, შეიძლება მოითხოვოს, როგორც თვით მეურვეობაში მყოფმა, აგრეთვე ყოველმა დაინტერესებულმა მესამე პირმაც.

37. მეურვის დათხოვნაზე დადგენილების გამოტანაზე სამეურვეო დაწესებულება მოვალეა გამოიძიოს საქმის გარემოება და გამოკითხოს მეურვეს.

38. უკეთეს მეურვეობის გამოკითხვის დროს აღიძვრის ისეთი გარემოება, რაც თანახმად 30 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტისა საფუძვლი იქ-

ნება მეურვეობის თავიდან აცილებისათვის, მეურვეს შეუძლიან ითხოვოს მეურვეობიდან დათხოვნა 31 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

თ ა შ ი IV.

ზ რ უ ნ ვ ა მ ე უ რ ვ ე ო ბ ა შ ი მ ყ ო ფ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, მ ი ს ი ჭ ო ნ ე ბ ი ს გ ა ნ მ ა გ ზ ლ ო ბ ა დ ა ს ა მ ე უ რ ვ ე ო ო რ გ ა ნ ო ბ ე ბ ი ს პ ა ს უ ხ ს ი ს მ ა გ ზ ლ ო ბ ა

39. მეურვეობაში მყოფის პირადი და ქონებრივი ინტერესის დაცვა დაეკისრება მეურვეობის განმხორციელებელ მეურვეს, რომელიც ითვლება მის წარმომადგენლად სასამართლოს წინაშე და სასამართლოს გარეშე.

40. არასრულწლოვანის მეურვე ზრუნავს მეურვეობაში მყოფი პიროვნებისათვის, მისი აღზრდისათვის და იმისათვის, რომ იგი მომზადებული იქნეს სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

41. მეურვე მოვალეა შეძლებისდაგვარად თავისთან იყოლოს არასრულწლოვანი მეურვეობაში მყოფი და, თუ ამას მოითხოვს უკანასკნელის ინტერესები, უფლება აქვს მოსთხოვოს მისი დაბრუნება ყველას, ვინც თავისთან ამყოფებს და მეურვეობას უწევს არასრულწლოვანს არა კანონის ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

42. არასრულწლოვანის აღსაზრდელად და სასწავლებლად მიბარება და აგრეთვე ამის შეუსრულებლობის მიზეზი მეურვემ უნდა აცნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

43. 14 წლის ასაკ შესრულებულ მეურვეობაში მყოფი პირის თანხმობით, მისი პირადი დაქირავებისათვის ხელშეკრულების დასადებად, მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო სამეურვეო დაწესებულებისა.

44. სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა დაიცავს და ხელი შეუწყოს მას ყველა პირად და ქონებრივ საქმეში და იზრუნოს მისი ჯანმრთელობისათვის.

45. უკეთეს საჭიროა, რომ სულით ავადმყოფი მოთავსებული იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში, მეურვემ ეს უნდა განუტყაზროს ჯანმრთელობის სახალხო კომისიარატს, რომელიც დანიშნავს მკურნალთა კომისიას. ეს კომისია გადაწყვეტს საკითხს სულით ავადმყოფის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების საჭიროების შესახებ.

46. მეურვე უნდა განაგებდეს მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას ისე, როგორც მზრუნველი და მშობელი პატრონი.

47. მეურვეს, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელს, უფლება აქვს დაადოს ყველა



ის გარიგება, რომლის დადებაც შეეძლებოდა თვით მეურვეობაში მყოფს, რომ იგი ქმედობა-უნარიანი ყოფილიყო, იმ შემთხვევების გარდა, რაც აღინშნულია 48—53 მუხლებში.

48. მეურვეს არ შეუძლიან მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელი იყოს, უკეთუ გარიგება დასაძებნი, ან აღძრული საჩივარი ერთის მხრით მის მეუღლისა ან მისი ერთ-ერთი აღმავალი, ან შთამავალი შტოს ნათესავსა და მეორეს მხრით მეურვეობაში მყოფს შორის. სპეციალურად ამისათვის უნდა დაინიშნოს საგანგებო მეურვე — წარმომადგენელი.

49. მეურვეს არ შეუძლიან გამოვიდეს ხელშეკრულების დამდებ მხარედ, ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც მის მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას შეეხება; და აგრეთვე შეიძინოს რაიმე მოთხოვნის უფლება მეურვეობაში მყოფის წინააღმდეგ.

50. იმ ვალის გადახდასათვის, რაც მეურვეობაში მყოფისაგან ერგება თვით მეურვეს მისი მეურვედ დანიშნამდე დადებული ხელშეკრულებით, საჭიროა ნებართვა სათანადო დაწესებულებისა, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

51. მეურვეს არ შეუძლიან მოახდინოს განსაჩივრება, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელმა.

52. მეურვე ვალდებულია ყოველ წელიწადს არაუგვიანეს იანვრის 15-სა წარუდგინოს ხოლმე სამეურვეო დაწესებულებას წერილობითი ანგარიში მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებას იღებდა იგი მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებას იღებდა იგი მეურვეობაში მყოფი პიროვნების მზრუნველობისათვის.

53. მეურვეს არ შეუძლიან იკისროს პირგაუტეტხლობის ჯარიმის გადახდა მეურვეობაში მყოფი პირის სახელით.

54. მეურვეობაში მყოფი პირის შენობის ან საღვთის უფლების გასხვისებისა ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვისათვის მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო დაწესებუ-

ლებისაგან, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

55. მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობისათვის სამეურვეო დაწესებულება დაუნიშნავს მეურვეს ვასამარჯლოს, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს:

ა) მეურვეობაში მყოფი პირის ქონების წმინდა შემოსავალი.

ბ) ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქონებრივად თვით მეურვე. და

გ) რა შრომას ეწევა მეურვე სამეურვეო-ქონების გამგებლობისათვის.

56. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვეობაში ყოფილს უფლება აქვს მოსთხოვოს მეურვეს ანაზღაურება ყველა იმ ზიანისა და ზარალისა, რაც მიყენებულია მეურვეს არაეთილსინდისიერი და დაუდევარი გამგებლობით.

57. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვე წარმოადგენს საერთო ანგარიშს.

58. მეურვის ყოველი მოქმედება ქონების გამგებლობისა და მეურვეობაში მყოფი პირთათვის ზრუნვის საქმეში — შეიძლება ყოველ დროს იქნეს გასაჩივრებული სათანადო სამეურვეო დაწესებულებაში, როგორც თვით მეურვეობაში მყოფი პირისა, ისე მეამე დაინტერესებულ პირისაგან.

59. სამაზრო განყოფილების დადგენილება მეურვის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის გამო, უკეთუ ეს დადგენილება არასრულწლოვანს შეეხება, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში.


60. საჩივარი სამაზრო განყოფილების მოქმედებასა და დადგენილებაზე უნდა შეტანილ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში, რომელმაც უნდა განიხილოს იგი არა უგვიანეს ორი კვირისა მისი შეტანის დღიდან.

61. უკეთუ სახალხო კომისარიატის მიერ განსაჩივრებული დადგენილება ძალაში იქნება დატოვებული, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს აღნიშნული დადგენილების გამო აღძრას საჩივარი საზოგადო წესით.

62. ამა თავში აღნიშნული წესები სათანადოდ შეფარდებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევისთვისაც, როდესაც მეურვეობა დანიშნულია რაიმე სხვა საფუძველზე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიზბა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს
მდივანი: ალ. სალბარიძე.



დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 105

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ პირთა უზრუნველყოფის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ.

რათა უზრუნველყოფილი იქნეს შრომის-უნარდაკარგული პირნი, რომელნიც ცნობილად არიან თავიანთი დიდი დამსახურებით რევოლუციონური, საბჭოთა და პროფესიონალური მოღვაწეობაში, აგრეთვე მეცნიერებისა, ხელოვნებისა, ლიტერატურისა და ტექნიკის სფეროში, ან რომელთაც მოღვაწეობაში გამოიჩინეს განსაკუთრებული თავგანწირვა და ერთგულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი, სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს გაძლიერებული პენსიები, რომელიც მიეცემა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შემწეობით შემდეგ პირთ:

ა) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად ან ნაწილობრივ და ვისაც მიუძღვის დიდი დამსახურება რევოლუციური მოღვაწეობაში ან განსაკუთრებული ღვაწლი ტექნიკის დარგში, უკეთეს ასეთ მოღვაწეობას საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა.

ბ) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად ან ნაწილობრივ და ვისაც თავისი რევოლუციონური, საბჭოთა და პროფესიონალური მოღვაწეობით თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანია რესპუბლიკისათვის, ან გამოუჩენია განსაკუთრებული თავგანწირვა და იშვიათი ერთგულება სამსახურებრივი მოვალეობისადმი;

გ) ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს სრულიად და ვისაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს მეცნიერებასა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

დ) პირველი მუხლის ა, ბ და გ პუნქტებში ჩამოთვლილ პირთა გარდაცვალების გამო პენსია უნდა დაენიშნოს მათი ოჯახის იმ არასრულწლოვან ან შრომისუნარ დაკარგულ წევრს, რომელიც გარდაცვალებულის სიცოცხლის დროს მის ხარჯზე ცხოვრობდა.

2. დაწესდეს შემდეგი რაოდენობა გაძლიერებული პენსიებისა:

ა) 1-ლი მუხლის ა და ბ პუნქტებში აღნიშნულ პირთათვის სამუშაო ხელფასის საშუალო სატარიფო ვანაკეთებიდან მაქსიმალურამდე;

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა

ბ) 1-ლი მუხლის გ-პუნქტში აღნიშნულ პირთათვის — არა უმეტეს საშუალო სატარიფო ვანაკეთისა.

ვ) 1-ლი მუხლის დ პუნქტში აღნიშნულ პირთათვის ორი მესამედი იმ გაძლიერებული პენსიისა, რომელსაც გარდაცვალებული სიცოცხლეში იღებდა ან უფლება ჰქონდა მიეღო.

3. ამა დადგენილებით გათვალისწინებული გაძლიერებული პენსიების გაცემის წესების შემოღებისთანავე, განათლების სახალხო კომისარიატი იმ წესის შესაცვლელად, რომელიც მიღებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რევოლუციური კომიტეტის მიერ, 1921 წლის აგვისტოს 25 დეკლემბით, — მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, — დაუნიშნავს და მისცემს პენსიას ზემოხსენებულ დებულებაში აღნიშნულ ყველა პირთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს მათ შრომის უნარი ნაწილობრივ დაუკარგავთ, ისინი გადარიცხული უნდა იქნენ სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის მზრუნველობაში, იმ პირობით კი, რომ შეუძლებელია შემცირებულ იქნეს იმ პენსიის რაოდენობა, რომელიც მათ განათლების სახალხო კომისარიატიდან ეღვოდათ.

4. ის კრედიტები, რომელიც ზემოაღნიშნული საჭიროებისათვის განსნილი აქვს ყველა სხვა სახალხო კომისარიატსა და დაწესებულებას, გადაირიცხოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და მათივე მზრუნველობას გადაეცეს ყველა ის პირი, ვინც დღეს გაძლიერებულ პენსიას იღებს.

5. გაუხსნას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს — მისი აღრიცხვით კრედიტი ამა დადგენილებით გამოწვეული საჭიროებისათვის.

6. მიანდოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოსცეს ინსტრუქციის ამ დადგენილების შესახებ.

რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიაშვილი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი: პ. სომეხიძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: ბლ. სულბერიძე.

თბილისი — სახალხო.

1923 წ. აგვისტოს 25.

(გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ., № 559).



რ ე კ რ ე ზ ი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საცხოვრებელი სადგომების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა საცხოვრებელი და არა-საცხოვრებელი შენობა განიყოფება:

ა) ნაციონალიზაცია ქმნილ, ბ) მუნიციპალიზაცია ქმნილ და გ) ყველა დანარჩენ შენობად, რომელიც რჩება კერძო პირის და ორგანიზაციის მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში.

2. ნაციონალიზაცია ქმნილად ჩაითვლება ის შენობა, რომელიც რესპუბლიკის საერთო კუთვნილებას შეადგენს და მის ცენტრალური ორგანოს განკარგულებასა და სარგებლობაში არის. ასეთია:

ა) ის შენობა, რომელიც სამრეწველო საწარმოო ტერიტორიაზეა აგებული, ამ საწარმოსთან არის დაკავშირებული და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების გამგებლობაშია;

ბ) ის შენობა, რომელსაც ზოგად სახელმწიფოებრივი ხასიათის სპეციალური დანიშნულება აქვს, როგორც არის: ყოფილი სასახლეები, მუშათა სასახლეები, სამხედრო ყაზარმები, სპეციალური სამხედრო შენობები, სამხედრო-საინჟინრო დისტანციის უწყებაში მყოფი, უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლის შენობები, სახელმწიფო მუზეუმები, აკადემიური თეატრი, აგრეთვე ყოფილი სახაზინო და სხვ. შენობები, რომლებიც ამჟამად მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებათ უჭირავთ.

შენიშვნა: ნაციონალიზაცია ქმნილ შენობათ ნუსხა ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

3. მუნიციპალიზაცია ქმნილად ჩაითვლება ყველა ის შენობა, რომელიც ამა დეკრეტის გამოქვეყნებამდე ჩამოერთვა მის წინანდელ პატრონს და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უშუალო განკარგულებაშია, ან ამ კომიტეტის სარგებლობისათვის იჯარით გადაცემული აქვს დაწესებულებისათვის, საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის, კერძო პირისათვის და სხვ. განსაკუთრებული ხელშეკრულებით, აგრეთვე უპატრონო სახლები.

შენიშვნა 1: სავაჭრო-სამრეწველო სადგომი (მაღაზიები, ღუქნები, საწყობები, სასტუმროები, აბანოები და ბაყები), სადაც უნდა იყოს

იგი, დარჩება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში და მის მიერ გაიცემა იჯარით განსაკუთრებული დებულებისა-მებრ, რომელსაც იგი დაადგენს.

შენიშვნა 2: სავაჭრო ხასიათის საწყობი, რომელიც სამრეწველო საწარმოსთან ტერიტორიულად არის დაკავშირებული, დარჩება მწარმოებელ ორგანოთა გამგებლობაში.

შენიშვნა 3: ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში დარჩება ის სამაღაზიო დარაბა, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის ფაქტიურ სარგებლობაში იყო 1923 წლის სექტემბრის პირველადე.

4. კერძო მეპატრონე შენობათა რიცხვს ეკუთვნის ყველა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამა დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლში.

5. მუშა-მოსამსახურეთა ბინის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება მიეცეთ:

ა) აიღონ აღრიცხვაზე საცხოვრებლად გამოსადები სივრცის: თბილისში არა უმეტეს ერთი მესამედისა ყველა იმ შენობებში, სადაც 6 ოთახზე მეტია; ბათომსა არა უმეტეს 25 პროც.; ხოლო დანარჩენ ქალაქებში არაუმეტეს 15 პროცენტისა;

ბ) კომუნა-სახლებში და საზოგადოდ ყველა მუნიციპალიზაცია ქმნილ შენობაში, უკეთეს სხვა რაიმე გზით ოთახების შემჭიდროება; ტექნიკური ან ოჯახური მიზეზის გამო, ამ სახლების აღმინისტრაციას თვით ვერ მოუხერხებია, სახლის ფარგალში გადასახლონ ხოლმე მდგმურები, ნორმის მიხედვით გასანაწილებლად (სულზე 25 ოთხკ. არშინის ვარაუდით);

გ) სკოლებისა, საავადმყოფოებისა, ბანკებისათვის და სხვ. დანიშნული შენობებიდან მცხოვრებნი აღმინისტრაციული წესით გამოასახლონ.

დ) იმავე კომუნა-სახლების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით გამოასახლონ ხოლმე აღმინისტრაციული წესით, წინასწარ ერთი ბინის გაფრთხილებით:

1) ის პირი, ვინც ვაჭრობას მისდევს, 2) სამრეწველო და საწარმოებრივი საწარმოთა მეპატრონეა, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომით; 3) კანტორა, სასადილო, საჩაიე, კლუბი, სახელოსნო, რომელსაც საცხოვრებელი სივრცე უჭირავთ; ამასთანავე ესენი გადაყვანი-

საქართველო

ლი უნდა იქნენ სავაჭრო მიზნებისათვის შეფარდებულ სადგომებში (დარაბა, მაღაზია, კანტორა სსე).

4) საერთოდ ყველა მოქალაქე, რომელიც არა ცხოვრობს შრომის შემოსავლით, რომელსაც არა აქვს გარკვეული საქმე, აგრეთვე, კომისიონერი, სავაჭრო და სამარწველო ფირმის წარმომადგენელი და სსე.

6. მუშა-მოსამსახურეთა საბინაო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით: ა) აკრძალოს კერძო პატრონი და მუნიციპალიზაცია ქმნილ მფლობელობათა მოიჯარადრეს საცხოვრებელი სივრცის გაქირავება კანტორასა და რაიმე საკომერციო საწარმოსათვის; ყველა ასეთი კანტორა და საწარმო ერთი თვის განმავლობაში ადმინისტრაციული წესით გამოსახლებული უნდა იქნეს.

7. სახლის პატრონი ვალდებულია განაგოს სახლი პირადად ან განსაკუთრებული რწმუნებულის მეშვეობით, მოახდინოს საჭირო შეკეთება და შეასრულოს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა განკარგულება, როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრაციული ხასიათისა.

8. სახლის პატრონს უფლება აქვს სახლი გაასხვისოს ყველა კანონიერი გზით, იჯარით გასცეს ოთახები და ბინები გაქირავოს.

9. დაკავებული სივრცის ნორმად ყოველი მოქალაქისათვის — გამოუკლებლივ — დაწესებულია 25 ოთხკუთხი არშინი თვითეულ სულზე, ხოლო დაწესებულებისა და საწარმოსათვის — 9 ოთხკუთხი არშინი თვითეულ თანამშრომელზე.

შენიშვნა: ნორმის გარეშე ერთი კაბინეტის (არა უმეტეს 30 ოთხკუთხი არშინისა) დაჭერის უფლება აქვს იმ საბჭოთა მოსამსახურეს, რომელიც სამსახურის ხასიათის გამო მოვალეა მუშაობას შინაც ეწეოდეს, და რომლის ჯამაგირსაც ასეთი ზედმეტი მუშაობისათვის სამუდამოდ დასატვირთი ემატება; შემდეგ პროფესორს, ექიმს, რომელიც პრაქტიკას ეწევა, ინჟინერს, რომელიც საბჭოთა სამსახურშია თავის სპეციალობაზე, დამცველთა კოლეგიის წევრს; საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებასა და საწარმოში ნორმის გარეშე კაბინეტი 30 ოთხკუთხი არშინამდე შეიძლება მიეცეს დაწესებულების და საწარმოს სათავეში მდგომ პირს და მის მოადგილეს.

10. ბინის ქირის გადახდისთვის მდგმურები განიყოფებიან ორ კატეგორიად: პირველი კატეგორია:

ა) სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებისა და საწარმოს მუშა-მოსამსახურე უკეთეს იგი პროფესიონალური კავშირის წევრია, აგრეთვე წითელარმიელი და ყველა ზემო-

ხსენებულ პირთა ოჯახების წევრი. უმეორე კატეგორიაში მათი სარჩენი არის.

ბ) ხელმოკლე პირი, რომელიც მუდმივად სოციალურ უზრუნველყოფაზე იმყოფება, და რომელიც სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებიდან მოწმობას წარადგენს.

გ) უმუშევარი, რომელიც აღრიცხულია შრომის ბირჟაზე და სარგებლობს სოციალური უზრუნველყოფის უფლებით.

დ) ღარიბი მოსწავლე, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს — არა მშობლებთან, უკეთეს იგი წარმოადგენს სათანადო, სასწავლებლის სპეციალურ მოწმობას სიღარიბის შესახებ, აგრეთვე მოწაფე, რომელიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებს;

ე) „თვით-მშრომელთა“ საზოგადოების“ წევრი;

ვ) ექიმი, დამცველთა კოლეგიის წევრი, ლიტერატორი, მხატვარი, (ხელოვანი, უკეთეს მართოდენ თვითან სპეციალობაში მუშაობენ).

მეორე კატეგორია: ყველა დანარჩენი მოქალაქე.

11. ბინის ქირას (ტარიფს) პირველი კატეგორიის პირთათვის განსაზღვრავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, გარდაქ. თბილისისა, სადაც ბინის ქირას შეიმუშავებს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით იგი წარმოდგენილ უნდა იქნეს დასამტკიცებლად სახალხო კომისარია საბჭოში.

შენიშვნა: უკეთეს გადახდელი შეიძლება მიწერილი იქნეს რამდენსამე ჯგუფზე — ბინის ქირას იგი გადაიხდის ამ ჯგუფთა შორის უმაღლესი ტარიფის ჯგუფის რაოდენობით.

12. მეორე კატეგორიის პირმა ბინის ქირა უნდა გადაიხადოს სახლის პატრონთან შეთანხმებით.

13. ამ დეკრეტის გამოცემის შემდეგ აკრძალულია ადმინისტრაციული წესით კერძო პატრონის სახლში ჩასახლება, ან სახლიდან გამოსახლება და გადასახლება: ამის დარღვევისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლის ძალით, დამოუკიდებლად სამოქალაქო პასუხისმგებლობისა დაზარალებულის სარჩელით.

14. კერძო პატრონის თავისუფლად სარგებლობასა და განკარგულებაში დარჩება ის განთავისუფლებული ოთახები, რაც აღებატება მე-5 მუხლში აღნიშნულ და ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის ფონდში გადასარიცხ საცხოვრებელ სივრცეს.



15. კერძო პატრონის სახლიდან მდგმურის გაშოსახლება შეიძლება მართოდენ სასამართლოს წესით და მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უკეთუ მდგმური მტაცებლურად მოეპყრო ბინას, რაც გამოიწვევს მის გაფუჭებასა და მეტის-მეტად გაჭუჭყიანებას;

ბ) უკეთუ მდგმური არ გადაიხდის ბინის ქირას;

გ) უკეთუ ისეთი პირობები შეიქმნა, რომ შეუძლებელია სახლში ერთად ცხოვრება;

დ) როდესაც საჭირო იქნება სახლის კაპიტალური შეკეთება, შემოწმებული სტექნიკოსაიდმშენებლო განყოფილების ორგანოს მიერ, იმ პირობით-კი, რომ შეკეთების დასრულების შემდეგ სადგომი კვლავ დაეთმოს შეკეთებამდე იქ ცხოვრებს, უკეთუ ეს უკანასკნელი მოისურვებს და სხვ.

16. დაწესებულებას, ორგანიზაციას და კერძო პირს უფლება ძლიერა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან საიჯარო ხელშეკრულების დადებით, მიიღოს თავის თავზე შეკეთება დანგრეულ და ძლიერ დაზიანებული შენობისა, მისი საცხოვრებლად გამოყენებისათვის რისთვისაც მიეცემა განსაკუთრებული შეღავათი, სახელდობრ: შემცირება ან მათი სრულიად განთავისუფლება საცხოვრებელი სივრცის რაიმე ნაწილის კომუნალური მეურნეობისათვის სავალდებულო დათმობისაგან.

შენიშვნა: ასეთივე შეღავათი შეიძლება მიეცეს იმ სახლის პატრონსაც, რომელიც ბინის შენობის საქმეში გამოიჩენს ან გამოუჩენია განსაკუთრებული წარმატება.

17. მიენდოს თბილისის საბჭოს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილებასთან ერთად, დააწესოს ყველა დაწესებულებისათვის დასაკავებელი სივრცის ნორმა,

დაწესებულების აბარატის მიხედვით, რომ თვითველ თანამშრომელზე მოდიოდეს 9 ოთხკუთხი არშინი. ამ ნორმის მიხედვით დაუყოვნებლივ მოხდეს დაწესებულებათა შემჭიდროება, ხოლო გათავისუფლებული სადგომი ჩაირიცხოს საერთო საცხოვრებელ ფონდში.

18. მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა, წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს სია იმ საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებათა, რომელნიც ადმინისტრაციულად და მეურნეობითად თბილისთან არ არიან დაკავშირებული და უვნებლად შეიძლება მათი ვადაყვანა რესპუბლიკის სხვა ადგილას.

19. სახლების მუნიციპალიზაცია დღეიდან აკრძალულია და მისი მოხდენა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი აუცილებლობისათვის, — და ისიც მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად რეკვიზიციისათვის არსებული წესებისა.

20. აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო განყოფილება გაუქმდეს.

21. აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყოს უძრავ ქონებათა სამმართველო, რომელსაც დავალოს მუნიციპალიზაციაქმნილ შენობათა გამგებლობა და კომუნალური საბინაო ფონდის წესიერად გამოყენების ზედამხედველობა.

22. ამ დეკრეტის გამოქვეყნებისთანავე გაუქმდეს ყველა აქამომდე გამოცემული დეკრეტი და ყოველგვარი დადგენილება, რომელიც საბინაო საკითხს ეხება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:

გ. ცხაპანია.


საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: შ. ელიზბა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: გ. საბაშვილი.

1928 წ. სექტემბრის 26.

(გაზ. „ტრიბუნა“ 1928 წ. № 582).

თბილისი — სსახლში.



ც ი რ კ უ ლ ე რ ი

ყველა სამაზრო, სამალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეთა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შიგერ რამოდენიმეჯერ გაგზავნილი იყო თანახმად საქართველოს უმაღლესი მთავრობის ცირკულარული წერილისა განმარტებანი იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკის ორგანოებთან და რა გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში თანამშრომლის საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის დროს. კომისარიატის ცირკულარებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თანამდებობის პირას საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნის დროს, მხედველობაში ყოფილიყო მიღებული სახელმწიფო, ქართული ენის ცოდნა (ცირკ. ყველა საქ. და სამაზრო, აღმასკომებს. „მოამბე“ № 13; ცირკ. ყველა საქალაქო, სამაზრო და ავტ. ერთეულთა აღმასკომებს 20 მაისი, 1922 წ. „მოამბე“ № 35 და სხვ.) მაგრამ როგორც კომისარიატში მიღებული მიმართებებიდან და მიმოწერიდან სჩანს, დანიშვნა თანამშრომლებისა, ხდება ზოგან სრულიად იმისდამოუხედავად იცის თუ არა უკანასკნელმა სახელმწიფო ენა, რის გამო მიმოწერა და საქმის წარმოება სწარმოებს ადგილობრივ მცხოვრებთა გაუგებარ ენაზე. არის შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი აღმასკომი ოქმს, მოხსენებას ან მომართვას სრულიად უმიზეზოდ გზავ-

ნის არა სახელმწიფო ენაზე, რაც განსაკუთრებით დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნულის გამო კვლავ წინადადებას ვადღევთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1) თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (მუხლ. 6) საქართველოში სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა.

2) საქმის წარმოება და მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკაში უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე.

3) ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას შეადგენენ არა ქართველნი, მიმოწერა უნდა სწარმოებდეს უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

4) ამ დადგენილების დამრღვეველნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

5) ამ ცირკულარის ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასკომის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა
სახალხო კომისარი: **ბ. გეგეჭკორი.**
საინ-საინფ. განყოფილების გამგე:
ბ. ნადირაძე.

(გაზ. „ტრიბუნა“ 1928 წ. 6 ივლისი, № 514)

აზერბაიჯანის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა

პროფ. ბ. მილმანო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით აღფრთოვანებულმა აზერბაიჯანის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ ნახევარი საუკუნის წინათ გარეშე და შინაურ მტრებთან გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოების დროში ააფრიალეს ძველ აზერბაიჯანულ მიწაზე და შექმნეს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აზერბაიჯანის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცებისათვის, მისი გაერთიანება მოძმე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ ნებაყოფლობისა და თანასწორობის საწყისებზე, სოციალიზმის აშენება და კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან, ბოლშევიკების პარტიასთან.

* * *

ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენდა უდიდეს სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციას. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოში პირველსავე საკანონმდებლო აქტებში გამოაცხადა ერთა თვითგამორკვევის უფლება. ვ. ი. ლენინი მკაცრად ამხილებდა ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის მოწინააღმდეგეებს და მიუთითებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო უნდა მოუღოს სისხლიან და ბინძურ წარსულს, როდესაც მეფის რუსეთი ჯალათის როლს ასრულებდა სხვა ხალხების მიმართ, უნდა უზრუნველყოს რუსეთის ხალხების საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების შექმნა ბოლშევიკური პროგრამისა და პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებით. „გვეუბნებიან, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რუსეთი დაქუცმაცდება, დაიშლება ცალკეულ რესპუბლიკებადო, მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა გვეშინოდეს, რამდენიც უნდა იყოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩვენ ამის არ შეგვეშინდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ სად ვადის სახელმწიფო საზღვარი, არამედ ის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ყველა ერის მშრომელთა კავშირი ყოველგვარი ერის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად“¹.

მეტად დიდია ვ. ი. ლენინის დამსახურება აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

ბაქოელმა ბოლშევიკებმა მუსავატური რეჟიმის დასამხობად პროლეტარიატისა და გლეხობის მომზადების პროცესში წამოაყენეს ლოზუნგი: „დამოუკიდებელი საბჭოთა აზერბაიჯანი“. მუსავატელთა მოღალატურ პოლიტიკას, რის შედეგადაც აზერბაიჯანი ფაქტიურად გერმანელ, თურქ და ინგლისელ იმპერიალისტთა კოლონიად იქცა. ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს მოთხოვნა ნამ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 402.

დვილად დამოუკიდებელი აზერბაიჯანული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხის გადაწყვეტისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ იყო თავიდანვე სწორად გაგებული ყველა კომუნისტის მიერ. მაშინ როდესაც ბოლშევიკების ერთი ჯგუფი გამოდიოდა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის მომხრედ, მეორენი თვლიდნენ, რომ აზერბაიჯანი უნდა შევიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში წინასწარ დაყოფილ გუბერნიად. ორივე მოსაზრება მოხსენდა ვ. ი. ლენინს 1918 წლის ნოემბერში. როგორც იგონებდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე დ. ხ. ბუნიათ-ხადე — „ილიჩმა ამის თაობაზე პირდაპირ თქვა, რომ პირველი მოსაზრება დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ სწორია, ხოლო მეორე — წარმოადგენს კოლონიზატორობას და სისულელესაც“.²

1919 წლის 19 ივლისს ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით შედგა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროსა და ორგბიუროს ერთობლივი სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა დადგენილება მომავალში საბჭოთა აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობის შესახებ.³

ბოლშევიკების ლოზუნგმა ბურჟუაზიულ-მემამულური აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა აზერბაიჯანელ მუშებსა და გლეხებს შორის.

1920 წლის 11 თებერვალს ბაქოში იატაკქვეშეთის პირობებში მოწვეულ იქნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის I ყრილობა, რომელმაც გააერთიანა ყველა კომუნისტური ორგანიზაცია აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა). ყრილობამ ბოლშევიკებსა და ხალხის მასებს გეზი მისცა კონტრ-რევოლუციური ბურჟუაზიულ-მემამულური მუსავატური რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

წითელი არმიის მიერ ანტანტის ორი ლაშქრობისა და თეთრგვარდიელთა ძირითადი ძალების განადგურების შედეგად უცხოელი ინტერვენტები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ აზერბაიჯანიდანაც. ანადგურებდნენ რა მტერს, საბჭოთა ჯარები 1920 წლის აპრილის შუარიცხვებში მოადგნენ აზერბაიჯანის საზღვრებს და მზად იყვნენ სამხედრო დახმარება გაეწიათ რესპუბლიკის მშრომელებისათვის მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ვ. ი. ლენინი, გამოხატავდა რა ზრუნვას ერთა თვითგამორკვევის უფლების თანმიმდევრულად განხორციელებისათვის, აგრეთვე დიდმპყრობელური უნიტარიზმის აღორძინების თავიდან აცილებისათვის, 1920 წლის 2 აპრილს კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსათვის გაგზავნილ დეპეშაში მოითხოვდა, რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილების დადესტანსა და აზერბაიჯანში შესვლისას ყოველნაირად გამოეხატათ სიმპათიები მუსლიმანურ მოსახლეობისადმი, მისი ავტონომიისა და დამოუკიდებლობისადმი.

² «Воспоминания Азербайджанских коммунистов о В. И. Ленине», Баку, 1958 г., стр. 39.

³ Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, Баку, 1963 г., стр. 309.



1920 წლის 26 აპრილს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროსთან ერთად შეიმუშავეს მუსავატური მთავრობის დამხობის გეგმა. აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა აზერბაიჯანის დროებითი რევოლუციური კომიტეტი კომუნისტური პარტიის გამიჩენილი მოღვაწის ნ. ნ. ნარიმანოვის თავმჯდომარეობით.

27 აპრილს დღის 12 საათზე ბოლშევიკების დელეგაცია მუსავატურ მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი ხელისუფლების ჩაბარების შესახებ უახლოესი 12 საათის განმავლობაში. ამ ულტიმატუმის განსახილველად მოწვეულ იქნა პარლამენტის საგანგებო სხდომა.

ბოლშევიკების ულტიმატუმს მხარი დაუჭირეს ბაქოს მუშებმა და კასპიის სამხედრო ფლოტილის ხომალდებმა, რომლებიც რეიდზე დადგნენ და ზარბაზნები დაუშინეს მუსავატური მთავრობისა და პარლამენტის შენობას.

იმავე დღეს საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის მიმართვის საფუძველზე ვ. ი. ლენინის მითითებით წითელი XI არმია გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვისა და ა. ი. მიქოიანის მეთაურობით, შემოვიდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

აჯანყებული ხალხისა და მის დასახმარებლად წამოსულ წითელი არმიის წინაშე მუსავატური მთავრობა იძულებული გახდა მიეღო ულტიმატუმი და უბრძოლველად გადასცა ძალაუფლება კომუნისტებს.

ამრიგად, 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში გაიმარჯვა პროლეტარიატისა და გლეხობის შეიარაღებულმა აჯანყებამ და დამყარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

მუსავატური პარლამენტი და მთავრობა დაუყოვნებლივ დატოვენილ იქნენ. მთელი ძალაუფლება გადავიდა აზერბაიჯანის დროებითი რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელმაც გამოაცხადა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვდა მათ შორის ძმური თანამშრომლობის დამყარებას. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წლის 30 სექტემბერს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებას სამხედრო-ეკონომიური კავშირის შესახებ, რომლითაც დაიწყო საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-სამეურნეო გაერთიანების ეტაპი.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი დადასტურებულ იქნა მისივე კონსტიტუციით, რომელიც 1921 წლის 19 მაისს მიიღო სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების I ყრილობამ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენული ხელისუფლება ცხადდებოდა დამოუკიდებლად და შეუზღუდველად, ამავე დროს, კონსტიტუცია გამოდიოდა რესპუბლიკის ტერიტორიის ხელშეუხებლობის პრინციპიდან.

იმ მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, რომელიც მიიღეს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რეჟიმებისა და უცხოეთის იმპერიალისტებისაგან, აგრეთვე სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება, თავდაცვითი ძალების განმტკიცება ახალი უცხოური სამხედრო ინტერვენციის საფრთხის პირობებში, ეროვნებათა შორის უნ-



დობლობის დაძლევა და ამიერკავკასიის ხალხებს შორის ნამდვილი მეგობრობისა და მშვიდობის დამყარება — რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მჭიდრო სახელმწიკრულებო ურთიერთობის დამყარებასთან ერთად მოითხოვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას მტკიცე სახელმწიფოებრივ კავშირში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ამგვარი გაერთიანების იდეა ეკუთვნის ვ. ი. ლენინს, რომელიც ამ ხალხების კავშირსა და ძმურ თანამშრომლობაში ხედავდა სოციალისტური საზოგადოების აშენების გადამწყვეტ პირობას. წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიულთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი 1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმებოდა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს და იმედს გამოთქვამდა, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ისეთი ეროვნული მშვიდობის ნიმუშს, რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების დროს.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივმა გაერთიანებამ საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებთან მიიყვანა იგი არა სუვერენიტეტის დაკარგვამდე, როგორც ამას ნაციონალ-უკლონისტები წინასწარმეტყველებდნენ, არამედ მისი სუვერენიტეტის არსებით განმტკიცებამდე.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა წარმოადგენდა მძლავრ ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფდა ამიერკავკასიის ხალხების ძმურ თანამშრომლობას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების განმტკიცებას. მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისათვის გამაერთიანებელი მოძრაობის დასკვნით ეტაპზე.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ ხელი შეუწყო მასში შემავალი რესპუბლიკების გადაქცევას მძლავრ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად მოწინავე ტექნიკითა და მაღალი კულტურით, ამიერკავკასიის ხალხებს შორის ძმური მეგობრობის დამყარებას, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ამიერკავკასიის ფედერაციამ წარმატებით შეასრულა თავისი ისტორიული მისია, 1936 წლის დეკემბერში იგი გაუქმებულ იქნა და მასში შემავალი რესპუბლიკები, მათ შორის აზერბაიჯანის სსრ, გახდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უშუალო სუბიექტები.

აზერბაიჯანელმა ხალხმა თავისი სუვერენული ეროვნული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სწორად და ეფექტურად გამოყენებით, სსრ კავშირის სხვა ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანი გადააქცია მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, აგრარული კოლონიური განაპირა მხარიდან მძლავრი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის ქვეყნად, ერთ-ერთ სანიმუშო სოციალისტურ რესპუბლიკად აღმოსავლეთის მიჯნაზე.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყოველმხრივ გაფურჩქვნასთან ერთად მისი განვითარების ერთ-ერთ კანონზომიერებას წარმოადგენს მტკიცე კავშირი და დაახლოება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან. ვ. ი. ლენინის მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე შემუშავებული ეროვნებათა დაახლოების თეორია სრულად განხორციელდა და შესანიშნავი შედეგები მოგვ-



ცა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთობანი აგებულია ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების შეხამების საფუძველზე.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური კავშირუროთიერთობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით: ურთიერთდახმარება სახალხო მეურნეობის განვითარებაში. წარმოების რაციონალური განლაგების უზრუნველყოფა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გეგმაზომიერი დამუშავება, რესპუბლიკათა შორის შრომის სოციალისტური განაწილების სრულყოფა, მათი შრომითი ღონისძიებების გაერთიანება და შეთანხმება.

აზერბაიჯანის სსრ-ის ყოველმხრივი დაახლოება ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან წარმოადგენს ობიექტურ პროცესს, რომელიც განპირობებულია ერთიანი ეკონომიური საფუძვლით — სოციალისტური საკუთრებით წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, საერთო იდეოლოგიით — მარქსიზმ-ლენინიზმით, საერთო მიზნით — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხაზგასმით მიუთითებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის არსებული ფორმების შენარჩუნებისა და შემდგომი სრულყოფის აუცილებლობაზე. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყოველმხრივი განმტკიცება — ასეთია ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა, რომელიც დასმულია პარტიის პროგრამაში.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, ყველა პირობა აქვს შექმნილი შემდგომი განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

სახალხო სასამართლოების შექმნა აზერბაიჯანში

პროფ. დ. გოცსუფოვი

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მუსავატელთა ხელისუფლება და სამუდამოდ განთავისუფლდნენ ექსპლოატაციის საუკუნოებრივი უღლისაგან.

აზერბაიჯანის რევოლუციურმა კომიტეტმა, აიღო რა ძალაუფლება ხელში, განაცხადა: „გამცემლური მთავრობა მუსავატელთა პარტიისა დამხობილია. მის ადგილს იკვრს მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომელიც მშრომელთა წილიდან გამოსული პირებისაგან შეიქმნა“. შემდეგ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა აზერბაიჯანის მშრომელი მასების მიერ დაკისრებული დიდი მოვალეობის შესრულებას¹.

ვ. ი. ლენინის მითითებით აზერბაიჯანის მშრომელების დასახმარებლად გაიგზავნა წითელი არმია, რომელსაც სათავეში ედგნენ ერთგული ლენინელები: ს. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი, ა. ი. მიქოიანი და ს. მ. მუსაბეკოვი².

1936 წელს კრემლში აზერბაიჯანის დელეგაციის მიღების დროს ს. ორჯონიკიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „16 წლის წინათ ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით წითელი არმია დაეხმარა ბაქოს პროლეტარიატსა და მშრომელებს, რათა ეხსნა ისინი საძულველი მუსავატური მთავრობისაგან, ბეგებისა და კაპიტალისტების მთავრობისაგან“³.

პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო მეფისა და მუსავატური იუსტიციის ორგანოების დამსხვრევა.

ძველი სახელმწიფო დაწესებულებების, მათ რიცხვში სასამართლო აპარატის ლიკვიდაციისა და საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფო მექანიზმის შექმნისათვის ბრძოლამ ფართო გაქანება მიიღო აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისიის 1920 წლის 2 მაისის ბრძანებით თანამდებობის პირებს, რომლებიც ეკუთვნოდნენ ყოფილ იუსტიციის სამინისტროს უწყებას, წინადადება მიეცათ შეეჩერებინათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება და შეეწყვიტათ მათთან დავშირებით ყოველგვარი განკარგულების გაცემა⁴.

აზერბაიჯანის რევკომის 1920 წლის 13 მაისის დეკრეტით გაუქმდა აზერბაიჯანის სასამართლო პალატა, ქალაქების ბაქოსა და განჯის საოლქო სასამართლოები, პროკურატურის და სასამართლო გამოძიების ორგანოები. ამავე დეკრეტით ლიკვიდირებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი⁵.

¹ Известия врем. револ. Комитета Азербайджана от 29 апреля 1920 г.


² История Коммунистической партии Азербайджана. Баку, 1958 г., стр. 351—352.

³ С. Орджоникидзе. Избранные статьи и речи», 1911—1937 г., стр. 469, изд. 1939 г.

⁴ ЦГАОР Азерб. ССР, стр. 169, ОПС.

⁵ Газ. «Известия» от 13 мая 1920 года.

11. 11. 1966





ბუჩუყუაზიული სასამართლო ორგანოების ნაცვლად იქმნებოდა ადგილობრივი სახალხო სასამართლოები. იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაევალა სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთიანი სისტემა სახალხო სასამართლოებისა⁶ და საგამოძიებო კომისიებისა⁷.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებში, რთული პირობების მიუხედავად, სასამართლო ორგანოების მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა. სასამართლოს შესახებ დეკრეტის მიღებიდან სულ რაღაც სამი ოთხი თვის გავლის შემდეგ სახალხო სასამართლოები შეიქმნა აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე. დეკრეტში არაფერი იყო ნათქვამი შარიატის სასამართლოების ლიკვიდაციაზე. ეს იმით აიხსნებოდა, რომ აზერბაიჯანში შუა აზიისა და დაღესტნისაგან განსხვავებით ადგილობრივი მოსახლეობის შედარებით მაღალი კულტურული დონის გამო შარიატის სასამართლოების მოქმედების სფერო უკვე ცარიზმის ბატონობის პერიოდშივე შეზღუდული იყო. ისინი ძრითადად განიხილავდნენ იმ დავებს, რომლებიც შეეხებოდა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობას.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, როდესაც მოსახლეობა დარწმუნდა სოციალისტური წყობის ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხასიათსა და საბჭოთა კანონმდებლობის სამართლიანობაში, შარიატის სასამართლოს მოსახლეობა თითქმის არ მიმართავდა და 1921 წელს მან ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იუსტიციის სახალხო კომისრის აზ. ალიევის დებეშა რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისრის ლ. ი. კურსკისადმი, სადაც ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მოქმედებენ სასამართლოები, რომლებიც შეიქმნა აზერბაიჯანის რევკომის 1920 წლის 12 მაისის დეკრეტის საფუძველზე. სხვა სასამართლო ორგანოები, მსგავსი დაღესტნისა და თერგის ოლქებში არსებული სასამართლოებისა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ არის⁸.

როგორც ზემოთ ითქვა, დეკრეტი სახალხო სასამართლოების შესახებ აზერბაიჯანის რევკომმა გამოსცა 1920 წლის 12 მაისს⁹. იმავე დღეს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მიიღო დებულება სასამართლოების შესახებ¹⁰.

ამ დეკრეტს საფუძველად დაედო რსფსრ-ს № 1, № 2 და № 3 დეკრეტები და დებულება სასამართლოების შესახებ. 1920 წლის 12 მაისის დეკრეტის ძირითადი დებულებანი, საბჭოთა სასამართლოების ორგანიზაციისა და მოქმედების პრინციპები (სასამართლოს არჩევითობა, მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა, სამართალწარმოება ეროვნულ ენაზე, სასამართლოს სისტემის ერთიანობა, პროცესის საჯაროობა, ბრალდებულის უფლება დაცვაზე, პროცესის უშუალოება) ემთხვეოდა რსფსრ-ს დეკრეტებს.

სოციალისტური სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპები, რომელსაც ადგენდა 1920 წლის 12 მაისის დეკრეტი, გარკვეული ცვლილებებით, ზე-

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ ЦГАОР, Азерб. ССР, ф. 169, оп. I, д. 29, л. 15.

⁹ СУ Азерб. ССР, № 1, стр. 5.

¹⁰ ЦГАОР Азерб. ССР, ф. 169, оп. I, д. 1661, л. 9—13.

გავლენას ახდენდა საბჭოთა სამართალწარმოებაზე, მისი განვითარების შემდგომ ეტაპებზეც.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დეკრეტი სახალხო სასამართლოების შესახებ ასახავდა ლენინურ იდეებს საბჭოთა კანონიერებისა და მართმსაჯულების შესახებ. დეკრეტი გახდა ძირითადი სამართლებრივი ბაზა ახალგაზრდა პროლეტარული სასამართლო სისტემისათვის, იგი განმარტავდა სასამართლოს ამოცანებს, ხაზს უსვამდა სოციალისტური მართლშეგნების უდიდეს მნიშვნელობას. საქმის განხილვისას სასამართლო ვალდებული იყო დეკრეტის 22-ე მუხლის მიხედვით ეხელმძღვანელა აზერბაიჯანის მუშურ-გლეხური მთავრობის კანონებით, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში სოციალისტური მართლშეგნებით.

დეკრეტის ეს მითითება სრულიადაც არ ნიშნავდა კანონიერების პრინციპებიდან გადახვევას. ამ პერიოდში საბჭოთა კანონმდებლობა ჩამოყალიბების ფაზაში იმყოფებოდა. გამოცემული კანონები ვერ ახდენდნენ ყველა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას, რაც აღმოცენდებოდა ხოლმე ახალგაზრდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში.

სოციალისტური მართლშეგნება ყოველთვის წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელ პირობას¹¹. ამ პერიოდის სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სახალხო სასამართლოები საქმეებს წყვეტდნენ საბჭოთა დეკრეტების მოთხოვნათა საფუძველზე, ხელმძღვანელობდნენ რა რევოლუციური სინდისითა და რევოლუციური მართლშეგნებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბაქოს მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს 1920 წლის 10 ნოემბრის განაჩენი ს. და გ-ს საქმესთან დაკავშირებით, რომელთაც ბრალად ედებოდათ უბანდეროლო სიგარეტებით ვაჭრობა. განაჩენში ნათქვამია: „მიიღო რა მხედველობაში, რომ 1) ს. და გ-ს ბრალად ედებოდათ უბანდეროლო სიგარეტებით ვაჭრობა, რომ 2) სასამართლოს შესახებ დეკრეტის მე-2 მუხლის თანახმად განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანისას დამხობილი მთავრობის კანონებზე დაყრდნობა შეუძლებელია და 3) დეკრეტის 22 მუხლის მიხედვით თუ დეკრეტში შესაბამისი მუხლი არ იქნებოდა მითითებული, მოსამართლეები იხელმძღვანელებენ სოციალისტური მართლშეგნებით და ამის მიხედვით უბანდეროლო სიგარეტებით ან თამბაქოთი ვაჭრობა არ წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი წესით დასასჯელ ქმედობას; სასამართლომ, იხელმძღვანელა რა დეკრეტის 22-24 მუხ. მუხ. დაადგინა: ს. და გ. უდანაშაულოდ იქნან ცნობილი¹².

ბაქოს მე-12 უბნის სახალხო სასამართლოს მიმართეს სოფელ სარაის მცხოვრებ მოქალაქე ა-ს ქალიშვილებმა განცხადებით იმის შესახებ, რძი მამის გარდაცვალების შემდეგ მათ დარჩათ აბანო ბიძასთან საერთო სარგებლობაში. უკანასკნელი გარდაიცვალა, ხოლო მისმა მემკვიდრემ ო-მ, ისარგებლა მოსარჩელების მცირეწლოვანობით და მთელ აბანოს დაეპატრონა. მოცემული საქმის გამო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩაწერილია: „იხელმძღვანელა რა რევოლუციური მართლშეგნებით, სახალხო სასამართლომ დაადგინა: სადავო აბანოს შემოსავალი გაიყოს სამ ნაწილად, რომლიდანაც ერთი მესამედი მიეცეთ ა-ს მემკვიდრეებს¹³.

¹¹ М. С. Строгович, Основные вопросы Советской социалистической законности, Изд. «Наука», М., 1966 г., стр. 54—65.

¹² ЦГАОР Азерб. ССР, ф. 1971, оп. 1, д. 1, л. 22.

¹³ ЦГАОР Азерб. ССР, ф. 169, оп. 1, д. 219, л. 4.

სასამართლო პრაქტიკა უშვებდა გადახვევას საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის სფეროში. ეს საკითხი სპეციალური განხილვის საგანი გახდა სახელმწიფო ბაიჯანის სასამართლო მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე 1921 წლის იანვარში.

ყრილობაზე გამოსულმა ნუხის სახალხო სასამართლოს მოსამართლემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა შარიატის სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე სამემკვიდრეო და საოჯახო ურთიერთობებში. ამ საკითხზე ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „აღნიშნულ სფეროში სახალხო სასამართლოებს უჩუქდით იხელმძღვანელონ შარიატის დებულებებით, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებსა და სოციალისტურ მართლშეგნებას¹⁴.

ყრილობის გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმით, რომ განსახილველ პერიოდში საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი ახალი ნორმებით არ იყო მოწესრიგებული.

საბჭოთა სახელმწიფო უკვე 1921 წელს უარს აცხადებს შარიატის ნორმებით სარგებლობაზე და კრძალავს მის გამოყენებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა უმაღლესი სასამართლო კონტროლის გადაწყვეტილება მ-ს საქმეზე.

მ-მ წარმოადგინა ბაქოს მე-16 უბნის სახალხო სასამართლოში სასარჩელო განცხადება მეუღლისათვის შვილის ჩამორთმევის შესახებ. სახალხო სასამართლომ 1929 წლის 27 მაისს სარჩელი დაუსწრებლად დააკმაყოფილა, 19 ოქტომბერს სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა და 2 წლის ბიჭი მამას გადაეცა. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა მამის განცხადება, რომ მოპასუხე მეორედ გათხოვდა. მ-მ მიმართა იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომ სასამართლომ იგი არ დაკითხა, და მოითხოვდა გადაწყვეტილების გაუქმებას.

გაეცნო რა საქმეს, იუსტიციის სახალხო კომისარიატის უმაღლესი სასამართლოს კონტროლის განყოფილება დარწმუნდა, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ბავშვის ჩამორთმევის შესახებ არა კანონიერი იყო შემდეგი მიზეზების გამო: სასამართლო ხელმძღვანელობდა შარიატის ნორმებით, რომლის მიხედვით ქორწინების შეწყვეტისას შვილს მამას აკუთვნებდნენ. ამასთან სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს საბჭოთა დეკრეტითა და სოციალისტური მართლშეგნებით. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე გაუქმებული იქნა და ხელახალი განხილვისათვის გადაეცა მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს¹⁵.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა ქონდა სასამართლოში ეროვნული ენის გამოყენებას, რაც დეკრეტით იყო განმტკიცებული. დეკრეტის 21 მუხლი იუწყებოდა: „აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკაში სამართალწარმოება დაშვებულია ადგილობრივ ენაზე“, ამით აზერბაიჯანის მშრომლებს შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი ინტერესები დაეცათ სასამართლოში და სასამართლო პროცესი ჩატარებულიყო მათ მშობლიურ ენაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამართალწარმოება ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე წარმოებდა. სასამართლო ორგა-

¹⁴ ЦГАОР Азерб. ССР, ф. 169, оп. I, д. 219, л. 4.

¹⁵ იხ. «Известия» НКЮ Азерб. ССР, № 7, стр. 10, 1922 г.

ნოები მოწყვეტილი იყვნენ ხალხის მასებს, მშრომელთათვის სასამართლო იყო „დათრგუნვის აპარატი, ბურჟუაზიული ექსპლოატაციის ბასრი იარაღი“¹⁶.

დეკრეტმა სასამართლოების შესახებ შექმნა ერთიანი სასამართლო სისტემა. სახალხო სასამართლოს საკასაციო ინსტანციას სახალხო სასამართლოთა საბჭო წარმოადგენდა. როგორც სახალხო სასამართლო, ისე სახალხო სასამართლოების საბჭო მოქმედებდნენ აზერბაიჯანის მუშურ-გლეხური მთავრობის კანონების საფუძველზე. ამავე საწყისებზე მოქმედებდნენ აზერბაიჯანის სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალები.

მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულების მონაწილეობა, მოსამართლეთა არჩევითობა და სოციალისტური სამართლის სხვა დემოკრატიული პრინციპები, რეგლამენტირებული იყო 1920 წლის 12 მაისის დეკრეტით სასამართლოების შესახებ. დეკრეტის 63-ე მუხლი ადგენდა სასამართლოს ყველა სხდომის ღიად ჩატარებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე განიხილებოდა დახურულ სხდომაზე. პროცესის საჯაროობა საბჭოთა სასამართლოს შექმნის პირველი დღიდანვე მისი მოღვაწეობის არსებითი ნიშანია¹⁷.

1920 წლის 27 სექტემბერს გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა: „16 სექტემბერს ქალაქ ყუბაში ჩატარდა უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის გამსვლელი სესია. განიხილებოდა ა-ს საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა შეიარაღებული აჯანყების მიზნით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა ე-ს ბანდასთან ერთად. პროცესი მიმდინარეობდა მუშათა კლუბში. დარბაზში ტევა არ იყო. სასამართლო პროცესზე გამოაშკარავდა, რომ ორი მოწმე, რომლებმაც სამართალში მიცემულის საწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს, ყოფილი ჟანდარპები აღმოჩნდნენ; ამათგან ერთი დაპატიმრებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ და შემდეგ ამნისტიით განთავისუფლებული. გარკვეული ხრიკებით მათ შეაღწიეს საბჭოთა დაწესებულებაში და ასრულებდნენ ყოველგვარ საიდუმლო დავალებებს. პროცესზე მათი ჩვენების სიყალბე დადასტურდა. საზოგადოებრივ ბრალმდებელის შუამდგომლობით ისინი ადგილზევე აყვანილ იქნენ პატიმრობაში. დამსწრე საზოგადოება ამ ღონისძიებას აღფრთოვანებული შეხვდა. სამართალში მიცემულის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი. დარბაზში გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს სამართლიან მუშურ-გლეხურ სასამართლოს, გაუმარჯოს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს!“

სხდომა დამთავრდა მქუხარე „ვამას“ შეძახილებით და „ინტერნაციონალით“¹⁸.

სახალხო სასამართლოებს დაექვემდებარა სამოქალაქო და სისხლის სამართლის ყველა საქმე. მას არ ექვემდებარებოდა მხოლოდ ისეთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულებანი, როგორიც იყო შპიონაჟი, საბოტაჟი, კონტრრევოლუციური დანაშაულობანი.

სახალხო მოსამართლე საქმეს, მისი სირთულის მიხედვით, განიხილავდა ერთპიროვნულად, ორი ან ექვსი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. სახალხო

¹⁶ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 36, стр. 162.

¹⁷ См. История Советского государства и права. Советское государство и право в период строительства социализма. Книга вторая, М., 1968, стр. 612. М. В. Кожевников. История Советского суда. М., 1957, стр. 63.

¹⁸ Газ. «Коммунист» от 27 сентября 1920 г.

სასამართლოების საბჭო, რომელიც სახალხო სასამართლოებისათვის საკასაციო ინსტანციას წარმოადგენდა, შედგებოდა თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა, მუდმივი წევრების და ოლქის მოსამართლეებისაგან. უკანასკნელნი რიგრიგობით მონაწილეობდნენ საბჭოს სხდომებში.

თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და მუდმივი წევრები ირჩეოდნენ სახალხო მოსამართლეთაგან მათსავე ყრილობაზე, შემდეგ მათ ამტკიცებდა იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

სახალხო სასამართლოების საბჭოსთან არსებობდა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის განყოფილებანი, მაზრებში პროცესის ჩასატარებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატი აწყობდა გამსვლელ სესიებს.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის პირველ დეკრეტებში გაშუქებულ სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების დებულებებს უდიდესი პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდათ.

1920 წლის 12 მაისის დეკრეტის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო გააუქმა ძველი სასამართლო აპარატი, არამედ შექმნა ახალი, ჭეშმარიტად სახალხო სასამართლო.

აქაბალმთ საბჭოთა ხალხის სამართლებრივი კულტურა

ი. ივანიშვილი,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თანამედროვე ეტაპზე პარტია აყენებს სოციალისტური მართლწესრიგის განუხრელად დაცვასა და სრულყოფას. მისი წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი პირობა, როგორც განსაზღვრულია სკკპ პროგრამაში, არის ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნისმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ყოველმხრივი განვითარება, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და განმტკიცება.

ვ. ი. ლენინი თავის შრომებში მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მშრომელთა განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებით არის შესაძლებელი წარმატებით გადაწყდეს ის ისტორიული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები, რომლებიც დაისვა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინაშე.

ვ. ი. ლენინი, ლაპარაკობდა რა სოციალისტური კულტურისა და კანონიერების ორგანულ ურთიერთკავშირზე, აღნიშნავდა, კანონიერების გარეშე „...ყოველგვარ კულტურაზე ლაპარაკი ზედმეტი არისო“.¹ საბოლოო ანგარიშით კანონიერების მაღალი დონე ხელს უწყობს სამართლებრივი კულტურის ფორმირებას და განვითარებას, რომელიც თავის მხრივ აქტიურ ზეგავლენას ახდენს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებაზე.

ამიტომ საბჭოთა ხალხის სამართლებრივ აღზრდას, მაღალიდეურ, ქმედით და მიზანდასახულ სამართლებრივ პროპაგანდას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში.

ამასთან პრაქტიკაში ხშირად სამართლებრივ პროპაგანდას გამარტივებულად, რომ არა ვთქვამთ პრიმიტიულად, განსაზღვრავენ და დაჰყავთ იგი კანონების პერიოდულ განმარტებამდე, სამართლებრივ თემებზე ლექციების მოწყობამდე და სასამართლო კრიმინალურ ქრონიკებამდე. უდგება რა სამართლებრივ პროპაგანდას ამ თვალსაზრისით, ზოგიერთი მას ხაკლებად მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს და დროდადრო გაიხსენებს ხოლმე მას ყოველგვარი გააზრებული სისტემის გამოუყენებლად. ლაპარაკი ამგვარი შეხედულებების მცდარობაზე ზედმეტია.

ჯერ კიდევ ძველ რომში იყო გაბატონებული აფორიზმი: „სახელმწიფო-სამართალია, სამართალი — სახელმწიფოა“. სახელმწიფოსა და სამართლის თანამედროვე მარქსისტულმა თეორიამ მეცნიერულად დაასაბუთა ამ ორი ცნების განუყოფლობა, მათი ორგანული ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთკავშირი.

¹ В. И. Ленин, Полн. собрание соч., т. 46, стр. 199.



სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზაცია ეკონომიურად გაბატონებული კლასისა, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში, კანონში გამოხატული ნება ამ კლასისა.

სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის არც ერთი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენა ან ურთაერთობა სამართლებრივი რეგულირების სფეროს გარეშე.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან (საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონი) დაწყებული ვიდრე საქორწინო-საოჯახო ურთიერთობამდე სოციალისტური სამართლის მთელი სისტემა ემსახურება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, ხალხის ინტერესებს.

ამგვარად, სამართლის პრობაგანდა სახელმწიფოს, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიური საფუძვლის, მისი სოციალ-პოლიტიკური სახის, მისი მორალურ-ეთიკური საფუძვლების პრობაგანდაა.

სამართლებრივი პრობაგანდის განვითარებაში, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში მნიშვნელოვან, ფასდაუდებელ როლს ასრულებენ როგორც მასობრივი ინფორმაციის (პრესა, ტელევიზია, რადიო, კინოქრონიკა და ა. შ.) საშუალებანი, ისე ლექციები, პოპულარული გამოცემები, ლიტერატურა სამართლებრივ თემებზე, პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემა, იურიდიული სამეცნიერო და ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და ორგანოების პრობაგანდისტული საქმიანობა და ა. შ.

სამართლებრივი პრობაგანდის ძირითადი მიზანია საზოგადოებრივი მართლშეგნების მიზნობრივი კონსტრუქციის, საზოგადოებრივი აზრისა და ადამიანის ქცევის განსაზღვრული სტრუქტურის შექმნა, რაც უნდა გამომდინარეობდეს სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის ინტერესებიდან.

ეს მიზანი საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს სამართლებრივი პრობაგანდის იმ საერთო და კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც თავის ერთობლიობაში მოითხოვს გულმოდგინედ მოფიქრებულ და მარჯვედ კოორდინირებულ სისტემას.

სამართლებრივი პრობაგანდის როლი განსაკუთრებით იზრდება თანამედროვე პირობებში. სოციალისტური დემოკრატიის განუხრელი განვითარება, მშრომელებისა და მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მზარდი მონაწილეობა სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ფუნქციების უშუალო განხორციელებაში მოითხოვს მათგან საბჭოთა სამართლის საფუძვლების კარგ ცოდნასა და აქტიურ საქმიანობას მათი განუხრელად დაცვისათვის.

დაბალი სამართლებრივი კულტურის გამოვლენა საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის მიერ სხვადასხვაგვარია. ეს შეიძლება გამოიხატოს კანონის პირდაპირი დარღვევით ან ცდით გვერდი აუაროს მას ამ მოქმედების საზოგადოებრივად საშიში სოციალური შედეგების გაუთვალისწინებლად, ან კანონის უცოდინარობით, რაც ხელს უშლის მის შეგნებულ შესრულებას და ა. შ. ყველა ეს მოვლენა თავის მხრივ იწვევს საზოგადოების მორალურად და მატერიალურად დაცემას, რომელსაც სოციალისტური სახელმწიფო ვერ შეურიგდება.

ამიტომ კანონის ცოდნის პრობლემა, მოქალაქეთა აღზრდა კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით სამართლებრივი პრობაგანდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

აუცილებელია მოეწყოს საბჭოთა სამართლებრივი სისტემის ძირითადი დებულებების პოპულარული განმარტება, იურიდიული კონსულტაციები, გამო-

ქვეყნდეს სტატიები, იურისტებისა და ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკთა გამოსვლები და საუბრები კანონმდებლობის კონკრეტულ საკითხებზე, მკითხველებისათვის საინტერესო პასუხები და ა. შ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის ინტერესი იურიდიულ საკითხებისა და პრობლემებისადმი დიდია, მაგრამ იგი სათანადოდ არ კმაყოფილდება ამასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ეს ნაკლოვანებანი ადვილი შესამჩნევია. ეს ნაკლოვანებანი ატარებენ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რაოდენობრივ ხასიათს, რადგანაც ჩვენს პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში ცოტა კარგად დაწერილი სტატიები და საუბრები კანონსა და მის როლზე საზოგადოებაში.

ლექციურ პროპაგანდაში კი უფრო ხშირია ხარისხობრივი ნაკლოვანებანი, რადგან ლექციების უმრავლესობა სამართლებრივ თემაზე ზოგად, დამრიგებლურ ხასიათს ატარებს, ეწყობა კონკრეტული პირობებისა და აუდიტორიის შემადგენლობის გათვალისწინებლად, მწვავე საჭირობოტო პრობლემების დაუყენებლად.

სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციის დროს ყოველთვის მხედველობაშია მისაღები, რომ ბრძოლა დანაშაულობასთან წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს თვითეული ორგანოს, მთელი საზოგადოების, ყოველი მოქალაქის ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ ამოცანას. ამ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების დიდი უმრავლესობა მოითხოვს სერიოზულ დაფიქრებას.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სოციალისტური საკუთრებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების საქმიანობაში, რომლებიც ხშირად განიხილვენ მართლწესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა აღმოფხვრის საკითხებს. ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების კომისიები სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დასაწყისში ჩატარებულ პარტიულ აქტივებსა და რაიონული კომიტეტის პლენუმებზე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოების სესიებზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, თვითეული კომუნისტისა და დეპუტატის როლს დანაშაულობასთან ბრძოლაში, მართლწესრიგის დაცვაში მშრომელთა მობილიზაციას.

დასახულია და წარმატებით ხორციელდება პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონკრეტული გეგმები დანაშაულის პროფილაქტიკისა და დასახლებულ ადგილებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, პარტიული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ეს საქმიანობა მკრთალად შუქდება გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ თვისი, მნიშვნელობა და აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა კანონიერების დაცვის საქმეში ფაქტიურად მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აქტიური მხარდაჭერის გარეშე მიმდინარეობს.

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს ამა თუ იმ ფუნქციის განხორციელებაში. ეს

ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ჩვენი სახელმწიფოს ხალხურობისა, რეალური დადასტურება კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობებისა.

სამართლებრივი პროპაგანდის მნიშვნელოვანი უბანია კანონიერების საღარაჯოზე უშუალოდ მდგომი ორგანოების — შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის რეგულარული და ობიექტური გაშუქება.

ცალკეული დანაშაულებრივი გამოვლინებანი, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, საერთოდ სწრაფად ვრცელდება საზოგადოებრიობაში და ამასთან მეტწილად დამახინჯებული და გაზვიადებული სახით. ხოლო ის მდგომარეობა, რომ ორგანოს მუშაკების მიერ ამ დანაშაულთა უმეტესობა ოპერატიულად იხსნება და დამნაშავენი მკაცრად ისჯებიან, საზოგადოების უფრო მცირე ფენისათვის ხდება ცნობილი. ეს კი ხელს არ უწყობს დასჯის გარდუვალობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, რომელიც მართლწესრიგის განმტკიცების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს და თავის მხრივ მეტად ეფექტური გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური საშუალებაა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ხალხის სიმშვიდის დაცვა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სახიფათო, რთული და კეთილშობილი პროფესიაა და სხვა პროფესიებთან შედარებით მას უფრო ნაკლები პოპულარიზაცია არ უნდა გაეწიოს.

საჭიროა ხშირად მოვეუხსროთ მკითხველებსა და მსმენელებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე, მათი საუკეთესო მუშაკების მძიმე სამუშაოზე, რომელთა თვითეული დღე რთული, თავსატეხი ამოცანაა, რის ამოხსნისათვის ვერ ჩაიხედავ ვერც ერთ ცნობარსა და სახელმძღვანელოში.

მთელი საზოგადოება, ყოველი მოქალაქე, დაინტერესებულია, რომ სასამართლოს, პროკურატურის და მილიციის ორგანოები რაც შეიძლება მეტი წარმატებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომ საჭიროა მათი საქმიანობის ჯანსაღი კრიტიკაც. ეს არა მარტო განამტკიცებს ამა თუ იმ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში ცალკეულ სუსტ მხარეებს, არამედ უფრო დაახლოებს მათ საზოგადოებასთან, განამტკიცებს მათ შორის ურთიერთდობასა და ურთიერთდახმარებას.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოების აზრზე კანონის აღმზრდელობითი ზემოქმედება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუ კანონის განმხორციელებელი პირი თვითონ უმწიკვლოდ იცავს მას.

იქ, სადაც კანონიერებას არღვევს კანონიერების განმხორციელებელი პირი, ყოველგვარი სამართლებრივი პროპაგანდა არარაობამდე დავა. მსგავს ფაქტებს საზოგადოებრიობამ, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუტყუდონ.

ბუნებრივია, სამართლის პროპაგანდა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ ჩვენი საზოგადოების თვითეულ წევრს ჩვენუნიერგოთ პასუხისმგებლობის გრძნობა, განუუვითაროთ და განუმტკიცოთ იმის შეგნება, რომ ყველაზე აქტიური მონაწილეობის მიღება ამ ნაკლოვანებათა, დარღვევა ლიკვიდაციაში არა მარტო მათი უფლებაა, არამედ მათი აუცილებელი მოქალაქეობრივი მოვალეობაა, თვით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის პრინციპებით ნაკარნახევი.

ყველა საშუალებით უნდა გაეწიოს პროპაგანდა მოქალაქეთა აქტიურ საქმიანობას ცალკეული კონკრეტული დარღვევებისა და ბოროტმოქმედების გახსნასა და აღკვეთაში, უაღრესად ენერგიულად და ყოველმხრივ უნდა დაეჭიროს



მათ მხარი ამ კეთილშობილურ საქმეში, შეიქმნას მათ გარშემო საერთო პატივისცემისა და მიმბაძველობის ატმოსფერო, ხოლო მოქალაქეთა მიერ ყოველგვარი პასიურობის, ობივატელური ფილოსოფიის — „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“—ს გამოვლინება მწვავედ და დაუზოგავად უნდა აღმოიფხვრას.

პრესას, რადიოს, ტელევიზიას, დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ პროპაგანდისა და სამართალდარღვევის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ღონისძიებათა უშუალო განხორციელებაში, რადგან სოციალისტური საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ყველა საშუალების გამოყენებას იმისათვის, რომ არ მოხდეს დანაშაული, ვიდრე საჭირო გახდეს დამნაშავე პირის დასჯა.

სამართალდარღვევის თავიდან აცილების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა ისიც, რომ ამაღლდეს პასუხისმგებლობა იმ კოლექტივისა, სადაც მუშაობს სამართალდარღვევი ან მისი მშობელი, სკოლებისა, რომლებიც ზრდიან მას, ოჯახებისა, გარშემო მყოფი ხალხისა. აქ, ისევე როგორც სხვაგან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესაძლებლობანი მეტად დიდია.

ბოლოს, სამართლებრივი პროპაგანდა უაზრობა იქნება, თუ შეუპოვრად არ გამოვავლენთ კანონიერების ყოველგვარ დარღვევას და მტკიცედ არ შევებრძოლებით მას. ცნება „საბჭოთა პრესა“, „საბჭოთა ჟურნალისტი“ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ შეგნებული არ გვექნება მაღალი მოქალაქეობრიობა, თუ არ ვაწარმოებთ ყოველდღიურ ბრძოლას პროგრესულის დანერგვისათვის და იმის წინააღმდეგ, რაც ხელს გვიშლის ვიცხოვროთ და ვიშრომოთ.

ჩვენს პრესას, რომელიც მტკიცე იარაღია პარტიისა და ხალხის ხელში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან ერთად მდიდარი ტრადიციები აქვს აქტიური ბრძოლისა საბჭოთა კანონის განმტკიცებისათვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების ყოველი დანაშაულებრივი დარღვევის წინააღმდეგ.

იქ, სადაც საჭიროა მთელი საზოგადოების, მთელი სახელმწიფო ორგანოების ძალა წარიმართოს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ცალკეული უარყოფითი მოვლენების ლიკვიდაციისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი უცვლელია, რადგან ისინი ქმნიან საზოგადოებრივი შეუწყნარებლობისა და აქტიური წინააღმდეგობის ატმოსფეროს სოციალისტური მართლწესრიგის ხელყოფის მიმართ.

საიღუმლო არ არის, რომ ზოგიერთ უწყებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების გატაცების სამარცხვინო ფაქტებს.

ზოგიერთი მუშაკი ბოროტად იყენებს ნდობას, ხალხის მსახურიდან უსულგულო ჩინოვნიკად ან ბიუროკრატად იქცევა, ხოლო ზოგჯერ ანგარებისა და კარიერიზმის გამო პარტიის, სახელმწიფოსა და ხალხის მოტყუების გზას ადგება. ეს გარწრები სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს, ზიანს აყენებენ სახელმწიფოს და მშრომელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევენ.

ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებენ ყველაზე ენერგიულ ბრძოლას საზოგადოებისათვის ამ საშიში დანაშაულის წინააღმდეგ. ამასთან ამ ბრძოლის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე პირობებს, ამ ბრძოლაში ჯერ კიდევ არასაკმაო აქტივობით მონაწილეობენ პროფკავშირული ორგანიზაციები, საზოგადოება.

მოსახლეობის განსაზღვრულ ნაწილს ეს უქმნის მცდარ წარმოდგენას მექრთამეებისა და გამომძალველების დაუსჯელობაზე, მათი დანაშაულებრივი საქ-



მიანობის დათრგუნვაზე, არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზეც, რომ განსაზღვრული ხარისხით ეს არასწორი განწყობილება არასასურველ პოლიტიკურ ელფერს იღებს.

ამ განწყობილებათა დაძლევა და ამით ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მშრომელთა ფართო მასების სახით ყველაზე მასობრივი და ძლიერი მოკავშირის უზრუნველყოფა მეტად რთულია, თუ ამ საქმეში აქტიურად არ მონაწილეობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისას აუცილებელია მწვავედ, პიროვნების გაუთვალისწინებლად, მაგრამ ყოველგვარი სენსაციის გარეშე გაიხსნას ცალკეული დანაშაულებრივი გამოვლინებანი, გამოკვლულ იქნას ის მიზეზები და პირობები, რომელთა შედეგად ისინი წარმოიშვნენ. აქვე უნდა გაუშქდეს შესაბამისი ორგანოების მუშაობა დანაშაულის გახსნისას, მასში საზოგადოების ან კონკრეტულად წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა ან უმოქმედობა.

ჩვენს პირობებში პარტიის პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის მაქსიმალური ამაღლება დაკისრებული მოვალეობისათვის.

სკკპ ცკ და საქართველოს კპ ცკ დეკემბრის პლენუმზე ამ საკითხს დიდი ყურადღება მიექცა. აღინიშნა, რომ ხელმძღვანელი კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა უბანზე წარმომადგენს სოციალისტური წარმოების, კომუნისტური მშენებლობის ეფექტურობის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვან პირობას.

აღინიშნა ფაქტები, როცა ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლობამ, უყაირათობამ, ბიუროკრატიზმმა და ზოგჯერ უსინდისობამაც სერიოზული ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს.

„ყველა ჩვენს ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს კპ ცკ დეკემბრის პლენუმზე ანხ. ვ. პ. მყავანაძემ, — რომ, როგორც ნათქვამია კანონში, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადოდ შესრულება, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, სისხლისსამართლებრივი დანაშაულია, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მკაცრად უნდა მისდიონ ამ დებულებას“.

პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ და პროპაგანდის სხვა საშუალებებმა უდიდესი წვლილი უნდა შეიტანონ ამ მითითებათა რეალიზაციაში. კონკრეტულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, რომლებიც ჩვენ არცთუ ისე იშვიათად გვხვდება, თავიანთი კონკრეტული დამნაშავენი ჰყავს. უნდა საქვეყნოდ ვახსენოთ ისინი, მოვუწოდოთ წესრიგისაკენ და მოვითხოვოთ მათი დასჯა.

მით უმეტეს, რომ გაზეთების, ჟურნალების რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში შედის მოსახლეობის უამრავი წერილი და განცხადება, სადაც მათ კონსტრუქციულ წინადადებებთან ერთად მოჰყავთ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ანდა ცალკეულ თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების მრავალი ფაქტი.

ცენტრალურ პრესაში საკმარისად გვხვდება იმ მუშაკების მწვავე პუბლიცისტური კრიტიკა, რომლებიც უგულვებელყოფენ სამსახურებრივ მოვალეობას. ასეთ გამოსვლებს, როგორც წესი, დიდი აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი

შელი მნიშვნელობა აქვს, იწვევს საზოგადოებისათვის მეტად სასარგებლო რეზონანსს.

ჩვენი რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა პრაქტიკაში ასეთი საზოგადოებრივი კრიტიკის ფართოდ დანერგვა დიდ როლს შეასრულებდა კადრების პარტიული აღზრდის საქმეში და მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამადლებათაში.

დიდი როლის შესრულება შეუძლია კარგად ორგანიზებულ სამართლებრივ პროპაგანდას მექრთამეებთან, ლოთებთან, ხულიგნურ ელემენტებთან, ყველა სხვა დანაშაულებრივ და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებასთან ბრძოლაში ასეთი შესაძლებლობანი ჩვენს პრესას, ტელევიზიასა და რადიოს საკმარისად აქვთ, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შესაძლებლობანი მთელი ძალით იქნება გამოყენებული.

სამშუალებანი, რომლებსაც იყენებენ და შეიძლება გამოიყენონ სამართლებრივი პროპაგანდასათვის, სხვადასხვაგვარია, სხვადასხვაა მათი სპეციფიკური ფორმები, შესაძლებლობანი. აუცილებელია გავაერთიანოთ ყველა ისინი ერთიანი ამოცანითა და ერთი მიზნით უზრუნველვყოთ მათი შეთანხმებულობა და კოორდინაცია.

ჩვენს პირობებში სამართლებრივი პროპაგანდის ძირითადი ფორმა ლექციები და მოხსენებები იურიდიულ თემებზე. ამ ლექციათა რაოდენობა მეტად მნიშვნელოვანია და კარგი იქნება, თუ მათ მაქსიმალურად დაეუახლოებთ ცხოვრებას და თუ მათში გამოყენებული იქნება ფაქტიური მასალები სინამდვილიდან.

რესპუბლიკის მთელ რივ ქალაქებში მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტებმა. მათი მსმენელები ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონული (საქალაქო) აღმასკომის, სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან.

მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე კითხვა-პასუხის საღამოები, რომლებიც ეწყობა დაწესებულებებში, საწარმოებში, მიკრორაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აუდიტორია, როგორც წესი, ცოცხლად ეხმაურება ლექტორთა — შსს, პროკურატურის, სასამართლოსა და ადვოკატურის წარმომადგენელთა გამოსვლებს, აძლევს მათ ათობით შეკითხვას. ასეთი შეხვედრები მსმენელთა მაღალი აქტივობით მიმდინარეობს.

სამართლებრივი პროპაგანდის, მოქალაქეთა მართლშეგნების დონის ამადლებათაში დიდ როლს ასრულებენ მილიცია, პროკურატურა, სასამართლო. ამჟამად ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები თავიანთ მუშაობაში, კადრების შერჩევასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესებას, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებათ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეთაგან ერთს, საქართველოს სსრ პროკურორსა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს. დამტკიცებულია საჯარო ლექციების პრობლემათა ნუსხა, მომზადებულია საკითხები პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გასაშუქებლად, შედგენილია პერსპექტიული გეგმები სამართლებრივი პროპაგანდის გასაღრმავ-



გებლად და გასაფართოებლად. ამ საკითხებს ამუშავებენ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში შექმნილი მეთოდური საბჭოები.

კანონის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია მჭიდროდ დაუკავშირდეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების პროპაგანდას, კომუნისტური მორალის მაღალ პრინციპებით აღზრდას. ეს ბრძოლა ხანმოკლე კამპანია არ არის. იგი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს, ჩვენი იდეოლოგიური და აღმზრდელი მუშაობის მთელი საშუალებებით.

ამ საშუალებათა შორის მთავარია მასობრივი ინფორმაციის ორგანოები — პრესა, რადიო და ტელევიზია. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდა უფრო მეტი სტატიები, რომლებიც განმარტავენ საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლებს, პოპულარიზაციას უწევენ სამართლებრივ ნორმებს.

პრესამ ფართო კამპანია გაშალა რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, აქტიურად ჩაერთო დანაშაულობასთან ბრძოლაში, მეტ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობას.

ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ თბილისში გამომაჯალმა თითქმის ყველა გაზეთმა და ჟურნალმა, გამოჰყო სპეციალური მუშაკები, რომლებიც აწყობენ და მიმართულებას აძლევენ პრესაში სამართლებრივ პროპაგანდას.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ტელევიზიის ის გადაცემები, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ეძღვნება, ათასეულათასობით მაცურებელს იზიდავს.

ასობით წერილი, რომლებიც სტუდიაში მოდის, ადასტურებს იმას, რომ ამ გადაცემებმა ტელემაცურებელთა გამოძახილი ჰპოვა, გულგრილი არ დატოვა აუდიტორია.

საქართველოს ტელევიზიას, ისევე, როგორც რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებს, გათვალისწინებული აქვთ მნიშვნელოვნად გააფართოონ სამართლებრივი პროპაგანდა, მრავალფეროვანი გახადონ მისი გადაცემის ფორმები — მოკლე საინფორმაციო გადაცემებიდან პრობლემურ გამოსვლებამდე, გაამდიდრონ ცისფერი ეკრანი, გაზეთის ფურცლები ახალი, საინტერესო რუბრიკებით, რომლებიც მაყურებლის, მკითხველის ყურადღებას მიაპყრობენ ცხოვრებისეულ პრობლემებს — საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, დამნაშავეობის შემცირებას.

დამახასიათებელია, რომ თბილისის იმ ჟურნალისტთა საქმიანობა, რომლებიც კვალიფიკაციას იღებენ სამართლებრივ საკითხებში, მიმდინარეობს საქართველოს კპ ცკ-ის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებასთან უშუალო კონტაქტში.

როგორც ცნობილია, განყოფილებასთან შექმნილია სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის საზოგადოებრიობის მობილიზაციის ჯგუფი.

მასში ჩართული არიან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და ადვოკატურის წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მუშაკები, ჟურნალისტები. ეს ჯგუფი სასარგებლო მუშაობას აწარმოებს რესპუბლიკაში სამართლებრივი პროპაგანდის კოორდინაციისათვის.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივი პროპაგანდა, პრესა, რადიო და ტელე-
ვიზია ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არასაკმაოდ შექცება სამართლ-
ებრივი პროპაგანდის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორც არის პარტიული და
საბჭოთა ორგანოების მიერ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და
დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების დარგში საქმიანობისადმი ხელმ-
ძღვანელობა.

არასაკმაო ყურადღება ეთმობა აგრეთვე დამნაშავეობის თავიდან აცილე-
ბისა და პროფილაქტიკის საკითხებს. ამ თემას ეხებიან, როგორც წესი, ზედაპი-
რულად და საკმაოდ მოუფიქრებლად.

ჯერ კიდევ სისტემატიზებული არ არის სამართლებრივი პროპაგანდა, უმ-
ნიშვნელოა მისი ქმედითობა.

სამართლებრივ პროპაგანდაში აქტიურ მონაწილეობას ჯერჯერობით არ
იღებენ ჩვენი კინოსტუდიები სტუდია „ქართული ფილმი“ და ქრონიკალურ-
დოკუმენტური ფილმების სტუდია.

ძალიან ცოტა გამოდის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისადმი,
დამნაშავეობასთან მათი ბრძოლის, კანონისა და კანონიერების საკითხებისადმი
მიძღვნილი ფილმები და კინოჟურნალები. ამავდროს კი საიდუმლოება არ
არის, რომ ასეთი ფილმებისადმი მაყურებელი ინტერესს იჩენს, რომ მათ დიდი
აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

სერიოზული ნაკლოვანებებია იურიდიული ლიტერატურის გამოცემის საქ-
მეშიც. დღემდე არ მომზადებულა და არ გამოცემულა ქართულ ენაზე
ისეთი აუცილებელი წიგნები, როგორც არის იურიდიული ლექსიკონი, სამარ-
თლებრივი ცნობარი მოსახლეობისათვის, იურიდიული ენციკლოპედია და სხვ.
მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა, მცირე რაოდენობით გამოდის მასობრივ-
პოპულარული იურიდიული ლიტერატურა, მისი ტირაჟი განსაზღვრულია.
არასაკმარისად იბეჭდება გამოკვლევები საბჭოთა კანონის არსზე, მის ზნეობრივ
ძალაზე, მის როლზე სოციალისტურ საზოგადოებაში. ამასთან ზოგიერთი გამო-
ცემული წიგნი დაწერილია მშრალად, არ გამოირჩევა აზრის სიღრმითა და სი-
ცხოველით, მათი იდეურ-თეორიული დონე ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვ-
ნილებებს.

მეტად დასაბუთებული პრეტენზიები შეიძლება წავუყენოთ ჩვენს მწერ-
ლებს, რომლებიც უგულვებელყოფენ დეტექტიური ლიტერატურის ჟანრის მნი-
შვნელობას. მწერლები ჯერჯერობით ვერ გვახარებენ სისხლის სამართლის პრა-
ქტიკის მასალებზე შექმნილი ცხოვრებისეული მაღალმხატვრული ნაწარმოე-
ბებით.

ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს სამართლებრივი პროპაგანდის შემდგომ
გაფართოებასა და სრულყოფას. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ხელსაყრელი
პირობებია შექმნილი. საჭიროა ჩავაბათ თეორეტიკოსი და პრაქტიკუ-
ლი მუშაკები აქტიურ სამართლებრივ პროპაგანდაში. სერიოზული ყურად-
ღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ლექტორთა კადრების მომზადებას.

განა არ შეიძლება, მაგალითად, ორგანიზებულად მოეწყოს რაიონული,
სადაბო საბჭოების დეპუტატთა საუბრების ციკლი სოფლად — ვინ უფრო კარ-
გად იცნობს ადგილობრივ პირობებს, ყოფას, თანასოფლელთა საზრუნავსა და
გასაჭირს.

ზოგჯერ ამომჩვევლებთან სოფლის ცხოვრების კონკრეტული მაგალითე-



ბით გაჭერებული გულითადი საუბარი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე ათობით ლექცია.

სამართლებრივ პროპაგანდაში მონაწილეობისათვის ფართოდ უნდა მოვიზიდოთ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, რომელთა ავტორიტეტი მოსახლეობაში დიდია.

საჭირო არ არის იმის ხაზგასმა, რომ სამართლებრივი პროპაგანდის ორგანიზაციაში მთავარი, აქტიური მონაწილეობა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ.

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მოქებნონ კონკრეტული ვზები ხალხის მასებში სამართლებრივი ცოდნის დანერგვისათვის, ხალხის სოციალისტური მართლშეგნების ამაღლებისათვის. ამას დაეხმარება საუკეთესო ლექტორთა ჯგუფის გამოცდილებას ვავრცელება, სამართლებრივი პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებზე ბროშურებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა და, ბოლოს, პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელების უშუალო გამოსვლები ლექციებითა და მოხსენებებით სამართლებრივ თემებზე. სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესების დიდ რეზერვს წარმოადგენს პარტიული და კომკავშირული პოლიტიკის განათლების ქსელის შესაბამისი გამოყენება.

სამართლებრივი პროპაგანდის ყველა საშუალებათა და ფორმათა მაქსიმალური გამოყენება, მათი ხარისხის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სამართლებრივი კულტურის, როგორც კომუნისტური მსოფლმხედველობის განუყრელი ელემენტის ფორმირებას, ხელს შეუწყობს სამართლებრივი ნორმის გადაქცევას ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად და ჩვეულებად, შექმნის იურიდიული ნორმის კომუნისტური საერთო ცხოვრების წესად გადაზრდის წინაპირობას.

შუალობითი აქტიურობის სწავლა

მ. ზაზუაძე

შუალობითი აქტიურობის პრობლემა არ არის საკმარისად დამუშავებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. დღემდე არ არსებობს ამ პრობლემისადმი საგანგებოდ მიძღვნილი არცერთი გამოკვლევა არათუ მონოგრაფიის, არამედ სტატიის სახითაც კი. მხოლოდ თანამონაწილეობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში თუ შევხვდებით მსჯელობას ამ საგანზე (იქ, სადაც აქტიურობა განხილული). მაგრამ ავტორთა უმრავლესობა აქაც მეტად გაკვირვებით ეხება ამ საკითხს,¹ მაშინ, როცა, იგი უფრო დაწვრილებითი გამოკვლევების დირსია თავისი დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო.

შუალობითი აქტიურობის ცნების მოცულობა და, ამრიგად, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა დიდად არის დამოკიდებული თანამონაწილეობის ცნების მოცულობაზე. რაც უფრო ფართოა თანამონაწილეობის ცნება, მით უფრო ვიწროვდება შუალობითი აქტიურობის სფერო. მოქმედი სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობა, სახელდობრ, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მე-17 მუხლი თანამონაწილეობას განსაზღვრავს, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახვით მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. ეს აზრი ვაბატონებულია აგრეთვე სისხლის სამართლის თეორიაში.² ამიტომ თუ დანაშაულის უშუალო აქტიურობის მოქმედება გაუფრთხილებლობით, წამქეზებელი პასუხს აგებს არა როგორც თანამონაწილე, არამედ, როგორც შუალობითი აქტიურობის. ეს გარემოება აფართოებს შუალობითი აქტიურობის ცნების მოცულობას და ამით ზრდის პრობლემის დამუშავების პრაქტიკულ მნიშვნელობასაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ შუალობითი აქტიურობის ცნება თავის წარმოშობას თანამონაწილეობის ე. წ. აქცესორულ თეორიას უნდა უმადლოდეს. ამ თეორიის თანახმად, არ შეიძლება თანამონაწილეობა აქტიურობის გარეშე. წამქეზებელი იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ, თუ პირი, რომელსაც იგი აქეზებდა, ჩაიდენს და პასუხს აგებს იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც მას აქეზებდნენ. თანამონაწილეობა თავისი ბუნებით არ არის დამოუკიდებელი ფორმა დანაშაულის ჩადენისა. იგი ყოველთვის დამოკიდებულია აქტიურობის მოქმედებაზე. მაგრამ თუ ფიზიკური აქტიუ-

¹ ყველაზე უფრო სრულყოფილად შუალობითი აქტიურობის პრობლემა გამოკვლევულია მ. კოვალოვისა და თ. წერეთლის ნაშრომებში. იხ. **М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II., Свердловск, 1962, стр. 13-30., თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 117-131.**

² ამის წინააღმდეგ იხ. **А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 109-118; М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, «Правоведение», 1960, № 1, стр. 91-94; Советское уголовное право, часть общая, Изд. ленинградского университета, 1960, стр. 419-420.**



ლებელი პასუხს არ აგებს შერაცხვაუუნარობის, შეცდომის ან სხვა საპატიო გარემოების გამო წამქეზებელი ველარ განიხილება თანამონაწილედ, რადგან არა გვაქვს მთავარი დანაშაულებრივი მოქმედება, რომელშიც იგი უნდა მონაწილეობდეს. ეს ხარვეზი აქცესორული თეორიის მომხრეებმა იმით ამოავსეს, რომ წამქეზებელი თვითონ იქნა მიჩნეული ამსრულებლად, სახელდობრ, ისეთ ამსრულებლად, რომელიც დანაშაულს ჩადის არა უშუალოდ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ ე. წ. „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით. ამრიგად, აქცესორული თეორიის უარყოფა საფუძველს აცლის შუალობითი ამსრულებლობის პრობლემას. წამქეზებელი და დამხმარე ყველა შემთხვევაში ჩაითვლება თანამონაწილედ, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ შეფასდება ფიზიკური ამსრულებლის მოქმედება. ასეთ შემთხვევაში აქცესორობაზე შეიძლება მაინც ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ აზრით, რომ ფიზიკური ამსრულებელი უნდა ასრულებდეს რაიმე მოქმედებას, დამოუკიდებლად იმისა, აგებს თუ არა იგი პასუხს ამ მოქმედებისათვის. მაგრამ ეს იქნება აქცესორობა ფაქტიური და არა იურიდიული აზრით. აქცესორული თეორიის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილის მოქმედების იურიდიული შეფასება დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედებაზე. ამრიგად, ვინც აქცესორულ თეორიას უარყოფს, მან ლოგიკურად უარი უნდა თქვას შუალობითი ამსრულებლის ცნებაზეც.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გაშუქებული. იმისდა მიუხედავად, რომ გაბატონებული თვალსაზრისით თანამონაწილეობის აქცესორული თეორია უარყოფილია, საერთო აღიარებით სარგებლობს შუალობითი ამსრულებლის ცნება.³ მაგალითად, პ. გრიშაევი და გ. კრიგერი კატეგორიულად უარყოფენ აქცესორობის პრინციპს, როგორც შეუთავსებელს „საბჭოური სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან“.⁴ მაგრამ ეს გარემოება სულაც არ უშლის მათ ხელს ცნონ შუალობითი ამსრულებლობა იმ შემთხვევებში, როცა უშუალო ამსრულებელი სხვადასხვა საპატიო გარემოებათა გამო პასუხს არ აგებს ჩადენილი მოქმედებისათვის.⁵

ეს გარემოება უკვე იმას მოწმობს, რომ ჩვენი სისხლის სამართლის თეორია ფაქტიურად იზიარებს აქცესორობის პრინციპს. საბჭოურ კრიმინალისტიკაგან მ. კოვალიოვი პირველი იყო, ვინ წინაღუდგა გაბატონებულ თვალსაზრისს და გამოთქვა აზრი, რომ საბჭოური სისხლის სამართალი ვარკვეული ზომით იზიარებს აქცესორულ თეორიას, სახელდობრ, იგი აღიარებს „ლოგიკურ აქცესორობას“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილეს სასჯელი განესაზღვ-

³ ასეთსავე საყვედურს გამოთქვამს ვ. სოლნარჯი ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს (1957) ავტორთა მიმართ. იხ. **В. Солнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой Социалистической Республики, М., 1962, стр. 81-82.**

⁴ **П. И. Гришаев, Г. А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, стр. 172.**

⁵ პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, მითითებული ნაშრომი, გვ. 144—145; მაგრამ არიან აქცესორული თეორიის თანმიმდევრული მოწინააღმდეგეებიც. განსაკუთრებით თანმიმდევრულად იცაპს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიას უ. კობიაშვილი. იხ. **У. Л. Кобяшвили, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии, «Правоведение», 1963, № 3; მისივე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, «საბჭოთა სამართალი», 1968, № 3.**

რება მხოლოდ იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დადგენილია ამსრულებლობის მიერ ჩადენილი მოქმედებისათვის.⁶


დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შუალობითი ამსრულებლობის მოძღვრების წინააღმდეგ განსაკუთრებით ილაშქრებს ვ. ზაუერი. მისი აზრით, შუალობითი ამსრულებლობის ფიგურა ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქციაა, იგი არაბუნებრივი, ხელოვნური ცნებაა.⁷ შუალობითი ამსრულებელი თავისი არსით და იმით, თუ რამდენად იმსახურებს იგი სასჯელს, უცილობლად უფრო ახლოს დგას წამქეზებელთან და ინტელექტუალურ დამხმარესთან, ვიდრე უშუალო ამსრულებელთან, რომელიც თვითონ ჩადის აღსრულებით მოქმედებას.⁸ აქედან ვ. ზაუერი აკეთებს დასკვნას, რომ განდევნილ იქნეს სისხლის სამართლიდან შუალობითი ამსრულებლობის ცნება და მისი ადგილი დაიკავოს თანამონაწილეობამ. მაშასადამე, თანამონაწილეობის ცნება უნდა გაფართოვდეს იმდენად, რომ მან მოიცვას ყველა შემთხვევა წაქეზებისა და ინტელექტუალური დახმარებისა, ე. ი. ისეთი შემთხვევებიც, როცა უშუალო ამსრულებელი პასუხს არ აგებს რაიმე საპატიო მიზეზის გამო. ერთი სიტყვით, ვ. ზაუერა აღიარებს თანამონაწილეობას ამსრულებლობის გარეშე.

ამის საწინააღმდეგოდ ის უნდა ითქვას, რომ, ვ. ზაუერმა, დაიწუნა რა შუალობითი ამსრულებლის ფიგურა, როგორც ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქცია, როგორც არაბუნებრივი, ხელოვნური ცნება, თავის მხრივ შემოგვთავაზა არანაკლებ ხელოვნური ცნება თანამონაწილისა. დანაშაულში თანამონაწილის ბუნებრივი ცნება სწორედ რომ წარმოუდგენელია ამსრულებლის გარეშე. კიდევ უფრო ხელოვნური და არაბუნებრივი გამოჩნდება თანამონაწილის ზაუერისეული ცნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ცოცხალი იარაღი“ შეიძლება მართლზომიერადაც მოქმედებდეს. მაშასადამე, ამსრულებელი არა თუ დანაშაულს არ ჩადის, არამედ მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოდ კი არ არის. რომელ თანამონაწილეობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? ცხადია, თუ ჩვენ აქ უარვყოფთ შუალობით ამსრულებლობას, მით უმეტეს ვერ დავასაბუთებთ თანამონაწილეობას. ერთადერთი სწორი გადაწყვეტა საკითხისა ის უნდა იყოს, რომ ვაღიაროთ ასეთ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობა. შუალობითი ამსრულებლის ფიგურა რომ ხელოვნური და ცხოვრებისათვის უცხო კონსტრუქცია არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ადამიანი, რომლის მეშვეობითაც მიაღწია პირმა თავის მიზანს, მხოლოდ იარაღია ამ მიზნის მისაღწევად, ისეთივე იარაღი, როგორიცაა მაგალითად, თოფი, ქვა და სხვ. ვ. ზაუერი აღიარებს მხოლოდ უშუალო ამსრულებლობას. მისი აზრით, ამსრულებელი საკუთარი ხელით უნდა ასრულებდეს დანაშაულის შემადგენლობას. მაგრამ ამსრულებლის ცნების ასეთი ვაგება წმინდა ნატურალისტურია და არ შეესაბამება ჩვენს დღევანდელ წარმოდგენებს. „...სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით — აღნიშნავს თ. წერეთელი — არ შეიძლება ერთნაირად იქნეს განსჯილი და ერთგვარ სასჯელს იმსახურებდეს ის ვინც რჩევით ან იარაღით დახმარება აღმოუჩინა სრულწლოვან ან შერაცხად პირს დანაშაულის ჩადენაში, და ის, ვინც ასეთივე რჩევა სულით ავადმყოფს მისცა ან ხელში ჩაუდო რევოლვერი პარანოიკს, რომე-

⁶ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, стр. 102; იხ. აგრეთვე თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი. 1965, გვ. 75.

⁷ W. Sauer, Allgemeine Strafrechtslehre, Berlin, 1955, S. 202.

⁸ ვ. ზაუერი, მითითებული ნაშრომი, გვ. 213;



ლიც ფიქრობს, რომ მან აუცილებლად თავიდან უნდა მოიშოროს მოჩვენებითი მტერი“.⁹

ამრიგად, შუალობით ამსრულებელს ბევრი რამ აქვს საერთო უშუალო ამსრულებელთან. ორივე შემთხვევაში პირი ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას დამოუკიდებლად, ორივე შემთხვევაში ერთპიროვნულ (ინდივიდუალურ) ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე. განსხვავება ამ ორი სახის ამსრულებლობას შორის არ არის არსებითი, იგი შეეხება მხოლოდ არაარსებით, მეორეხარისხოვან მომენტებს. როგორც ცნობილია, შუალობითი ამსრულებლობა შუალედ რგოლად გულისხმობს მეორე პირის, სახელდობრ, სულით ავადმყოფის, არაბრალეულის და სხვათა მოქმედებას. მაგრამ თუ ერთი პირის მოქმედება მეორე პირის მოქმედებით კი არა, ცხოველის მოქმედებით ან ბუნების ძალების ჩარევითაა გაშუალებული, მაშინ შუალობით ამსრულებლობაზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ საქმე გვაქვს უშუალო ამსრულებლობასთან. სწორედ ეს მომენტი, ჩვენი აზრით, ნათლად ადასტურებს იმას, რომ შუალობითი ამსრულებლის ფიგურა არსებითად არ განსხვავდება უშუალო ამსრულებლისაგან, რომ მათ შორის ნამდვილად ორგანული და სისხლხორცეული კავშირია. ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში პირი თავისი მიზნის მისაღწევად იყენებს სულით ავადმყოფს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ცხოველს, არსებითად არაფერს ცვლის.

რამდენადაც შუალობითი ამსრულებელი ახლო დგას უშუალო ამსრულებლის ფიგურასთან, იმდენად განსხვავდება იგი თანამონაწილის, სახელდობრ, წამქეზებლისა და დამხმარისაგან. შუალობითი ამსრულებლის განსხვავებას წამქეზებლისა და დამხმარისაგან უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია, თანამონაწილეობის სუბიექტური თეორია განსხვავებას თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის სუბიექტურ სფეროში ეძებს. ამსრულებელია ის, ვისაც სურს ქმედობა „როგორც საკუთარი“ (*animus auctoris*), ხოლო თანამონაწილეს სურს ხელი შეუწყოს (დამხმარე) ან გამოიწვიოს სხვისი ქმედობა (წამქეზებელი) (*animus socii*). ამსრულებელს აქვს სურვილი, — ამბობს ი. ბაუმანი, — იყოს ქმედობის ავტორი (*Urheber*), განსაზღვროს და წარმართოს ქმედობის ასრულება. თანამსრულებელია ის, ვინც მონაწილეობდა ქმედობის ასრულებაში საკუთარი დასჯადი ქმედობის ჩადენის სურვილით მაშინაც, კი, როცა მისი მოქმედება ობიექტურად მეორეხარისხოვანი იყო. დამხმარედ ჩაითვლება ის, ვინც მონაწილეობდა ქმედობაში სხვისი დასჯადი ქმედობის მხარდაჭერის სურვილით იმ შემთხვევაშიც, როცა პირმა მნიშვნელოვანი საამსრულებლო მოქმედება ჩაიდინა.¹⁰ ასევე მსჯელობს ი. ბაუმანი შუალობითი ამსრულებლობის შესახებაც. შუალობითი ამსრულებლობა, როგორც ამსრულებლობის ერთ-ერთი სახე გვეჩვენება მაშინ, როცა ერთი პირი სხვა პირის მეშვეობით საკუთარ დასჯად მოქმედებას ჩადის, როცა მას ამოძრავებს არა სხვისი ქმედობისადმი მხარდაჭერის სურვილი, არამედ მოქმედებს საკუთარი დასჯადი ქმედობის ჩადენის სურვილით. „*animus auctoris*“ — ამბობს ი. ბაუმანი — აფუძნებს შუალობით ამსრულებლობას,

⁹ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 118—119;

¹⁰ I. Baumann, Strafrecht, Allg. Teil, 2. Auf., Bielefeld, 1961, S. 429.

„animus socii“ — წამქეზებლობას¹¹. როგორც ვხედავთ, განსხვავება წმინდა სუბიექტურია — ეს არის სურვილი სხვისი ან საკუთარი დასჯადი მოქმედების ჩადენისა, მაგრამ ი. ბაუმანი აქ არ ჩერდება, იგი ცდილობს დაახუსტოს მის მიერ ნათქვამი. მართლაც, გამოსარკვევია, რა უნდა იგულისხმებოდეს სხვისი ან საკუთარი დასჯადი მოქმედების სურვილში? ი. ბაუმანის აზრით, ასეთ სურვილში იგულისხმება „...ინტერესი ქმედობისადმი, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში იგი უთანაბრდება აგრეთვე ქმედობაზე ბატონობის ნებას“¹². უნდა ითქვას, რომ ინტერესის თეორია ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გასამიჯნავად ფართოდ იყო დანერგილი გერმანიის საიმპერიო სასამართლოს პრაქტიკაში.

ეს თეორია უსაფუძვლოდ აფართოებს ამსრულებლობის ცნებას თანამონაწილეობის ხარჯზე. თუ საბოლოო შედეგით დაინტერესება ამსრულებლობის ნიშანია, მაშინ წამქეზებელი თითქმის ყველა შემთხვევაში შუალობით ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ისეთი შემთხვევა, როცა წამქეზებელი არ იყოს დაინტერესებული საბოლოო შედეგით. ეს გარემოება კი თანამონაწილეობის ინსტიტუტს გაუქმებით ემუქრება.

კიდევ უფრო დიდ წინააღმდეგობებში იხლართება სუბიექტური თეორია, როცა საქმე მიდგება სპეციალურ დელიქტებზე. როგორც ვიცით, არასპეციალური სუბიექტი არ შეიძლება იყოს სპეციალური დელიქტის ამსრულებელი, მას შეუძლია მხოლოდ თანამონაწილის როლი ითამაშოს. სუბიექტურ თეორიას თუ გავყვებით, აღმოჩნდება, რომ სპეციალურ დელიქტებში კერძო პირიც შეიძლება გამოვიდეს ამსრულებლად. მაგალითად, თუ კერძო პირი პირადი დაინტერესებით საბოლოო შედეგისადმი აქეზებს ან ეხმარება თანამდებობის პირს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ წამქეზებელიცა და დამხმარეც განხილული უნდა იქნან ამ დანაშაულის შუალობით ამსრულებლად. მაგრამ ასეთი დასკვნა, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება ყოველგვარ ლოგიკას!.. გარდა ამისა, ამ თეორიის თანახმად, დაუსჯელი დარჩება ის, ვინც მსხვერპლი მისივე თხოვნით მოკლა, ვინაიდან მოქმედებდა სხვისი ქმედობის ჩადენის სურვილით. აქ არც ამსრულებლობა იქნება და არც თანამონაწილეობა.

დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შუალობითი ამსრულებლობისა და წამქეზებლობის გამიჯვნის გამო სხვაგვარ მოსაზრებას გამოთქვამს რ. მაურახი. „სიმიმის ცენტრი შუალობითი ამსრულებლობისა — ამბობს იგი — ძევს არათავისუფალი ადამიანის ბოროტად გამოყენებაში, მაშინ, როცა წაქეზება გამოიხატება თავისუფალი ადამიანის კორუფციაში“¹³.

როგორც უკვე ითქვა, შუალობით ამსრულებლობას მაშინ ექნება ადგილი, როცა დამნაშავე სხვა ადამიანს იყენებს დანაშაულის ჩადენის იარაღად, ე. წ. „ცოცხალ იარაღად“. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მეორე პირი მისთვის უბრალო იარაღია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე და მეტი არაფერი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ წამქეზებელი თვითონ განიხილება ამსრულებლად, სახელდობრ, შუალობით ამსრულებლად. უშუალო ამსრულებელი ამ შემ-

¹¹ I. Baumann, მითითებული ნაშრომი, კვ. 450.

¹² იქვე;

¹³ R. Maurach, Deutsches Strafrecht, Allg. Teil, 3. Auf. Karlsruhe, 1965, S. 537.



თხვევაში არ არის დანაშაულის ამსრულებელი, რადგან იგი მოქმედებს არა თავისი ნებით, არამედ მას იყენებენ იარაღად; ის, ვისაც იარაღად იყენებენ არ შეიძლება იყოს ამსრულებელი. და რადგანაც არა გვყავს ამსრულებელი, არ არის არც თანამონაწილეობა. ამიტომ წამქეზებელი მსგავს შემთხვევებში თვითონ გამოდის ამსრულებლის როლში.

სულ სხვა მდგომარეობაა თანამონაწილეობის დროს. წამქეზებელი თანამონაწილეა მაშინ, როცა მას შეგნებული აქვს, რომ ის ადამიანი, ვისაც იგი აქეზებს, არ არის მისთვის დანაშაულის ჩადენის უბრალო იარაღი. სულ სხვაა, როცა პირს იყენებენ, როგორც „ცოცხალ იარაღს“, ხოლო სხვა, როცა იგი მოქმედებს საკუთარი ნებლობითი გადაწყვეტილების საფუძველზე. წამქეზებლის როლი ორივე აქ დასახელებულ შემთხვევაში ერთნაირი არ არის. მათ შორის უთუოდ არსებითი სხვაობაა, რაც არ შეიძლება არ იქნეს მიღებული მხედველობაში. „შუალობითი ამსრულებლისაგან წამქეზებელი — ამბობს თ. წერეთელი, — იმით განსხვავდება, რომ წამქეზებლის მიერ შეგულიანებული პირი შეგნებულად მოქმედებს და თვით არის თავისი მოქმედების ბატონ-პატრონი, ხოლო „ცოცხალი იარაღი“, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი იყენებს, მართლაც რომ „ბრმა იარაღია“. მისი მოქმედება ზოგჯერ ფიზიკურ ძალთა მოქმედებას შეიძლება გაუთანაბრდეს; ამ მოქმედების ბატონ-პატრონი „იარაღი“ კი არ არის, არამედ „შემაგულიანებელია“, რომელიც სწორედ ამიტომ თვით ითვლება ამსრულებლად და პასუხისმგებელ პირად.“¹⁴

მაგრამ საკითხის პრობლემატურობა მარტო შუალობითი ამსრულებლობისა და წამქეზებლობის განსხვავებით როდი ამოიწურება. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა შუალობითი ამსრულებელი გარეგნულად დამხმარის როლს ასრულებს. მ. კოვალიოვი ამის გამო შენიშნავს, რომ „...შუალობითი ამსრულებლობა არ წარმოადგენს წამქეზებლობის სუროგატს, არამედ სავესებით დამოუკიდებელი მოვლენაა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ისეთი მოქმედებებში, რომლებიც ემსგავსებიან როგორც წამქეზებლობას, ისე დახმარებას.“¹⁵ ის გარემოება, რომ შუალობითი ამსრულებლობა გარეგნულად დახმარების სახითაც შეიძლება გამოვლინდეს, თავის მხრივ წამოჭრის ახალ კითხვას: როგორ განვასხვაოთ დამხმარე, როგორც თანამონაწილე, შუალობითი ამსრულებლისაგან? პასუხი ამ კითხვაზე არ იქნება ძნელი, თუ გავიხსენებთ იმას, რაც შუალობითი ამსრულებლობისა და წამქეზებლობის განსხვავების გამო ითქვა. დამხმარე შუალობით ამსრულებლად ჩაითვლება მაშინ, თუ მან იცის, რომ ის ადამიანი, რომელსაც იგი ეხმარება, შერაცხვალუნაროა, მცირეწლოვანია ან და არ ითვალისწინებს, რომ მისი მოქმედება ან უმოქმედობა შეიძლება

¹⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 154; **Ф. Г. Бурчак**, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, стр. 165.

¹⁵ **М. И. Ковалев**, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, стр. 19: „ამ მოსაზრების გამო, — დასძენს შემდეგ მ. კოვალიოვი, — ჩვენ განვიხილავთ შუალობით ამსრულებლობას არა იმ ნაკვეთში, რომელიც შეეხება დანაშაულისადმი წამქეზებლობას, არამედ წინამდებარე ნაკვეთში“, (გვ. 15), ე. ი. იქ, სადაც ამსრულებლობაა განხილული. უნდა ითქვას, რომ თ. ბურჩაკი, მ. კოვალიოვის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, შუალობითი ამსრულებლობის საკითხს განიხილავს იქ, სადაც წამქეზებლობაზეა ლაპარაკი. იხ. **Ф. Г. Бурчак**, მით. ნაშრომი, გვ. 163—168; მ. კოვალიოვის მოსაზრება უთუოდ სწორია. შუალობითი ამსრულებლობა მარტო იმის გამო რომ იგი ამსრულებლობის ერთ-ერთი სახეა, განხილული უნდა იქნეს სწორედ იქ, სადაც საერთოდ ამსრულებლობაზეა ლაპარაკი.

გახდეს მიზეზი დანაშაულებრივი შედეგისა. ამრიგად, პირი იყენებს მას, როგორც „ცოცხალ იარაღს“ და ჩადის დანაშაულს. მაგრამ დამხმარე თანამონაწილე იქნება მაშინ, როცა მან იცის, რომ ის პირი, ვისაც ის ეხმარება, იარაღი არ არის მის ხელში, არამედ თვითონ შეგნებულად ისწრაფვის განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგისაკენ. თუ წამქეზებლობის დროს შუალობითი ამსრულებელი თვითონ აძლევს დასაბამს მიზეზობრივ კავშირს, დამხმარე — შუალობითი ამსრულებელი უკვე დაწყებულ მიზეზობრიობას იყენებს თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.

შემდეგი საკითხი, რომელიც ამ პრობლემატიკაში წამოიჭრება, შეეხება შუალობითი ამსრულებლობის სუბიექტურ მხარეს. შეიძლება თუ არა შუალობითი ამსრულებლობა გაუფრთხილებლობით? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. როდესაც ჩვენ შუალობით ამსრულებლობას წამქეზებლობისა და დახმარებისაგან ვანსხვავებდით, ავლნიშნეთ, რომ შუალობითი ამსრულებლობის არსებითი ნიშანია დამნაშავეს მიერ იმის შეგნება, რომ იგი მეორე პირს იყენებს იარაღად თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. სადაც ასეთი შეგნება არ არის, იქ შუალობითი ამსრულებლობაც გამორიცხულია. სწორედ ამიტომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გაუფრთხილებლობითი შუალობითი ამსრულებლობა.¹⁶ ამსრულებლობის ეს სახე მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ განზრახვას იმის მიუხედავად, თუ როგორია დელიქტის ბუნება, ე. ი. შეიძლება მისი ჩადენა-მხოლოდ განზრახ, თუ როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.

საკითხი რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა გავარკვიოთ, თუ განზრახვის რა ფორმით შეიძლება მოქმედებდეს შუალობითი ამსრულებელი. ჩვენი აზრით, პირი ამ შემთხვევაში მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება მოქმედებდეს. ძნელი წარმოსადგენია სულით ავადმყოფის იარაღად გამოყენება ევენტუალური განზრახვის დროს. მეორე პირის იარაღად გამოყენება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისი მიზანიც პირდაპირ არის მიმართული განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგისაკენ.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა წამქეზებელი ან დამხმარე ცდება და ჰგონია, რომ ის, ვისაც იგი აქეზებს ან ეხმარება საგნებით ვარგისი სუბიექტია მის მიერ განზრახული დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ სინამდვილეში უშუალო ამსრულებელი სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება. ჩვენ სწორად მიგვაჩნია იმ კრიმინალისტთა შეხედულება, რომლებიც ამ შემთხვევას თანამონაწილეობად აკვალიფიცირებენ.¹⁷ აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგე კრიმინალისტებს ეს მაგალითი მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, თითქოს არსებობდეს თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე.¹⁸ მაგრამ ეს საბუთი ვერ ამაგრებს მათ პოზიციას, ვინაიდან აქ საკითხი წყდება არა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, არამედ წამქეზებლის ან დამხმარის წარმოდგენის შესაბამისად. წამქეზებელი და დამხმარე თვლიდნენ, რომ ისინი თანამონაწილენი

¹⁶ დასავლეთ გერმანიაში გაუფრთხილებლობით შუალობით ამსრულებლობას ამკამად თითო-ორთა მომხრედა შემოჩა. იხ. ამ საკითხზე, R. Maurach, Deutsches Strefrecht, S. 534.

¹⁷ E. Mezger, Strafrecht, 3. Auf., Berlin und München, 1949, S. 449; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 82;

¹⁸ იხ. უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ; ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 29.



არიან და არა ამსრულებლები, მათი თვალსაზრისით აქ ამსრულებელი იგულისხმება.

ინტერესს არ იქნება მოკლებული აგრეთვე არც ამის საპირისპირო შემთხვევა. სახელდობრ, როცა წამქეზებელი ან დამხმარე თვლიდა, რომ აქეზებს ან ეხმარება სულით ავადმყოფს, სინამდვილეში კი უშუალო ამსრულებელი შერაჯვანარია და შეუძლია პასუხი აგოს ჩადენილი ქმედობისათვის. ჩვენი აზრით, ეს საკითხიც წამქეზებლის ან დამხმარის სუბიექტური წარმოდგენების მიხედვით უნდა გადაწყდეს. ისინი დაისჯებიან, როგორც შუალობითი ამსრულებლები.¹⁹

შუალობითი ამსრულებლობის ყველაზე უფრო ტიპიური და გავრცელებული შემთხვევები გულისხმობს სამ სუბიექტს: დამნაშავე — „ცოცხალი იარაღი“ — მსხვერპლი. მაგრამ არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როცა იარაღი და მსხვერპლი ერთ პიროვნებაშია შერწყმული. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის წაქეზება, როცა მას არა აქვს შეგნებული თავისი მოქმედების მნიშვნელობა. წამქეზებელი ამ შემთხვევაში მკვლელობის შემადგენლობას ახორციელებს მსხვერპლის მეშვეობით, იგი მკვლელობის შუალობითი ამსრულებელია.

დასავლეთგერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმული აქვს ჰ. იოჰანესს. მისი აზრით, შეუძლებელია შუალობითი ამსრულებლობა იქ, სადაც მსხვერპლი და იარაღი ერთ სუბიექტშია შერწყმული. წინააღმდეგ შემთხვევაში შუალობითი ამსრულებლობის ცნება იმდენად გაფართოვდება, რომ უშუალო ამსრულებლობისათვის ადგილი თითქმის აღარ დარჩება. როგორც წესი, დამნაშავე იყენებს მსხვერპლს დასახული მიზნის მისაღწევად. ასე რომ იყოსო — განაგრძობს იგი — შუალობითი ამსრულებლობა უნდა გვეცნო თაღლითობის, გამოძალგის და სხვა მსგავს დელიქტებში.²⁰

მაგრამ ჰ. იოჰანესის შიში, თითქოს შუალობითი ამსრულებლობის ცნება უსაზღვროდ გაფართოვდება უშუალო ამსრულებლობის ხარჯზე, ჩვენ უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. საქმე ის კი არაა, თუ რომელი ცნება რომლის ხარჯზე გაფართოვდება, არამედ არსებითი და გადამწყვეტი ის არის, აქვს თუ არა ასეთ გაფართოებას რაიმე პრაქტიკული და თეორიული ღირებულება. ეჭვს გარეშეა, რომ დამნაშავე ძალზე ხშირად მსხვერპლს მოტყუებით თავის სასარგებლოდ ამოქმედებს და ისე აღწევს დასახულ მიზანს, მაგრამ იგი მაინც უშუალო ამსრულებლად განიხილება. მაგალითად, თაღლითობისა და გამოძალგის შემთხვევაში მსხვერპლის მოქმედება ჩართულია მიზნობრიობის ჯაჭვში, მსხვერპლი თვითონ გადასცემს ქონებას დამნაშავეს, ან ყოველ შემთხვევაში, ეს გადაცემა მისი ნებართვით ხდება. თავისი ბუნებრივი სახით აქ მართ-

¹⁹ **Н. С. Таганцев**, Русское уголовное право, ч. общая, С. Петербург, 1902, стр. 738; **Ф. Лист**, Учебник уголовного права, Общая часть, М., 1903, стр. 241, примеч. 2; **М. И. Ковалев**, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, стр. 30.

²⁰ **H. Iohannes**, Mittelbare Täterschaft bei rechtmässigem Handeln des Werkzeuges ein Scheinproblem, Frankfurt am Main, 1963, S. 18-19.

ლაც არის შუალობითი ამსრულებლობა, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით იგი არ არის პრობლემატური და განიხილება უშუალო ამსრულებლობად. საქმე ისაა, რომ მსხვერპლის მიერ ქონების გადაცემა პირდაპირ შედის ამ დანაშაულთა შემადგენლობაში. თაღლითობისა და გამოძალვის შემადგენლობათა უშუალო განხორციელება სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია. მაგრამ სულით ავადმყოფის თვითმკვლელობისათვის წაქეზება და ამ გზით მკვლელობა არ არის მკვლელობის შემადგენლობის უშუალო განხორციელება. უშუალო მკვლელი საკუთარი ხელით მოქმედებს, შუალობითი კი — სხვისი ხელით. გარეგნულად მისი მოქმედება თანამონაწილის მოქმედებას მოგვაგონებს.²¹

ისევე, როგორც თანამონაწილეობის დროს ადგილი შეიძლება ჰქონდეს ამსრულებლის ექსცესს, შუალობითი ამსრულებლობის დროსაც გამორიცხული არ არის „ცოცხალი იარაღის“ ექსცესი. მაგრამ „ცოცხალი“ იარაღის ექსცესის საკითხი არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით. პასუხისმგებლობის საკითხი აქაც გადაწყდება ბრალის პრინციპის საფუძველზე, ე. ი. შუალობით ამსრულებელს შეეარაცება „ცოცხალი იარაღის“ მიერ მიყენებული მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მას გათვალისწინებული ჰქონდა. ექსცესისათვის იგი პასუხს არ აგებს.

²¹ ჰ. იოჰანესის შეხედულების დასაბუთებული კრიტიკა იხ. თ. წერეთლის წიგნში — თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 121, შენიშვნა 75. უნდა ითქვას, რომ ვაბატონებული დოქტორინა დასავლეთ გერმანიაში არ ეთანხმება იოჰანესის მოსაზრებას. იხ. E. Mezger, *Strafrecht*, 3. Auf. Berlin und München, 1949, S. 430; H. Welzel, *Das Deutsche Strafrecht*, 9. Auf. Berlin, 1965, S. 93.

გაუფრთხილებლობის ზოგიერთი ნაიკსახეობის შესახებ

ა. შარახელიძე

1. გაუფრთხილებლობა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა, რომლითაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ქმედობა შეიძლება იქნას ჩადენილი. ბრალის ამ ფორმის საკანონმდებლო განსაზღვრება ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლში, სადაც ნათქვამია: „დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას, ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი“.

ბოლო ხანია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში წარმოიშვა აზრი, რომ გაუფრთხილებლობის ასეთი განმარტება არასრულყოფილია. სახელდობრ, ასეთ შეხედულებას აწვითარებს პ. დაგელი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი შემთხვევა ვერ თავსდება გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრების ჩარჩოებში.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით ვაგარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს ეს შემთხვევები, ან რამდენად საფუძვლიანია პ. დაგელის მსჯელობა მათზე.

2. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც აღამიანი მისდა უნებურად აღმოჩნდება საშიშ სიტუაციაში, რომელშიც მას ევალება და შეუძლია მავნე შედეგის უვნებლყოფა, მაგრამ იმის გამო, რომ ფსიქიკურად მოუმზადებელი ეგებება საფრთხეს, ვეღარ ახერხებს მართებულ ორიენტაციასა და ზიანის თავიდან აცილებას. ასეთ ფსიქიკურ მდგომარეობას დაბნეულობას (растерянность) უწოდებენ. დაბნეულობა შეიძლება გამოიხატოს სატრანსპორტო ავარიებში, საექიმო შეცდომებში და სხვ.

თეორია და სასამართლო პრაქტიკა ცნობს, რომ დაბნეულობის შემთხვევაში ბრალი დაუდევრობის ფორმით გვევლინება. პ. დაგელს უმართებულოდ მიაჩნია ასეთი კვალიფიკაცია. ის თვლის, რომ დაბნეულობა „ვერ თავსდება ვერც დანაშაულებრივი თვითმედოვნების სქემაში (რადგან პირი არ ვარაუდობს მავნე შედეგების თავიდან აცილებას) და ვერც დანაშაულებრივი დაუდევრობის სქემაში (რადგან პირი ითვალისწინებს მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას)“¹.

ჩვენი აზრით პ. დაგელის მოსაზრება ვერ არის ჯეროვნად დასაბუთებული. მართალია, დაბნეულობის დროს სუბიექტი ითვალისწინებს, რომ მისგან დამო-

¹ П. С. Догель, Проблема «бессознательного» и некоторые вопросы вины в уголовном праве «Ученые записки Дальневосточного государственного университета», т. 14, стр. 81—82.

უკიდებლად წარმოშობილ საშიშ ვითარებას შეიძლება ზიანი მოჰყვეს, მაგრამ ეს სრულიად ირელევანტურია გაუფრთხილებლობისათვის. „საფუძვლების“ მე-9 მუხლის თანახმად, დაუდევრობისას პირი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუდევრობის აუცილებელი ნიშანია შეუცნობლობა მიზეზობრივი კავშირისა სუბიექტის კონკრეტულ ქცევასა და ამ ქცევის მავნე შედეგებს შორის. აღნიშნული ნეგატიური ნიშანი კი აშკარად არსებობს დაბნეულობის შემთხვევაში: პირი არ ითვალისწინებს, რომ მისმა მოქმედებამ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საზოგადოებრივად საშიში შედეგის აცილება და ეს სწორედ იმის გამო ხდება, რომ შექმნილი ვითარების საშიშროების შეგნებამ იგი დააბნია.

აზრის სიცხადისათვის მივმართოთ მაგალითს.

სამგზავრო მატარებლის მემანქანემ მოსახვევში უეცრად შენიშნა, რომ რკინიგზაზე ცხვრის ფარა გადადიოდა. მან მაშინვე წარმოიდგინა, რომ მოვლენათა ბუნებრივ განვითარებას, ერთდროულად, ავარია და ცხვრის განადგურება შეეძლო გამოეწვია, მაგრამ ყურადღება არ ქონდა დაძაბული და საფრთხის წარმოდგენამ იგი დააბნია; ნაცვლად იმისა, რომ სვლა შეენელებინა, მატარებელი დაამუხრუჭა. მოსახვევში მკვეთრ დამუხრუჭებას მატარებლის მარცხი და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

ბუნებრივია, მემანქანე არ ითვალისწინებდა, რომ მისი კონკრეტული ქცევა — მატარებლის დამუხრუჭება — ადამიანთა მსხვერპლს გამოიწვევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასე აღარ მოიქცეოდა და ცხვრის განადგურებას ამჯობინებდა. მაგრამ, ვინაიდან პროფესიული ცოდნა და გამოცდილება მას ავალებდა თავისი ქცევის შედეგების გათვალისწინებას, რაც, ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობისა და საქმის ობიექტურ გარემოებათა მიხედვით, შეეძლო კიდევაც გაეთვებინა, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობისათვის. ასეთი გაუფრთხილებლობა ყველა ნიშნით შეესაბამება დაუდევრობის საკანონმდებლო ფორმულას და გაუფრთხილებლობის არავითარ დამოუკიდებელ სახეს არ ქმნის.


3. მოქალაქემ შეიძლება ისეთი პროფესიული საქმიანობა ან ისეთი მოქმედების შესრულება იკისროს, რაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. თუ ასეთი ცოდნა მას არ გააჩნია (ან არასაკმარისი აქვს) და მის წამოწყებას ზიანი მოჰყვა, პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

ბრალის რომელი ფორმით შეიძლება იქნას ჩადენილი ასეთი დანაშაული?

პ. დაგელს ამჯერადაც მიაჩნია, რომ ფსიქიკური მდგომარეობა, რომლითაც მსგავსი დანაშაული ჩაიდინება, ვერ თავსდება გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებაში, თუმცა, თავისი არსით იგი გაუფრთხილებლობას უნდა მიეკუთვნოს. გაუფრთხილებლობის ამ თავისებურ შემთხვევას პირობით მ. დაგელი „დანაშაულებრივ უმეცრებას“ (преступное невежество) უწოდებს.

გავარკვიოთ, რა ნიშანი აკლია განსახილველ შემთხვევას ისეთი, რომელიც კანონში არ არის აღწერილი.

დაგელის შეხედულებით, ეს ნიშანია საზიანო შედეგების გათვალისწინების



შეუძლებლობა, გამოწვეული უმეცრებით. ამ ნიშნით „დანაშაულებრივი უმეცრება“ განსხვავდება ჩვეულებრივი დაუდევრობისაგან².

განვიხილოთ პ. დაგელის მოსაზრება სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე.

ს. ლ. კალიკა, რომელსაც არ გააჩნდა მანქანის მართვის უფლება და გამოცდილება, „სსრ კავშირის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების“ მე-17 მუხლის დარღვევით, თვითნებურად მიუჯდა ავტომანქანის საჭეს და დაიწყო მოძრაობა გემების მისადგომის გასწვრივ. გზაზე მას შემოხვდა ავტომანქანის მფლობელი კვაჭაძე, რომელიც ავტომანქანაში ჩაჯდა, მაგრამ კალიკასათვის საჭე არ გამოუერთმევია.

უკან სვლისას კალიკამ არ დაიცვა ზემოთ დასახელებული „წესების“ 31-ე მუხლით გათვალისწინებული სიფრთხილის ზომები, მანქანის მართვას თავი ვეღარ გაართვა და მანქანა ზღვაში გადაუვარდა. კალიკა გადაარჩა, კვაჭაძე კი დაიხრჩო³.

პ. დაგელის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, უნდა ვალიაროთ, რომ კალიკას არ შეეძლო გათვალისწინებინა მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან მისთვის უცნობი იყო მანქანის მართვის კანონზომიერებანი. მაგრამ, საკითხის ასე გადაწყვეტა არ იქნებოდა სწორი. იმის გათვალისწინება, რომ სათანადო ცოდნის გარეშე მანქანის მართვას, ისიც ზღვის ნაპირზე, შეიძლება მსხვერპლი მოჰყვეს, არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. ამისათვის ყოველდღიური საზოგადოებრივი პრაქტიკის ცოდნაც საკმარისია, რომელიც, მსგავსად ყოველი ნორმალური ადამიანისა, კალიკასაც გააჩნდა. ამასთანავე, არ არსებობდა რაიმე ისეთი ობიექტური ან სუბიექტური ფაქტორი, რომელიც მოცემულ ვითარებაში ხელს შეუშლიდა კალიკას საზიანო შედეგების გათვალისწინებაში. ამიტომ კალიკას შეეძლო მომხდარი ფაქტის წინასწარი გათვალისწინება. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ მის ქცევაში დაუდევრობის ყველა ნიშანი ყოფილა და „დანაშაულებრივი უმეცრების“ დაგელისეული კონსტრუქცია სრულიად ზედმეტი ხდება მსგავსი შემთხვევებისათვის.

„დანაშაულებრივი უმეცრება“, როგორც გაუფრთხილებლობის დამოუკიდებელი ფორმა, ვერც მაშინ მოიპოვებს არსებობის უფლებას, თუ მასში მხოლოდ ისეთ შემთხვევებს ვიგულისხმებთ, როდესაც პირი, ახორციელებდა რა სპეციალურ პროფესიულ საქმიანობას, მოვალე იყო სცოდნოდა იგი, თუმცა არ აღმოაჩნდა საამისოდ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. გამორიცხული არ არის, რომ პირს ასეთ შემთხვევებშიც არ შეეძლოს საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება, მაგრამ, მაშინ საერთოდ ვერ დასაბუთდება ბრალი⁴ და, ამიტომ ვერც „დანაშაულებრივ უმეცრებაზე“ ვილაპარაკებთ. ხოლო თუ აღმოჩნდა, რომ მოქმედების დაწყების მომენტში პირს შეეძლო გაცნობიერებინა თავისი უმეცრება და მავნე შედეგები, რომლებიც ამას შეიძლება მოჰყვეს, ეს ნიშნავს, რომ ადგილი აქვს დაუდევრობას, მისი ყველა ნიშნით.

² იხ. П. С. Догель, დასახ. ნაშრ., გვ. 82; აგრეთვე, Проблема вины в советском уголовном праве, Ученые записки Дальневосточного государственного университета, Владивосток, 1968, Выпуск 21, ч. I, стр. 130.

³ იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1966, № 3, стр. 24;

მსგავს შემთხვევას ეხება, აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 30 ნოემბრის დადგენილება (იხ. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963 гг., М., 1964, стр. 293).

⁴ იხ. В. Г. Макашвили, Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 152.



დასასრულ, პ. დაგელს მხედველობიდან ისიც გამოიჩინა, რომ განსახილველი კატეგორიის ყველა ეს შემთხვევა ძალიან ხშირად თვითიმედოვნების სახით გვევლინება: პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შესაძლო საზიანო შედეგებს, მაგრამ მაინც განაგრძობს მოქმედებას, დაუსაბუთებლად დარწმუნებული თავის „სიყოჩაღეში“.

ჩჩება თუ არა ბრალის სფეროში ადგილი „დანაშაულებრივი უმეცრების“ დამოუკიდებელი კონსტრუქციისათვის? ვფიქრობთ, რომ არა. ამის არაპირდაპირი აღიარება თვით პ. დაგელსაც მოუხდა, როდესაც თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ადრე უარყოფილი „შესაძლებლობის“ მომენტი შეუმჩნევლად უკანვე შემოიტანა თავისი კონსტრუქციაში. „ბრალის მომენტს („დანაშაულებრივი უმეცრებისას“ — მ. უ.) განსაზღვრავს სუბიექტის შესაძლებლობა, რომ შესაბამისი სახის საქმიანობის მოთხოვნები თავის ცოდნასა და გამოცდილებას შეუთანაზომიეროს“ — წერს იგი⁵. ცხადია, ასეთი შესაძლებლობა არაფრით განსზვავდება იმ შესაძლებლობისაგან, რომელიც დაუდევრობის აუცილებელი ნიშანია და, მაშინ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ე. წ. „დანაშაულებრივი უმეცრება“ გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ნაირსახეობას წარმოადგენს.

4. 1958 წლის „საფუძვლებმა“ გაითვალისწინა, რომ „დანაშაული განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი...“ (მუხ. 8). ამ მუხლმა, ჩვენი აზრით მხოლოდ ნაწილობრივ შეანელა დაუცხრომელი დავა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა ისეთი შემთხვევა, როცა პირს სწორადა აქვს წარმოდგენილი თავისი ქცევის ფაქტიური მხარე, მაგრამ შეგნებული არა აქვს მისი საზოგადოებრივი საშიშროება, თუმცა შეეძლო გაცნობიერებინა იგი. (მაგ., ე. წ. „მოჩვენებითი მოგერიება“, როცა პირი ითვალისწინებს კაცის მოკვლას, მაგრამ შეცდომით თვლის, რომ თავს ესხმიან და ამიტომ ვერ ითვალისწინებს თავისი ქცევის საზოგადოებრივ საშიშროებას).

თუ განზრახვისათვის „საფუძვლები“ საზოგადოებრივი საშიშროების რეალურ შეგნებას მოითხოვს, ცხადია, საზოგადოებრივი საშიშროების გაცნობიერების შესაძლებლობა საკმარისი ვერ იქნება განზრახვისათვის. მაგრამ, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხსენებული შემთხვევა უთუოდ გაუფრთხილებლობას მიეკუთვნება?

პ. დაგელი თვლის, რომ განზრახვისათვის საზოგადოებრივი საშიშროების რეალური შეგნების მოთხოვნა უცილობელს ხდის ე. წ. „სამართლებრივი გაუფრთხილებლობის“ არსებობას⁶, ანუ იმ ფაქტს, რომ განსახილველი შემთხვევები არსებითად გაუფრთხილებლობას წარმოადგენენ. მაგრამ, ამავე დროს, ცალკე იხილავს მათ იმ სპეციალური შემთხვევების გვერდით, რომლებიც, მისი აზრით, ვერ თავსდებათ გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებაში.

პ. დაგელის მიხედვით გამოდის, რომ ის, რაც განზრახვა არაა, უსათუოდ გაუფრთხილებლობა უნდა იყოს. შესაძლებელია ამა თუ იმ ფსიქიკურ მდგომარეობას აკლდეს განზრახვის რომელიმე ნიშანი, მაგრამ იგი არც გაუფრთხილებლობის ნიშნებს შეიცავდეს. ამიტომ გასარკვევი სწორედ ისაა, შეესაბამება თუ

⁵ П. С. Дагель, Проблема вины..., стр. 130.

⁶ ib. П. С. Дагель, Проблема вины..., стр. 125.



არა ჩვენთვის საინტერესო შემთხვევა გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებას. თუ შეესაბამება, მაშინ გაუფრთხილებლობით ბრალთან გვქონია საქმე და არც მისი სპეციალურად გამოყოფაა საჭირო, ხოლო თუ არა, მაშინ იგი საერთოდ უნდა განიდევნოს ბრალის სფეროდან.

„საფუძვლები“ მე-9 მუხლის ტექსტში „ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების შესაძლებლობა“ გაუფრთხილებლობის ცალკე ნიშნად არაა გამოყოფილი. როგორც ჩანს, ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ „სამართლებრივი გაუფრთხილებლობის“ საკანონმდებლო აღიარება პ. დაგელს საეჭვოდ მიაჩნია.

ყოველი ქცევის სოციალური ღირებულება იმით განისაზღვრება, თუ რა სარგებლობა ან ზიანი მოაქვს ამ ქცევას საზოგადოებისათვის. ე. ი. ქცევის ღირებულების მთავარი საზომი ის შედეგებია, რომლებიც ამა თუ იმ ქცევას მოჰყვება ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ეს ეხება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით დანაშაულს. მაგრამ, თუ განზრახი დელიქტის საზოგადოებრივი საშიშროება, შედეგებთან ერთად, შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვროს ქცევის მიზანმართ, იგივე არ ითქმის გაუფრთხილებლობაზე. ცალკე აღებულ გაუფრთხილებლობით ქცევას, როგორც წესი, არავითარი ცუდი მიზანი არ გააჩნია. ამიტომ გაუფრთხილებლობითი ქცევის შედეგის განხორციელებამდე როგორც მოქმედი სუბიექტისათვის, ისე საზოგადოებისათვის შეუძლებელი ან ძალიან ძნელია ამ ქცევის სოციალური მნიშვნელობისა და ღირებულების გარკვევა. ეს გარემოება განსაზღვრავს შედეგების განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუფრთხილებლობითი ქცევის შეფასებისათვის.

ამით უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ საკანონმდებლო განსაზღვრებაში გაუფრთხილებლობის ძირითადი ფაქტიური ელემენტი (შედეგი) და მისი შეფასებითი მხარე (საზოგადოებრივი საშიშროება) განსაკუთრებით მჭიდროდ არის ერთმანეთში გადახლართული. კანონმდებელმა ცალკე აღარ გამოჰყო „ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნების შესაძლებლობა“, როგორც დაუდევრობის დამოუკიდებელი ნიშანი და აუცილებელ მოთხოვნად „მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა“ წამოაყენა. მართალია ამით აქცენტი შედეგზე იქნა გადატანილი, მაგრამ იმის თქმაც მოხერხდა, რომ შიშველი ფაქტების (შედეგების) გათვალისწინების შესაძლებლობა არ არის საკმარისი გაუფრთხილებლობისათვის, თუ პირს მათი მნიშვნელობის (საზოგადოებრივი საშიშროების) გაცნობიერებაც არ შეუძლია.

ამრიგად, „საფუძვლების“ მე-9 მუხლში ნახმარი გამოთქმა — „საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა“ ერთსა და იმავე დროს, „შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ ვულისხმობს და მათი „საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინების შესაძლებლობასაც“. მამასადამე, „საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინების შესაძლებლობა“ გაუფრთხილებლობის აუცილებელი ნიშანია, რომელიც პირდაპირ არის პითითებული კანონში. ამდენად ჩვენ მიგვაჩნია, რომ ე. წ. „სამართლებრივი გა-

7 ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე; მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 127-128; ო. გამყრელიძე, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე, „საბჭოთა სამართალი“, 1970, № 1, გვ. 30-38.



უფრთხილებლობა“ საკანონმდებლო წესით არის აღიარებული საფუძველში.
 5. უმართებულო იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ზემოთ განხილული შემთხვევები არ გამოირჩევიან რაიმე თავისებურებით. როგორც დავინახეთ, ისინი გარკვეულად განსხვავდებიან გაუფრთხილებლობის ტიპური შემთხვევებისაგან. მაგრამ, ჩვენი აზრით ეს განსხვავება მეორეხარისხოვან გარემოებებს ეხება და არა გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიურ მხარეს, რაც განმსაზღვრელია ბრალის არსებისათვის.

ნათქვამი თანაბრად შეეხება როგორც „დაბნეულობას“, ისე ე. წ. „დანაშაულებრივ უმეცრებას“ და „სამართლებრივ გაუფრთხილებლობას“. ყოველი მათგანი ისეთსავე ფსიქიკურ მდგომარეობას გულისხმობს, როგორსაც ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობა: პირი არ ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომელთა გაცნობიერებას კანონი მოითხოვდა, თუმცა შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი. თავისებურება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ამ ფსიქიკური მდგომარეობის გამოვლენა რამდენადმე სხვანაირ პირობებში ხდება: „დაბნეულობისას“ პირი დაუდევრად მოქმედებს გართულებულ საშიშ ვითარებაში, რომელიც მისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა; „დანაშაულებრივი უმეცრებისას“ და „სამართლებრივი გაუფრთხილებლობისას“ კი პირს მოქმედება უხდება უფრო მარტივ ვითარებაში, რომლის ზოგიერთი გარემოების წინასწარ ცოდნა მეტსაშუალებას აძლევს მას სწორი ორიენტაცია მოახდინოს.

ცხადია, თუ განხილული შემთხვევების თავისებურება მხოლოდ ამით ამოიწურება, მაშინ იმის საფუძველიც ისპობა, რომ ისინი გაუფრთხილებლობის კანონით გაუთვალისწინებელ დამატებად იქნან გამოცხადებული.

გაგაცხადის ხელშეწყობა გარემოებათა აღკვეთა წინასწარი გამოძიების სვლითად

ი. სიონიძე,

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ბ. უსრაშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით
მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით გამომძიებელი მოვალეა არა მარტო გამოარკვიოს დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებები. არამედ მიიღოს ზომები მათ აღსაკვეთად.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ვატაცების გასაადვილებლად ზოგჯერ ზელოვნურად იქმნება ისეთი ვითარება, რაც დამნაშავეს უადვილებს მატერიალური ფასეულობის ვატაცებას (ნაკლოვანებები აღრიცხვის კონტროლის სისტემაში და ა. შ.), ზოგჯერ ზეგავლენას ახდენენ ვატაცების პიროვნების ჩამოყალიბებაზე (ცუდად დაყენებული აღმზრდელითი მუშაობა და ა. შ.). გამომძიებელი მოვალეა გამოძიების პროცესში მიიღოს ზომები ყველა მათ აღსაკვეთად, რადგან ისინი ხელს უწყობდნენ დანაშაულის ჩადენას.

ზოგიერთი პრაქტიკული მუშაკი შეცდომით ფიქრობს, რომ ზომები დანაშაულის ხელშემწყობ გარემოებათა აღსაკვეთად უნდა განხორციელდეს მხოლოდ გამოძიების დამთავრებისას. ასეთი მოსაზრების უსაფუძვლობა ეჭვს არ იწვევს საზოგადოებრივი ქონების ვატაცების საქმეთა გამოძიებისას, გვხვდება ისეთი სიტუაცია, როცა დანაშაულის აღსაკვეთად ღონისძიებები უნდა გატარდეს დაუყოვნებლივ, მათი გამოვლენისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი.

გაგრის სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირის მაღაზიაში ვატაცების საქმის გამოძიებით გამოირკვა; ბრალდებულ ნ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ რაიკავშირის რევიზორ კ-ს არ გააჩნდა სარევიზიო, სააღრიცხვო და ბუღალტრული საქმიანობის გამოცდილება და პრაქტიკულად არ შეეძლო ხარისხიანად ჩაეტარებინა რევიზია და გამოემკვლავებინა ბოროტმოქმედნი.

საქმის მასალები მოწმობდნენ რომ, რევიზორ კ-ს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საფუძველი არ არსებობდა, რადგან ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოემკვლავნება კ-მ ვერ შესძლო თავისი არაკომპეტენტურობის გამო. თუ კ-ს შესაძლებლობა მიეცემოდა განეგრძო სარევიზიო ფუნქციების შესრულება გამოძიების დამთავრებამდე, ამით შეეძლოთ ესარგებლათ არაკეთილსინდისიერ მუშაკებს და ჩაედინათ სხვადასხვა ბოროტმოქმედება. ასეთ პირობებში გამომძიებელი იძულებული გახდა ჯერ კიდევ ნ-ს ბრალდების საქმის გამოძიების დამთავრებამდე რაიკავშირის ხელმძღვანელობის წინაშე დაეყენებინა საკითხი რევიზორის თანამდებობიდან კ-ს გადაყენების შესახებ.

გატაცების აღსაკვეთად ზომები უნდა მიღებული იქნას არა მარტო გამოძიებით დამთავრებულ საქმეებზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა წინასწარი გამოძიება შეჩერებულია სსსკ 196 მუხლში აღნიშნული საფუძვლების გამო. საქმის შეჩერებამდე საჭიროა შესრულდეს ყველა საგამოძიებო მოქმედება გატაცების ხელშემწყობი გარემოებების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევისათვის და დაისახოს ღონისძიებანი მათ აღსაკვეთად.

ზომები, რომლებიც შეიძლება გამოძიებელმა განახორციელოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე, მრავალფეროვანია. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით.

ა) წინასწარი გამოძიების სტადიაში სოციალისტური ქონების გატაცების აღსაკვეთად უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს გამოძიებლის წარდგინება.

სამწუხაროდ, საქართველოს სსრ სსსკ არ შეიცავს რსფსრ სსსკ 140 მუხლით გათვალისწინებულ ნორმას, რომლის შესაბამისად „გამომძიებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების დადგენისას, მას შესაბამის საწარმოში, დაწესებულებაში და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში შეაქვს წარდგინება ამ მიზეზებისა და პირობების აღსაკვეთად ღონისძიებების მიღების შესახებ“.

მაგრამ ეს გარემოება, ჩვენის აზრით, გამოძიებელს არ ზღუდავს შეიტანოს შესაბამის ორგანოებში წარდგინება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების აღკვეთის შესახებ; რადგან საქართველოს სსრ სსსკ-ის მე-60 მუხლი ავალბებს მას მიიღოს ზომები მათ აღსაკვეთად. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეივსოს რსფსრ სსსკ 140 მუხლის ანალოგიური ნორმით.

იმ ზომების ეფექტურობა, რომლებიც მიიღება გამოძიებლის წარდგინების მიხედვით, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის შედგენილი ეს საბუთი. წარდგინებაში საჭიროა მოკლედ გადმოიცეს საქმის არსი, გატაცების მონაწილეთა როლი, ნაჩვენები იქნას რა კონკრეტული გარემოებები უწყობდნენ ხელს გამტაცებლებს დანაშაულის ჩადენაში. გატაცების ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები გადმოცემული უნდა იქნას მოკლედ, დამაჯერებლად. წადგინებაში დასახელებული უნდა იქნან თანამდებობის პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამ გარემოებათა შექმნაში. აქვე შეტანილ უნდა იქნას მონაცემები, რასაც წარდგინება ეყრდნობა. არ შეიძლება წარდგინებაში ჩაირთოს ფაქტები, რომლებიც ბოლომდე არ არის გამოძიებული და ატარებენ სავარაუდო ხასიათს.

გამომძიებლის წარდგინების ქმედითობა და შედეგიანობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კონკრეტულია ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულებაში გამოვლენილი გატაცების ხელშემწყობი გარემოებების აღსაკვეთად რეკომენდებული წინადადებები. ამასთან არ შეიძლება დავუშვათ, რომ რეკომენდაცია მითითების ხასიათს ატარებდეს, ზღუდავდეს თანამდებობის პირის ინიციატივას და წარმოადგენდეს ორგანიზაციის ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში ჩარევის ცდას. იმ შემთხვევაში, როცა რეკომენდაცია მიმართულია მოქმედი დებულების, წესების, ინსტრუქციის შეცვლისაკენ, თუ ეს წესები და დებულებები არ უზრუნველყოფენ ქონების დაცვას, აუცილებელია, რომ რეკომენდაციები, როგორც სწორად აღნიშნავს ვ. გ. ტანასევიჩი, აკმაყოფილებდნენ შემდეგ ორ მოთხოვნას: „ჯერ ერთი ისინი უნდა იყვნენ საერთო სახელმწიფოებრივი



თვალსაზრისით ეკონომიურად მიზანშეწონილი, მეორეც, დაუშვებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას. ამა თუ იმ ფორმით ავიწროებენ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებს¹.

წარდგინება გამოძიებით დადგენილი დანაშაულის ხელშემწყობი პირობების შესახებ და რეკომენდაციები, როგორც წესი, უნდა წარიმართოს იმ ორგანიზაციაში და თანამდებობის იმ პირთან, ვის მოვალეობაშიც შედის გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად ღონისძიებების მიღება.

თუ მაგალითად, საქმე შეეხება რაიონის სამომხმარებლო საზოგადოებებს და მათ თვითონ არ შეუძლიათ აღკვეთონ დარღვევები, წარდგინება უნდა წარიმართოს სამომხმარებლო კოოპერაციის ზემდგომ ორგანოში. თუ ნაკლოვანებების აღკვეთა შედის თვით სოფლის ან რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების მუშაკთა მოვალეობაში, წარდგინება შეიძლება შეტანილ იქნას უშუალოდ მათთან.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში აუცილებელია მოვითხოვოთ, რომ ორგანიზაციებმა, რომლებსაც გაეგზავნათ წარდგინება, აცნობონ გამოძიებელს მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ.

გატაცების აღკვეთისათვის ღონისძიებათა შემუშავების დროს საჭირო არ არის დაეყოთ ხელშემწყობი გარემოებები მნიშვნელოვნად ან ნაკლებ მნიშვნელოვნად. ნებისმიერი ნაკლი ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობაში, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, თუ კი ის ხელს უწყობს გამდლანგველებს ჩაიდინონ დანაშაული, არ უნდა გამორჩეს გამოძიებელს მხედველობიდან.

ამასთან დაკავშირებით სამწუხაროდ უნდა იქნას მიჩნეული ისეთი ფაქტები, როცა გამოძიებელს არ შეაქვს წარდგინება მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის საკმაო საფუძველი არსებობს.

მაგალითად, მ. ს. ბრალდების საქმის გამოძიებისას, რომელმაც აბაშის სოფლის სამომხმარებლო ორგანიზაციის მალაზიიდან გაიტაცა საქონელი, გამოიჩინა, რომ ბრალდებული ადრეც ნასამართლევი იყო გაფლანგვა-მტაცებლობისათვის. მიუხედავად ამისა, აბაშის სოფლის სამომხმარებლო საზოგადოების ხელმძღვანელებმა არა მარტო კვლავ მიიღეს იგი სამუშაოზე სამომხმარებლო სისტემაში, არამედ სპეციალურად მისთვის შექმნეს ხარჯთაღრიცხვითა და შტატით გაუთვალისწინებელი ღვინის საწყობიც და შეთავსებით დანიშნეს ამ საწყობის გამგედ. გამგის თანამდებობაზე ერთი თვის მუშაობის პერიოდში მ-მ სხვადასხვა კომბინაციების გზით მიითვისა 20 ათასი მანეთი.

საქმის მასალები და ჩადენილი დანაშაულის ვითარება, სრულ საფუძველს იძლეოდა შესაბამის კოოპერაციულ ორგანიზაციებში გამოძიებელი შესულიყო წარდგინებით, მაგრამ ეს არ გაკეთებულა.

კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით მომზადებული წარდგინება ხელმოწერილი უნდა იქნას გამოძიებლის მიერ იმის მიუხედავად, თუ რომელ ორგანიზაციაში წარიმართება იგი. არავითარი სანქციონირება ამ შემთხვევაში საჭირო არ არის. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ გამოძიებლის წარდგინებას უნდა ამტკიცებდეს ის პროკურორი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას გამოძიე-

¹ В. Г. Танасевич. Изучение и предупреждение хищений социалистической собственности. Сб. «Вопросы методики изучения и предупреждения преступлений», М., 1962, стр. 112—113.

ბაზე. ასეთი მოსაზრება დასაბუთებულია „სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის გარანტიის გაძლიერების“² აუცილებლობით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი თვალსაზრისი არ გამომდინარეობს კანონიდან და არ შეიძლება მიჩნეული იქნას სწორად, რადგან ის ფაქტი, რომ წარდგინება დანიშნულებისამებრ წარმართება გამომძიებლის ხელმოწერით, სრულიად არ ასუსტებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების გარანტიას.

ეს არ უნდა ავურიოთ პრაქტიკაში უკვე ჩამოყალიბებულ წესთან, როცა პროკურორები, შსს საგამოძიებო დანაყოფების უფროსები ხელს აწერენ წარდგინებას, რომელიც შედგენილია ერთი და იმავე კატეგორიის რამდენიმე საქმეთა შესწავლის საფუძველზე და შეიცავენ განზოგადებულ მონაცემებს შედარებით ტიპური გარემოებების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობდნენ დანაშაულს მოცემულ სისტემაში, ქალაქში და ა. შ.

ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან ბრძოლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ დანაშაულის თავიდან აცილებისათვის ხშირად წამოიჭრება საწარმოო კოლექტივთა კრებების ჩატარების აუცილებლობა გამოვლენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების აღკვეთაში საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით.

ასეთი ღონისძიებები უფრო ხშირად მიზანშეწონილია ჩავატაროთ, როცა დადგენილია კოლექტივში აღმზრდელი მუშაობის არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობის, გამტაცებლებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების ფაქტები და ა. შ.

გამომძიებელი გულმოდგინედ უნდა მოემზადოს კრებაზე გამოსვლისათვის. მან საწარმოს კოლექტივს უნდა გააცნოს საქმის მოკლე შინაარსი, მიაწოდოს ზოგიერთი ცნობა გატაცების ჩადენის საშუალებებისა და მათი გამოვლინების ხელმისაწვდომი მეთოდების შესახებ. მაგრამ ამასთან არ უნდა გახმაურდეს გატაცების შედარებით მარჯვე საშუალებები, რომლებიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნას უპატიოსნო ადამიანების მიერ.

ხესტაფონის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირის ბაზაში გატაცების შესახებ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დაადგინა, რომ ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობდა არა მარტო ნაკლოვანებები რაიკავშირის აპარატის საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობაში, არამედ ბოროტმოქმედების ბევრი ცნობილი ფაქტისადმი კოლექტივის ინერტიული დამოკიდებულება. გამომძიებელი გულმოდგინედ მოემზადა ამ კრებაზე გამოსვლისათვის, რასაც მოყვა საქმიანი მსჯელობა გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე. დაისახა ეფექტური ზომები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

გ) დაადგინეს რა კონკრეტულ საქმეზე გატაცების ჩადენის ხელშემწყობ გარემოებებს, გამომძიებელი და პროკურორი იღებენ ზომებს, რათა მსგავსი გარემოებები აღკვეთილ იქნას სხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში. ამას ისინი აღწევენ ახსნა-განმარტებითი მუშაობის გზით, რაც ხორციელდება ლექციის, მოხსენების, საუბრის ფორმით, სტატიების გამოქვეყნებით ადგილობრივ პრესაში, თემატური საღამოების ჩატარებაში მონაწილეობით და ა. შ.

² Г. Ф. Горский, Прокурорский надзор за выявлением и изучением причин преступности в стадии предварительного расследования. Сб. «Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием», М., стр. 69—70.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამ მუშაობის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანად იქნება გამოყენებული ლექციებისა და მოხსენებებში მონაცემები გამოვლინებულ გატაცების ხელშემწყობი პირობების შესახებ. არ შეიძლება ასევე უგულებელვყოთ ინფორმაცია ამა თუ იმ ორგანიზაციაში გატაცების შედარებით გავრცელებული საშუალებების შესახებ, მომხმარებელთა მოტყუების ხერხებზე, და მათი გამოვლინების ფართოდ მისაწვდომ მეთოდებზე.

ასეთი ინფორმაცია ხელს უწყობს მასების სიფხიზლის ამალვებას და უეჭველად დადებითად მოქმედებს არამყარ ელემენტებზე.

გამომძიებლის მიერ შეტანილი წარდგინებების ქმედითობა და შედეგიანობა ბევრად არის დამოკიდებული თუ როგორ განხორციელდება კონტროლი მათ განხილვაზე.

გამომძიებლის რეკომენდაციების განხილვასა და გადაწყვეტაზე კონტროლი უნდა ატარებდეს აქტიურ და გეგმიურ ხასიათს. ყოველ წარდგინებაზე მიღებული უნდა იქნას იმ ორგანოს პასუხი, რომლის მისამართითაც გაიგზავნა წარდგინება. ზოგჯერ პასუხის მიღების შემთხვევაშიც, მიზანშეწონილია შემოწმდეს, თუ რა ზომები იქნა მიღებული გამომძიებლის წარდგინების მიხედვით და რა ეფექტი ჰქონდა მათ.

საქმეების შესწავლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამწუხაროდ წარდგინებათა იმ მცირე რაოდენობაზეც კი, რომლებიც შეტანილი იყო, ყველა გამომძიებელი არ ამოწმებს, თუ რა ზომებია მიღებული გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად. ეს არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ. გამომძიებელმა უნდა მიადგინოს, რომ წარდგინებაში მითითებული რეკომენდაციები შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მუშაობა, რომელიც ჩატარდა გამოძიების მსვლელობაში დანაშაულის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების დადგენისათვის „ლოგიკურ ბოლომდე მიუყვანელი რჩება და ვერ აღწევს მიზანს“³.

გამომძიებლის წარდგინების რეალიზაციაზე კონტროლის ტექნიკა სხვადასხვაგვარია. ასე, ზოგი გამომძიებელი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების აღკვეთის შესახებ შეტანილ ყოველ წარდგინებაზე ხსნის საკონტროლო ბარათს. მასში აღინიშნება სისხლის სამართლის საქმის დასახელება და ნომერი, რომელზეც შეტანილია წარდგინება, ორგანიზაციის მისამართი, ტელეფონი და დასახელება, სადაც გაიგზავნა წარდგინება, წარდგინების შეტანის თარიღი და მისი მოკლე შინაარსი. ბარათები ინახება გამომძიებელთან და მათზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნები. ბარათი კონტროლიდან იხსნება და თავსდება სამეთვალყურეო წარმოებაში მას შემდეგ, რაც გამომძიებლის წინადადებები შესრულდა და მან წარდგინებაზე პასუხი მიიღო.⁴

გამომძიებელს წარდგინების დროულ განხილვაზე კონტროლის განხორციელებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება გამომძიებელთა საზოგადოებრივ თანამშრომლებს. ზოგჯერ მიზანშეწონილია ამ საქმეში ჩავაბათ საზოგადოებრიობის

³ Н. В. Жогин, Ф. Н. Фаткуллин. Предварительное следствие, М.,

⁴ Коллектив авторов. Выявление причин преступления и принятие предупредительных мер по уголовному делу, М., 1962, стр. 115.

⁴ Коллектив авторов. Выявление причин преступления и принятие предупредительных мер по уголовному делу, М., 1967, стр. 92.

წარმომადგენლები (პროფკავშირული აქტივისტები, სახალხო კონტროლის ორგანოების ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრები და ა. შ.).

სოხუმის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის ინიციატივით ჩატარდა სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კრება, სადაც გამომძიებლის მოხსენების შემდეგ ფართო მსჯელობის საგნად იქცა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო მომხდარი გაფლანგვა-მტაცებლობის ხელშემწყობ გარემოებებთან. კრებამ შეიმუშავა ღონისძიებანი მომავალში მსგავსი გარემოებების აღსაკვეთად. გამომძიებლის თხოვნით პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივისტები, სახალხო კონტროლის ორგანოების ხელშემწყობი ჯგუფი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, რომ რაისამომხმარებლო კავშირის გამგეობას გაეუმჯობესებინა ცენტრალურ ბუღალტერიაში აღრიცხვის მდგომარეობა, ბევრი რამ გაკეთდა კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად და ისეთი ვითარების შესაქმნელად, რომელიც გამორიცხავდა გატაცების შესაძლებლობას.

გამომძიებლის საქმიანობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების აღსაკვეთად არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებით. დიდი მნიშვნელობა აქვს მის მუშაობას საგამომძიებლო უბანზე. მუშაობის საუბნო სისტემა გამომძიებლის წინაშე ხსნის ფართო შესაძლებლობებს გატაცების აღსაკვეთად. იგი საშუალებას აძლევს მას კარგად იცოდეს ყველა საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია განლაგებული უბანში, იქონიოს მჭიდრო კავშირი სარევიზიო ორგანოებთან, სავაჭრო ინსპექციის წარმომადგენლებთან, რეგულარულად მიმართოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და აქტივისტებს.

მონაცემები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან ბრძოლის მდგომარეობის, ამა თუ იმ დაწესებულების საორგანიზაციო სამეურნეო საქმიანობაში იმ ნაკლოვანებების არსებობის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ გაფლანგვა-გატაცებას, გამომძიებელს საშუალებას აძლევს მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, გატაცებასთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

გატაცების აღსაკვეთად საგამომძიებლო უბანზე მუშაობის ფორმები სხვადასხვაგვარია. ამ ფორმების გამოყენება ხდება კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან აქტიური ბრძოლა ვერ მიადწევს მიზანს, თუ ვიმოქმედებთ მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ რეკომენდაციებით. გამომძიებლის მუშაობის წინაშე დგას ამოცანა გამოძიებონ გატაცების აღკვეთის ახალი და შედარებით ქმედითი ფორმები.

ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილების წესი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კადრები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები. ამდენად ახალგაზრდა სპეციალისტების გეგმიურად მოწყობა სამუშაოზე, მათი პერსონალური განაწილება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

გეგმიური წესით ახალგაზრდა კადრების სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე მოწყობა სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტიაა.

იმ ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილება, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი, წარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1968 წლის 18 მარტის № 220 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

აღნიშნული დებულება შეთანხმებულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან (უწყებებთან).

ეს კონსულტაცია მიზნად ისახავს გააცნოს ახალგაზრდა სპეციალისტებს და


სხვა დაინტერესებულ პირებს ახალი დებულების ძირითადი საკითხები, განსაკუთრებით კი მასში შეტანილი სიახლენი.

სამინისტროები, უწყებები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ვალდებული არიან ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილება უზრუნველყონ არა უგვიანეს 4 თვისა სასწავლებლის დამთავრებამდე, ხოლო ცალკეული სპეციალისტებისა იმ ვადებში, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებებით.

ახალგაზრდა სპეციალისტებს სამუშაოზე ანაწილებს კომისია, რომელსაც ამტკიცებს ის სამინისტრო ან უწყება, რომლის სისტემაშიც შედის მოცემული უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

დებულებით დადგენილია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელმაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა წარმოებისაგან მოწყვეტით, გეგმის შესაბამისად სამუშაოდ იგზავნება სასწავლებელში მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. პირველ რიგში იგი სამუშაოდ იგზავნება იმ ობიექტებზე, რომლებიც უფრო მეტად განიცდიან სპეციალისტების ნაკლებობას.

კომისიამ თითოეულ ახალგაზრდა სპეციალისტს უნდა მისცეს ცნობები მუშაობის ადგილის, თანამდებობის, ხელფა-



სის განაკვეთისა და გამოყოფილი ბინის შესახებ. კომისია ისმენს და იხილავს აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტის პირად სურვილს მისი მომავალი სამუშაოს შესახებ.

პერსონალური განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ოჯახური პირობები.

ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება პერსონალური განაწილების კომისიაში, სამუშაოზე განაწილება დაუსწრებლად. პერსონალური განაწილების კომისიის გადაწყვეტილებაზე დაუთანხმებლობის მიუხედავად ახალგაზრდა სპეციალისტი მოვალეა გამოცხადდეს სამუშაოზე დანიშნულები-სამებრ.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად სასწავლებლად გაგზავნილი არიან სამრეწველო საწარმოების, მშენებლობათა, საბჭოთა რესურსების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ, განაწილების დროს სამუშაოდ იგზავნებიან იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებშიც ისინი სასწავლებლებში მიაღწიეს.

თუ პერსონალური განაწილების კომისია ვერ შეძლებს ახალგაზრდა სპეციალისტების გეგმის შესაბამისად სამუშაოდ მოწყობას, მაშინ კომისია ახალგაზრდა სპეციალისტს სამუშაოდ გზავნის მისი შეხედულებისამებრ ან მას აძლევს შესაძლებლობას, რომ კომისიასთან შეთანხმებით დამოუკიდებლად მოეწყოს სამუშაოზე.

პირები, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობენ წარმოებისგან მოუწყვეტილი III ან IV კურსზე სწავლის პე-

რიოდში, მუშაობის ადგილის ადმინისტრაციამ უნდა გადაიყვანონ სამუშაოზე სასწავლებელში მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდები არიან, სამუშაოდ გაიგზავნებიან თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მათი ოჯახების მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ან მათი თანხმობით — ერთ-ერთ ადგილას, რომელსაც კომისია ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდა სპეციალისტების მშობლები პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდები არიან და ოჯახში სხვა შრომისუნარიანი წევრები არა ჰყავთ, თავიანთი თხოვნით სამუშაოდ გაიგზავნებიან ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

სამხედრო მსახურთა, ოფიცერთა და მეთაურთა შემადგენლობის, აგრეთვე სერჟანტთა და ზევადიანი სამსახურის შემდეგების ცოლები (ქმრები) სამუშაოდ გაიგზავნებიან მათი ქმრების (ცოლების) მუდმივ სამუშაო ადგილას (სადაც გადიან სამხედრო სამსახურს). ეს წესი არ ვრცელდება სავალდებულო სამხედრო მსახურთა და სამხედრო სასწავლებლების კურსანტების მეუღლეებზე.

ახალგაზრდა სპეციალისტი ქალები ორსულობის შემთხვევაში ან მაშინ, როცა ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები სამუშაოდ გაიგზავნებიან ოჯახის (ქმრის, მშობლების) მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

მეუღლენი, რომლებიც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს ამთავრებენ ერთდროულად, სამუშაოდ გაიგზავნებიან საწარმოებში (დაწესებულებებში), რომლებიც მდებარეობენ ერთ ქალაქში ან რაიონში. თუ ერთ-ერთმა მეუღლემ სასწავლებელი დაამთავრა ადრე, მაშინ ის სამუშაოდ გაი-



გზავნება საერთო წესით, თუ გვიან და-
ამთავრებს, მაშინ სამუშაოდ გაიგზავნე-
ბა მეუღლის დანიშვნის ადგილას.

თუ ახალგაზრდა სპეციალისტები და-
ქორწინდებიან სამუშაოზე განაწილების
შემდეგ, მეუღლეთა მუშაობის ადგილი
განისაზღვრება იმ სამინისტროებთან
(უწყებებთან) შეთანხმებით, რომელთა
განკარგულებაშიც ისინი იგზავნებიან.

სამინისტროებმა ან უწყებებმა რო-
მელთა განკარგულებაშიც იგზავნებიან
ახალგაზრდა სპეციალისტები, მათ მიერ
სასწავლებლის დამთავრებამდე არა
უგვიანესი ერთი თვისა სასწავლებ-
ლებს უნდა გადასცენ მოწმობები ახალ-
გაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე გა-
გზავნის შესახებ. ამ მოწმობებს ხელს
უნდა აწერდეს მინისტრი (უწყებათა
ხელმძღვანელი) ან მისი მოადგილე. აგ-
რეთვე სასწავლებლებს ცენტრალიზე-
ბული წესით უნდა გადაურიცხონ ფუ-
ლადი სახსრები, რაც საჭიროა ახალ-
გაზრდა სპეციალისტების დანიშვნის ად-
გილამდე მგზავრობის ხარჯების ასანა-
ზღაურებლად და მათზე შვებულების
დროის დახმარების მისაცემად.

ახალგაზრდა სპეციალისტებს სამუ-
შაოზე გაგზავნის შესახებ მოწმობები
და ფულადი სახსრები ეძლევათ დიპ-
ლომებთან ერთად მათ მიერ სასწავლებ-
ლის დამთავრების შემდეგ არა უგვიან-
ნეს 5 დღისა.

ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომ-
ლებსაც უფლება მიეცათ დამოუკიდებ-
ლად (თვითონ) მოეწყონ სამუშაოდ, ამ
უფლების შესახებ ცნობებს აძლევენ
სასწავლებლები მას შემდეგ, როცა
ასეთს დაამტკიცებენ ის სამინისტროე-
ბი ან უწყებები, რომელთა გამგებლო-
ბაშიც სასწავლებლები შედიან.

სასწავლებლების ხელმძღვანელებს
აქრძალული აქვთ კურსდამთავრებუ-
ლებს, რომლებმაც დაიცვეს სადიპლომო
პროექტები ან სახელმწიფო გამოცდები
ჩააბარეს, მოუხსნან სტიპენდია და ამო-

რიცხონ სასწავლებლის სიიდან მანამ,
სანამ არ მისცემენ მოწმობას სამუშაო-
ზე გაგზავნის ანდა ცნობას სამუშაოზე
დამოუკიდებლად მოწყობის უფლებაზე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების მქონე სპეციალისტები ვა-
ლდებული არიან, სასწავლებლის და-
მთავრების შემდეგ არა ნაკლები სამი
წლისა იმუშაონ უშუალოდ იმ საწარ-
მოებში, სადაც გაიგზავნენ.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა
რიგებში გაწვეულ უმაღლესი და საშუა-
ლო სპეციალური განათლების ახალ-
გაზრდა სპეციალისტებს იქ ყოფნის პე-
რიოდი ჩაეთვლებათ იმ ვადაში, რაც ამ
დებულებითაა განსაზღვრული სასწავ-
ლებლის დამთავრების შემდეგ დანიშ-
ვნის მიხედვით სავალდებულო მუშაო-
ბისათვის.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმ-
ძღვანელებს ეკრძალებათ ახალგაზრდა
სპეციალისტების გამოყენება სამმარ-
ველო აპარატში სასწავლებლების დამ-
თავრების შემდეგ 3 წლის განმავლობა-
ში, მათი ისეთ სამუშაოზე გადაყვანა,
რომელიც სპეციალობასთან არ არის
დაკავშირებული, აგრეთვე მათი სამუ-
შაოდან დათხოვნა იმ შემდგომი ორ-
ნოს ნებართვის გარეშე, რომელსაც
ექვემდებარება მოცემული საწარმო
ან ორგანიზაცია.

თუ რაიმე მიზეზით ახალგაზრდა სპე-
ციალისტი სამუშაოდ არ იქნება გამო-
ყენებული იმ საწარმოში ან ორგანიზა-
ციაში, სადაც ის პერსონალური განაწი-
ლების კომისიის მიერ იყო გაგზავნილი,
ან საწარმო (ორგანიზაცია) ვერ უზ-
რუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებ-
ის პირობების შესრულებას, მაშინ სა-
მინისტრო (უწყება) რომელთა გამგებ-
ლობაშიც არის მოცემული საწარმო
ან ორგანიზაცია, ვალდებულია ახალ-
გაზრდა სპეციალისტი მის სისტემაში
მოაწყოს სხვა სამუშაოზე ან მისი თხოვ-
ნით სამუშაოდ მიაგლინოს სხვა სამი-

ნისტროს (უწყების) სისტემაში ამ სამინისტროსთან (უწყებასთან) შეთანხმებით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს აკრძალული აქვთ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე მიღება სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამი წლის გასვლამდე შესაბამისი სამინისტროს (უწყების) თანხმობის გარეშე ან სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობისა, რითაც დასტურდება, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება აქვს.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრეს წარმოებისაგან მოწყვეტით, სწავლის გაგრძელებისათვის მიიღონ სასწავლებელში, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მოხდენენ საშუალო სპეციალურ სასწავლებლის დამთავრებულთა 5 პროცენტში და მიიღეს წარჩინების დიპლომი.

საწარმოთა (ორგანიზაციათა) და სასწავლებელთა ხელმძღვანელები, რომლებიც დაუშვებენ ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე და სწავლის გაგრძელებისათვის მიღებას ზემოაღნიშნული დოკუმენტების გარეშე, მიეცემა მკაცრ პასუხისმგებებაში იმ სამინისტროების (უწყებების) მიერ, რომლის გამგებლობაშიც იმყოფებიან ეს საწარმოები (ორგანიზაციები) ან სასწავლებლები.

ახალგაზრდა სპეციალისტები ბინით უზრუნველყოფილი იქნებიან იმ საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ, სადაც ისინი სამუშაოდ გაიგზავნენ განაწილების დროს.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც სამუშაოდ არიან გაგზავნილი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომ-

სახურების, სასამართლოსა და პროკურატურის დაწესებულებებში და ამ ორგანოებში არა აქვთ საუწყებო საცხოვრებელი ფართობი, ისინი ბინით უზრუნველყოფილი იქნებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ სათანადო დაწესებულება — ორგანიზაციის შუამდგომლობის საფუძველზე.

ყველა ახალგაზრდა სპეციალისტს, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იგზავნებიან, მუშაობის დაწყებამდე ეძლევათ ერთი თვის შვებულება დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის ჰქონდათ მათ სასწავლებლებში უკანასკნელი არდადეგები.

ახალგაზრდა სპეციალისტებს შვებულების დროს ეძლევათ დახმარება თვიური სტიპენდიის რაოდენობით იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშზე, სადაც სამუშაოდ იგზავნებიან. შვებულების დროს ხელფასი არ ეძლევათ.

ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებსაც უფლება მიეცათ დამოუკიდებლად მოეწყონ სამუშაოზე, შვებულების დროს დახმარება არ ეძლევათ. ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ იგზავნებიან სხვა ადგილას, ეძლევათ შემდეგი სახის კომპენსაცია და ვარანტია:

- ა) ახალგაზრდა სპეციალისტისა და მისი ოჯახის წევრების გადაყვანისა და ნივთების გადატანის საფასური;
- ბ) გზაზე ყოფნის პერიოდში დღიურები, ახალ ადგილას სამუშაოს თანამდებობრივი ვანაკვეთის 1/30-ის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 მანეთისა;
- გ) ახალგაზრდა სპეციალისტზე ერთდროული დახმარება ახალ სამუშაოზე



მისი თვიური თანამდებობრივი განაკვეთის ნახევრის ოდენობით, ხოლო მისი ოჯახის ყოველ წევრზე, რომლებიც გადადიან, ახალგაზრდა სპეციალისტის დახმარების $\frac{1}{4}$ -ის რაოდენობით. ახალგაზრდა სპეციალისტებს ზემოაღნიშნულ სახსრებს აძლევენ სასწავლებლები, იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ანგარიშზე, სადაც ისინი გაგზავნილი არიან სამუშაოდ.

ახალგაზრდა სპეციალისტი ვალდებულია სამუშაოდ გაგზავნასთან დაკავშირებით მიღებული თანხები მთლიანად დააბრუნოს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ის არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება მუშაობის ადგილას ან უარს განაცხადებს მუშაობის დაწყებაზე.

ბ) თუ ის დანიშვნის ადგილიდან სამი წლის ვადამდე სამუშაოდან გათავისუფლდება პირადი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც

საპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სამუშაოზე ან უარს განაცხადებს მუშაობის დაწყებაზე, ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა უკვე გაწეული გზის ხარჯების გამოკლებით.

ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის გაცემული თანხა, რომლებმაც საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობა ვერ დაიწყეს საბჭოთა არმიის გაწვევასთან დაკავშირებით, მათ არ გადახდებათ. ეს თანხა ამ საწარმოების (დაწესებულებების) ხარჯებში ჩაითვლება.

ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის პერსონალური განაწილების დებულების, კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების გაცნობა, რომლებითაც განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობანი, დიდად შეუწყობს ხელს მათს ორგანიზებული წესით გაგზავნას სამუშაოზე და დანიშვნის ადგილზე ნაყოფიერ მუშაობას.

ადვოკატი ვ. შონია

ქართული ადვოკატების მოღვაწეობა მეცნიერების, ჯურისპირობის, ლიბერალური კრიტიკისა და ხელოვნების დარგში

ბ. ხარატიშვილი

ქართველი ადვოკატები ნაყოფიერად მუშაობდნენ მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნების დარგში. ამ საბატო საქმიანობას ისინი შეუდგნენ საქართველოში სასამართლო რეფორმის განხორციელებისა და ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტის დაარსებისთანავე. ქართველი ადვოკატების უფროსი თაობის წარმომადგენლებმა (მოსე ჭიჭიძე, ვასილ მაჩაბელი, დიურასაბ ლოლოვა, დავით ლორთქიფანიძე და სხვ.) გარკვეული როლი შეასრულეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. მათი მოღვაწეობა მოითხოვს სპეციალურ შესწავლა-გამოკვლევას, აქამდე კი ჩვენ დავკმაყოფილებით იმ ადვოკატთა საქმიანობის მოკლე აღწერით, რომელთაც ამ სარბიელზე მოღვაწეობა მოუხდათ ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წლიდან.

მეცნიერებაში ქართველ ადვოკატთა მოღვაწეობა ორი მიმართულებით წარიმართა, ქმნიდნენ სხვადასხვა დისციპლინებში შრომებს და ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დიდი ქართველი მეცნიერები შალვა ნუცუბიძე და დიურასაბ ანდრონიკაშვილი 1926 წლიდან 1930 წლამდე ირიცხებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის ადვოკატთა კოლეგიაში. მათ პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობაზე აქ არაფერს ვიტყვით, რადგან ეს საყოველთაოდ ცნობილია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე ადვოკატები გრიგოლ რცხილაძე, სერგო ამაღლობელი, დავით ლორთქიფანიძე, ზაქარია ინწვირველი, დიურასაბ შურლაია. სხვადასხვა დროს ადვოკატობაში მოღვაწეობდნენ აგრეთვე პროფ. პროფ. თ. წერეთელი, ბ. ფურცხვანიძე, დოც. ვ. ნიძე, დოც. ნ. წერეთელი, ქართული ენციკლოპედიის სამართლის განყოფილების გამგე ვ. მაყაშვილი, კრიტიკოსები ბესარიონ ფდენტი, ალი არსენიშვილი, მწერალი-დრამატურგი გერცელ ბაზოვი და სხვ.

პროფ. ლ. ანდრონიკაშვილს სამწუხაროდ მეცნიერული ნაშრომები არ გამოუქვეყნებია, მაგრამ როგორც ვ. მაყაშვილი გვაცნობს „მას საკმაოდ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა. ლექციები სისხლის სამართალში, ლექციები სამოქალაქო სამართალში, ლექციები სასამართლო მჭევრმეტყველების შესახებ, მოხსენებები სამართლის ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ ყოველივე ეს ძირითადად იდეათა მოკლე ჩანაწერებს წარმოადგენდა, ხოლო დეტალებში გაფორმებული და დასაბუთებად საბოლოოდ გამზადებული არ არის.“¹ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში გამოქვეყნდება ამ დიდი მეცნიერის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც დიდი შენაძენი იქნება სამართლის მეცნიერებისათვის.

მეცნიერული შრომები გამოსცეს ადვოკატებმა — გრიგოლ გიორგაძემ, კირილე ნინიძემ, იაკვალაძემ, დავით კვიციანიამ, პეტრე ქავთარაძემ, გრიგოლ გველესიანმა, ნიკოლოზ (კოკი) აბაშიძემ, სერგო ამაღლობელმა, ალექსანდრე ბურთიკაშვილმა და სხვებმა.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ადვოკატი გრიგოლ რცხილაძე, რომელიც გარდა იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის კურსს კითხულობდა, მრავალ შრომას აქვეყნებდა ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“. გრ. რცხილაძის მემკვიდრეობა იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ იგი სპეციალურ შესწავლასა და გამოკვლევას მოითხოვს.


გრ. რცხილაძემ უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო 1900 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა ნაფიც — ვეჟილთა დასში და მწერლობასაც მოჰკიდა ხელი. „ზანგი“-ს ფსევდონიმით მისი წერილები ქართული ლიტერატურის საკითხებზე იმეჭლებოდა თავდაპირველად „ივერიაში“, შემდეგ „ცნობის ფურცელსა“, „სახალხო გაზეთში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ქართველ მწერლებს რევოლუციამდე გაერ-

¹ უტრნ. „საბჭოთა სამართალი“, 1963 წ. № 2 გვ. 58.



თანება არა ქონიათ. ისინი უმთავრესად სხვა-დასხვა გაზეთისა თუ ურუნალის რედაქციის გარეშე ერთიანდებოდნენ. და აი, 1912 წელს, მწერალთა ერთი ჯგუფის თაოსნობით, დაარსდა „ქართული სიტყვაკაშმული მწერლობის საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ ადვოკატი რ. რცხილაძე აირჩიეს, გამგეობის წევრე-



გიორგი რცხილაძე

რალთა საზოგადოება“. მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ამ საზოგადოებისათვის დანართი მილიონერ აკ. ხოშტარიას ნაციონალიზაციაქმნილი სახლი (ამჟამად ამ სახლში ივ. მაჩაბლის ქუჩაზე, მოთავსებულია „საქართველოს მწერალთა კავშირი“), „საქართველოს მწერალთა საზოგადოებამ“ კრიტიკოს იპ. ვართაგავას დაავალა შენობის მიღებისათვის შუამდგომლობით შესულიყო მენშევიკურ მთავრობასთან და მან ეს საქმე მოაგვარა. როგორც იპ. ვართაგავა აღმოგვცემს ამაში დიდი როლი შეუსრულებია ადვოკატ პეტრე (პეტია) ბარათაშვილს. აი რას წერს იპ. ვართაგავა „მემუარებში“: „გადავწყვიტე ჩემთან ერთად წამეყვანა არა რომელიმე უკვე ცნობილი და ავტორიტეტის მწერალი, მაგალითად, ვ. ბარნოვი ან შ. არაგვისპირელი, არამედ სრულებით ახალგაზრდა ინტელიგენტი პეტრე ბარათაშვილი, ვეჭილი, ნიჭიერი იურისტი. პეტრე (პეტია) იყო მგზნებარე ორატორი, ტემპერამენტისანი და გაბედული ახალგაზრდა. ყველა ეროვნული საკითხი მას დიდად აინტერესებდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ როდესაც საქართველოს ავტოკეფალია (ეკლესიის თავისუფლება) გამოცხადდა და სინოდი შედგა, მის წევრად ერის კაცებიდან პეტრე აირჩიეს. აირჩიეს აგრეთვე პავლე ინგოროყვა, რაფო ივანიცი და მეც. პავლე ინგოროყვა აირჩიეს ალბათ იმისათვის, რომ სულ ახალგაზრდამ იმ პერიოდში გამოსცა თავისი კაპიტალური წიგნი ძველი ქართული სასულიერო ძეგლები. პეტრე აირჩიეს საქართველოს ეკლესიის უფლებათა დამცველად, მე, როგორც სასულიერო ხემინარის მასწავლებელი. პეტრეს გადავეცი ჩემი სურვილი. ძლიერ ეამა. ის თუმცა არ მწერლობდა, მაგრამ ძველი და ახალი ქართული მწერლობის დიდი მოტრფიალე იყო. „მდგომარეობამ თუ მოითხოვა, ახა შენ იცი, მოხსენი მჭევრმეტყველებლის გულა და მინისტრის გული აუჩუყე-თქო“, — სუბრობით ვუთხარი. „ჩემზე იყოს“, — დაბეჭითებით მითხრა.

ბად კი შიო არაგვისპირელი, კოტე მყაუშვილი, სერგო გორგაძე, არისტო ჭუმბაძე და იპოლიტე ვართაგავა.

„სიტყვა-კაშმული მწერლობის საზოგადოებამ“, რომელსაც 1912 წლიდან გრ. რცხილაძე მეთაურობდა, დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე გააკეთა. გარდა იმისა, რომ აწყობდა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა საჯარო კითხვა-განხილვას, საზოგადოებამ დაარსა ბეჭდვითი ორგანო „გრდემლი“, რომლის მთავარ რედაქტორად გრ. რცხილაძე დაინიშნა. ვინაიდან გამგეობას არ ჰქონდა შესაფერისი შენობა, გამგეობის ხსდომები გრ. რცხილაძის საცხოვრებელ ბინაში იმართებოდა. აქვე იყო მოთავსებული „გრდემლის“ რედაქციაც.

„სიტყვაკაშმული მწერლობის საზოგადოებამ“ საფუძველი ჩაუყარა ქართველ მწერალთა გაერთიანებას. 1920 წელს მოწვეული იქნა ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც გრ. რცხილაძემ გახსნა. მან ფართოდ გააშუქა ქართული მწერლობის წინაშე დასმული ამოცანები. ყრილობის დადგენილებით შეიქმნა მწერალთა ორგანიზაცია — „საქართველოს მწე-

ლანისწულ დღეს სრულ ათ საათზე შევედი მთავრობის სასახლეში და პირდაპირ მინისტრის კაბინეტისაკენ წავედი. მე მოკლედ მოვასხენე თუ რა საქმისათვის მივედი და ჩემი ოფიციალური თხოვნა-განცხადება გადავეცი. მან ის წაიკითხა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დამშვიდებით თქვა: „მწერალთა ყრილობაზე ბევრი ზარბაზნები გვესროლეს თურმე გამოსულმა ორატორებმა, ბრალს სდებენ ჩვენს მთავრობას იმაში, რომ მან ვითომც სრულებით მიივიწყა ქართული მწერლობა, რომ ქართველი მწერლები მათხოვრებად გადაიქცნენ. ჩვენ წავიკითხეთ ბატონო იპოლიტე, თქვენი წერილი — დიდი საბრალმდებლო ოქმია... ბევრი რაც ითქვა მარ-

თალია. ქართულ მწერლობასაც მიეკცევა თავის დროზე ყურადღება.

პეტრე გაფაცვიცებით უსმენდა მინისტრს და აღლევდა ტყუბოლდა. მოხდა პატარა პაუზა... პეტრემ აიშვა ადვირი, თავისებური გატაცებით და ურყევი დამაჩერებლობით უმტკიცებდა მინისტრს ყველა ერისათვის, განსაკუთრებით ისეთი მრავალტანჯული ერისათვის, როგორც ქართველი ერი იყო, ეროვნული მწერლობის და კულტურის მნიშვნელობას. ის უსმენდა ახალგაზრდა ორატორს. მეც მომხიბლა მისმა გულწრფელმა, მხატვრულმა სიტყვამ. მინისტრს ერთხელაც არ შეუჩერებია გატაცებული ორატორი. დღესაც მახსოვს და თითქოს ყურში ვინმე ჩამახხის პეტრეს ოცნუთიან მომაჯადოებელ სიტყვის უკანასკნელ ფრაზებს. „მე თქვენ, ბატონო, მინახივხართ ტრიბუნაზე აღგზნებული პოეტური სიტყვით, მეტაფორებით, შედარებებით, ირონიითა და სარკაზმით. მე მსმენია თქვენი ქართული. ეს ქართული თქვენი საკუთრება როდი იყო, როდის არის: ის ეროვნული უძვირფასესი საუნჯეა. ეს საუნჯე შექმნა ხალხმა, გაღვინა, გამოკვერა, მარგალიტად აქცია ქართველმა მწერლებმა, შოთამ, პეტრიწმა, მთაწმინდლებმა, არჩილებმა, თეიმურაზებმა, საბამ, ბესიკმა, ილიამ, აკაკიმ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა. ქართულ ენას, ქართულ სიტყვას ააღმასებენ დღესაც ჩვენი მწერლები. როგორ შეიძლება ამისი დავიწყება? „რა ენა წახდეს, ერიც დაიცვოს“, — თქვენც ხომ კარგად გახსოვთ პოეტის ეს ბრძნული სიტყვები! იმედია, რომ ქართული მწერლობის, როგორც თქვენ ბრძანებთ, დროებით დავიწყებას იმით გამოასწორებთ პირველ რიგში, რომ შესაფერ თავშესაფარს მისცემთ, ე. ი. ზღუტარიას სასახლეს მწერალთა კომიტეტს გადასცემთ“.

ვამჩნევდი, რომ დადებითად იმოქმედა პეტრეს სიტყვებმა მინისტრზე. წამოდგა და მოკლედ გვითხრა: „ვეცდები თქვენი სურვილი იქნეს დაკმაყოფილებული“. ხელი ჩამოგვართვა და კარებამდის მიგვაცილა. მოკლედ ხანში მწერალთა კომიტეტმა შესძლო მიეღო ზღუტარიას ყოფილი სასახლე, მთელი ეზოთი და სხვა ნაშენებით“. და შემდეგ „—ოფიციალური ისტორიისათვის სრულებით დაკარგულია ის ფაქტი, თუ რა როლი ითამაშა საკითხის გადაწყვეტაში ჩემ მიერ, ჩემი არჩევით წაყვანილმა პეტია ბარათაშვილის მგზნებარე სიტყვამ, დარწმუნებული ვიყავი და დღესაც ვარ, რომ პეტრე ბარათაშვილის სიტყვებმა შესძინეს მწერალთა კავშირს მისი დიდებული სასახლე“.²

ქართული მწერლობის წინაშე ასეთივე დიდი ღვაწლი მიუძღვის ია ეკალაძეს (იაკობ ცინცაძეს), რომელმაც დაამთავრა რა 1910 წელს ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1911 წელს თბილისის ოლქის სასამართლოს ნაფიც ვეჟილად ჩაირიცხა. მას მრავალ პოლიტიკურ პროცესზე უსახლეობია თავი და ბევრი ღარიბ-ღატაკი უსახყიდლოდ დაუცავს მეფის სასამართლოში.



ია ეკალაძე

ია ეკალაძემ 1894 წელსავე მიიბყრო ი. ჭავჭავაძის ყურადღება, როცა „ივერიაში“ მისი პირველი მოთხრობა „ილიკო ბედენაძე“ დაიბეჭდა. მას შემდეგ ია ეკალაძეს კალამი ხელიდან არ გაუგდია. მისი მოთხრობები „ილიკო ბედენაძე“, „ანდრია აფხაშვილი“, „თეო“, „მთაო მაღალი“, „დაუღეგარი“, „სამახსოვრო ღამე“, „მოწაფეთა ცხოვრებიდან“ და მრავალი სხვანი მშრომელი ხალხის ღუხჭირ ცხოვრებას ასახვენ. მოთხრობა „მოწაფეთა ცხოვრებიდან“ — კი ისეთი პოლიტიკური აქცენტით იყო დაწერილი, რომ ცენზურამ „ივერია“ შვიდი თვით აკრძალა, ავტორი კი სამი წლით ლენქორანში გაასახლდა.

ია ეკალაძემ 1916 წელს დაწერა ხუთ მოქმედებიანი დრამა „№ 21 ჭვრით“, სადაც ასახა რე-

² იბ. ვართაგავა, „მოგონებანი“ (ნაწილი მეორე), გამომც. „ცოდნა“ 1962 წ., გვ. 368-371.



ვოლუციური ორგანიზაციის არალეგალური მუშაობა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. პიესას უდიდესი წარმატება ხვდა. არ დარჩენილა არცერთი თეატრი, ცენტრში თუ პროვინციაში, რომ იგი არ დაედგას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ია ეკლადის სალიტერატურო-სამეცნიერო მუშაობის ფართო ასპარეზი გაეხსნა. 1927-1930 წლებში მან გამოსცა „ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“ სამ ტომად. რამდენიმეჯერ გამოიცა მისი თხზულებათა კრებული.

ი. პ. ვართაგავამ შემოგვინახა ია ეკლადის პატრიოტული გრძნობით გამთბარი სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს 1921 წლის თებერვალში, როდესაც ქართველი მწერლები შეხვედრიან მ. ორახელაშვილსა და მ. ოკუჩავას. აი ეს სიტყვა: „ჩვენ, ქართველებს, მრავალტანჯულ და თავისუფლების მოყვარე ერს, მენშევიკურმა მთავრობამ საბოლოოდ შეგვადჟულა სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი. „ჩვენ გვწამს მხოლოდ მუშათა კლასი და მისი ინტერესები“, — „გაიძახოდნენ მენშევიკები და, მართლაც, მათ ფეხქვეშ გათელეს ყოველივე ეროვნული. თავი მოჰქონდათ იმით, რომ საქართველოს, „დეიურე“, დამოუკიდებლობა მოუპოვეს, მაგრამ სრულებით არ რცხვენოდან, რომ საბოლოოდ მიივიწყეს, არარად თვლიდნენ ქართულ მწერლობას. აი, რისთვის სძულდა შეგნებულ ქართველს მენშევიზმი. მომავალშიაც ის შეიძლება ყველა ხელისუფლებას, რომელსაც არ ეყვარება და არ ეწამება ქართული ეროვნული სული, მისი მდიდარი წარსული“.³

საქართველოში სამართლის მეცნიერების პირველი სახელმძღვანელოები ადვოკატებმა შექმნეს. 1918 წელს ქუთაისში გამოცემლობა „განათლებამ“ გამოსცა ია ეკლადის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „სამართლის მეცნიერება“. ეს იყო, როგორც ავტორი მას თვლიდა, „მოკლე სახელმძღვანელო გიმნაზიებისა, რეალურ და კომერციულ სასწავლებლებისათვის“. ია ეკლადემ იმ წლებში ქუთაისის მესამე გიმნაზიაში სამართლის მეცნიერებას ასწავლიდა. შრომა შედგება სამი ნაწილისაგან: 1. შესავალი, 2. სახელმწიფო სამართალი, 3. ქართული სახელმწიფო სამართალი. შრომაში ასეთი საკითხებია განხილული: „ადამიანთა შეერთების ფორმები“, „სამართალი და უფლება“, „სარწმუნოება, ზნეობა, სამართალი და მათი ურთიერთობა“, „ადათი, ზნე-ჩვეულება და კანონი“, „კოდიფიკაცია კანონისა“, „სახელმწიფოს ფორ-

მები“ და სხვ. დეტალურადაა განხილული სახელმწიფოს წარმოშობის ცნობილი ბურჟუაზიული თეორიები, აგრეთვე მარქსისტული თეორია.

ენციკლოპედიური ხასიათის არის ადვოკატ კირილე ნინიძის შრომაც „სამართლის მეცნიერე-




კირილე ნინიძე

ბა“, რომელიც მან აღ. ცისკარიძესთან ერთად 1920 წელს გამოსცა. ეს შრომა უფრო ვრცელია, ვიდრე ია ეკლადის „სამართლის მეცნიერება“. პირველ ნაწილში განხილულია სამართლის მეცნიერების ძირითადი საკითხები — ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობა, ადამიანთა ურთიერთობის ფორმები, ბუნებითი და დადებული სამართალი, სამართლის წყაროები, სახელმწიფოს არსი და მისი ფორმები. მეორე ნაწილში მიმოხილულია და განალიზებულია იმ პერიოდში მოქმედი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ბუნება. მართალია, როგორც ია ეკლადის ისე კირილე ნინიძის შრომები კონსპექტური ხასიათისაა, მაგრამ ეს იყო ქართულ ენაზე შედგენილი პირველი სახელმძღვანელო, რომელიც ახალგაზრდობას გარკვეულ წარმოდგენას აძლევდა სამართლის არსზე, მის ისტორიაზე.

აღსანიშნავია ამ დარგში აგრეთვე გრიგოლ გველესიანისა და სერგო ამალღობელის მოღვა-

3 იმ. ვართაგავა, დასას. წიგნი, გვ. 377-378.



წეობა. გრ. გველეხიანმა 1899 წელს „მოამბეში“ გამოაქვეყნა წერილები სათაურით „ინსტიტუტის სასამართლო დაცვისა და მისი ორგანიზაცია“. ეს არის ქართულ ენაზე პირველი შრომა დაცვის ინსტიტუტის ისტორიაზე. ავტორი განიხილავს დაცვის საკითხს ანტიკურ საბერძნეთში, რომში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში და გვაცნობს 1864 წლის „სასამართლო წესდებულებას“.

გრ. გველეხიანი ამას გარდა მრავალი მეცნიერული გამოკვლევის ავტორია. ყურადღებას იპყრობს მისი წერილი „კრედიტი და მისი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ეკონომიური ცხოვრებისათვის“. გრ. გველეხიანს ჭერ კიდე 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ წამოუჭირა საკითხი ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე.

სერგო ამაღლობელმა 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი იურიდიული განხრით. იგი უნივერსიტეტში დატოვეს მეცნიერული მუშაობისათვის. 1924-1929 წლებში კითხულობდა ლექციების კურსს — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, ამავე საგანს პარალელურად კითხულობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში.

ს. ამაღლობელი მრავალი მეცნიერული შრომის ავტორია ხელოვნების საკითხებზე. მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ მან 1928 წელს უურნალ „საბჭოთა სამართალში“ და „მნათობში“ გამოაქვეყნა ნარკვევები ვ. ი. ლენინზე. უურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1928 წლის № 2 დაბეჭდა ნარკვევი „ლენინი, როგორც იურისტი“. ეს იყო ვ. ი. ლენინის იურიდიული მსოფლმხედველობისა და საქმიანობის შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდა. უურნალ „მნათობის“ 1928 წლის № 10-ში კი გამოქვეყნდა მისი უფრო ვრცელი წერილი „ლენინი და რევოლუციური სამართალი“.

ცნობილია ქართველმა ადვოკატმა გრიგოლ გიორგაძემ სამართლებრივ თემაზე მრავალი წერილი დაბეჭდა ქართულ და რუსულ პრესაში, გამოსცა აგრეთვე სამი კაპიტალური ნარკვევი: 1. „ფეოდალური ურთიერთობანი საქართველოში“, 2. „საზოგადოებრივი ურთიერთობანი საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდის“ და 3. „თავთმპყრობელობა და რევოლუცია“.

ნარკვევი „ფეოდალური ურთიერთობანი საქართველოში“ 1926 წელს გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ და ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ფეოდალიზმი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური ურ-

თიერთობა 1801 წლამდე, ე. ი. საქართველოა რუსეთთან შეერთებამდე. მეორე ნაწილში კი რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონყმობის გადავარდნამდე. შრომაში ვრცლად არის მიმოხილული ფეოდალური ეპოქის სამართალი და



გრიგოლ გიორგაძე

როგორც ავტორი აღნიშნავს ეს თავი გადმოტანილია ქართული სამართლისადმი მიძღვნილ შრომიდან „ქართული სამართლის სისტემა“, რომელიც არ დაბეჭდილა და დღემდე მიკვლეული არ არის.

მეორე შრომა „საზოგადოებრივი ურთიერთობანი საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პირველ რევოლუციამდე“ (589 გვერდი) გამოიცა 1928 წელს. აქ განხილულია არა მარტო საზოგადოებრივი ურთიერთობანი, არამედ ნაჩვენებია საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაც.

გრ. გიორგაძის უკანასკნელი შრომის პირველი ნაწილი „თავთმპყრობელობა და რევოლუცია“ 1930 წელს გამოვიდა, როგორც ჩანს ავტორს განზრახული ჰქონდა ამ თემაზე მეორე წიგნის გამოცემა. შრომაში სისტემატიზებულია დიდალი ფაქტიური დოკუმენტური მასალა (1870-1902 წწ.). არქივში მუშაობის დროს მიუგნია რევოლუციურ მოძრაობასთან მეფის ხელისუფლების ბრძოლის დამადასტურებელი დოკუმენტი.



გრ. გიორგაძეს 1934-1935 წლებში კვლავ შეუქმნია ორი საინტერესო ისტორიული ნაწკვევი („თებერვლის რევოლუცია საქართველოში“, „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია“), რუსულ ენაზე კი უთარგმნია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რაც გამოცემული არ არის.

ადვოკატმა პეტრე ქავთარაძემ ითავა და გააკეთა ეროვნული მნიშვნელობის ორი დიდი საქმე: 1928 წლიდან დაიწყო შეგროვება და დამუშავება ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმ პერიოდში ქართული იურიდიული ტერმინოლოგია არ იყო დამუშავებული, რაც ხელს უშლიდა როგორც მეცნიერული კვლევადიებას, ასევე პრაქტიკულ საქმიანობას, აშკარა გახდება პ. ქავთარაძის დამსახურება. ამ საკითხთან დაკავშირებით მან 1928 წელს უთრნალ „საბჭოთა სამართალში“ (№ 4) დაბეჭდა წერილი, რომელშიც განსაზღვრა ძირითადი წყაროები, საიდანაც უნდა აედოთ მასალა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისათვის. პ. ქავთარაძის რედაქციით დამუშავებულა და 1928 წელს უთრნალ „საბჭოთა სამართალში“,⁴ გამოქვეყნდა რამდენიმე ასეული სიტყვა, რაც საფუძვლად დაედო ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემდგომ დამუშავებას და იმ კაპიტალურ წიგნს, რომელიც პროფ. თ. წერეთლის რედაქტორული 1963 წელს გამოსცა საქართველოს სსრ აკადემიის ენათმეცნიერების და ეკონომიკის ინსტიტუტებმა. შრომის შემდგენლები თავიანთ ახსნა-განმარტებაში წერენ: „1946 წელს რუსულ-ქართული ლექსიკონის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება პროფ. ვუკოლ ბერძის ხელმძღვანელობით. ტერმინოლოგიის განყოფილების მუშაობა წარმოართა ძირითადად პ. ქავთარაძის მიერ შედგენილი დაუმთავრებელი მასალის გადაამუშავებისა და შევსების გზით“.⁵

პ. ქავთარაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე „რუსულ-ქართული“ ლექსიკონის შედგენაში, რომელიც 1937 წელს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, ლექსიკონში 1191 გვერდია და 51 ათასი სიტყვაა განმარტებული. „რუსულ-ქარ-

თული“ ლექსიკონის შედგენაში პ. ქავთარაძის ღვაწლს შემდეგნიარად ახასიათებს ცნობილი ქართველი მწერალი გერონტი ქიქოძე: „როდესაც მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად 1933 წელს შედგა გამოჩენილ მეცნიერთა და ლიტერატორთა კოლექტივი ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად, რედაქტორად პეტრე ქავთარაძე დაინიშნა. მან გაუკეთა რედაქცია მთელს ლექსიკურ მასალას და მანვე იკისრა ფრაზეოლოგიის და მაგალითების დამატება. ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს პროფ. გ. ჩუბინიშვილის ცნობილი ლექსიკონის შემდეგ, გამოვიდა თბილისის გამომცემლობაში 1937 წელს. ესაა შესანიშნავი ძეგლი, რომლის აგებაში განსვენებულ პეტრე ქავთარაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის და რომელსაც გვერდს ვერ აუნხვევს ქართული ლექსიკოგრაფიის შემდგომი განვითარება“.⁶

პ. ქავთარაძე არის აგრეთვე ერთ-ერთი დამაარსებელი ვაზეთ „ალიონისა“, რომელიც 1917-1918 წლებში გამოდიოდა და რომლის გარშემო შემოიკრიბა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილი—ალ. აბაშელი, დ. თურდოსპირელი, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლ. ქიჩელი, გ. ქუჩიშვილი, შ. შარაშიძე (თაგუნა), ნ. ჩხიკვაძე, პ. საყვარელიძე, ივ. გომართელი, პ. ინგოროყვა და სხვები. პ. ქავთარაძე „ალიონში“ სისტემატურად ბეჭდვდა ერთეულ მეცნიერულად დასაბუთებულ წერილებს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე. ასეთებია სტატიები: „რუსეთი და მცირე ერები“,⁷ „ორი გზა სოციალიზმისაკენ“,⁸ „განთავისუფლებული ფინეთი“ და სხვ.

პუბლიცისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მოღვაწეობდნენ ადვოკატები დავით ონიაშვილი, სამსონ დადიანი, კონსტანტინე (კოკი) აბაშიძე, დავით კვიციელია, მიხეილ ღვამიჩავა და სხვები.

დავით ონიაშვილმა 1917 წელს ვაზეთებში „ჩვენი ცხოვრება“ და „გრიგალი“ გამოაქვეყნა წერილების სერია — „კაპიტალიზმი და მეურნეობა“, სადაც მარქსისტული თვალსაზრისით განიხილავს აგრარულ საკითხს, კერძოდ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის შეტრას. ადრე კი 1913 წელს გორში გამოიცა მისი შრომა

4 უთრნ. „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ., № 2, გვ. 20.
 5 იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1963 წ., გვ. 325-326.
 6 პ. ქავთარაძე. თარგმანები (ბერძენი და რომაელი ავტორები), 1962 წ., გვ. 7.
 7 ვაზეთი „ალიონი“, 1917 წ., № 1-2. 8 ვაზ. „ალიონი“, № 20, № 22. 9. ვაზ. „ალიონი“.
 № 26.

„ბაირონიში და მსოფლიოს მწუხარება“. ეს არის ბირველი ნაშრომი ქართულ ენაზე, სადაც დიდი ინგლისელი პოეტის ცხოვრება და შემოქმედებაა განხილული. შრომაში განხილულია პოეტის ყრმობის ლექსები, პოემები და სიკვდილის წინ დაწერილი ლექსები. დ. ონიაშვილი დაწვრილებით განიხილავს იმ გარემოს, რომელმაც განსაზღვრა ბაირონის შემოქმედების მებრძოლი ხასიათი. აღსანიშნავია, რომ შრომაში ციტირებული ბაირონის გამონათქვამი სხვადასხვა პოემებიდან და ლექსებიდან თითოევე უთარგმნია ინგლისურად.

ადვოკატმა კონსტანტინე (კოკი) აბაშიძემ 1931 წელს გამოსცა მთავრობის დადგენილებათა კრებული შრომის დისციპლინის საკითხებზე, 1935 წელს კი «Сборник важнейших постановлений по труду». ამას გარდა მან მრავალი საინტერესო ნაშრომი შესძინა ლიტერატურულ კრიტიკას.

კ. აბაშიძე ქართული და რუსული ლიტერატურის საკითხებზე ადრევე ბეჭდავდა წერილებს უურნალ-გაზეთებში — „სახალხო განათ-

ვამოვიდა პოეტ გრ. აბაშიძის (რომელიც 1908 წელს გარდაიცვალა პეტერბურგში) ლექსებისა და ნ. აზიანის პიესათა კრებული. რუსულ პრესაში დაიბეჭდა წერილები ნ. ბარათაშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე, ს. შანშიაშვილზე, ი. გრიშაშვილზე. კ. აბაშიძე იყო ბირველი, რომელმაც უურნალ „ქართულ მწერლობაში“ კრიტიკულად განიხილა შ. დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ და საქართველოს ისტორიის წყაროებზე დაყრდნობით ავტორს მრავალი საყურადღებო შენიშვნა მისცა. ლიტერატურული კრიტიკის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის კონსტანტინე (კოკი) აბაშიძე 1921 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს და მრავალი წლის მანძილზე პრეზიდიუმის წევრიც იყო.

კ. აბაშიძე ხშირად გამოდიოდა საჯარო ლექციებში ფართო აუდიტორიის წინაშე ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის საკითხებზე. მის პირად არქივში ვხვდებით აფიშა 1914 წელს თბილისის „ახალ კლუბში“ წაკითხული ლექციისა თემაზე — „არჩილ ჭორჩაძე როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელი“. აფიშაში



ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. აბაშიძე

„ლება“, „კოლხიდა“, „გრდემლი“, „ფასკუჩი“, „ლეილა“, „ლომისი“, „ქართული მწერლობა და „მნათობი“. ცალკე მონოგრაფიები გამოსცა გოორგი ზდანოვიჩზე, გიორგი ლასხიშვილზე, ლადო მესხიშვილზე, მიხეილ ჭავჭავაძეზე, იაკობ ნიკოლაძეზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, იროდიონ ევლოშვილზე. მისი რედაქტორობით

დაბეჭდილი თეზისებით ჩანს მოხსენების ფართო გეგმა, მომხსენებელს უნდა გაერკვია ადამიანის სიცოცხლის მიზანი ლ. ტოლსტოის და ემ. კანტის სოციალური და ფილოსოფიური პეისიზმის თვალსაზრისით და მატერიალიზმის შეხედულება ამ პრობლემაზე. ყველაფერი ეს ამჟღავნებს კ. აბაშიძის დიდ ფილოსოფიურ განათ-



ლებას, ღრმა ერუდიციასა და აზროვნების ფართო დაბაზონს.

პუბლიცისტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში მოღვაწეობით ქართველ ადვოკატთა შორის საპატიო ადგილი უკავია სამსონ პლატონის ძე დადიანს, რომელიც 1914 წლიდან ადვოკატურაში მოღვაწეობდა. ს. დადიანი სტუდენტობის წლებშივე აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ და რუსულ პრესაში. 1904 წელს გაზეთ „ივერია“-ში (№ 23) დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია ა. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამა „ლალატზე“. ახალგაზრდა პატრიოტი სიხარულით შეხვდა მრავალტანჯულ სამშობლოს ისტორიის თემაზე შექმნილ დრამას, რომელიც პირველად 1903 წელს მოსკოვის მცირე თეატრმა წარმოადგინა დიდი მსახიობების მ. ერმოლოვას, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის, ა. ლენსკის მონაწილეობით. 1910 წელს „სახალხო გაზეთში“ ქვეყნდება მისი „მცირე შენიშვნა“, რომელიც პროფ. ნ. მარის იმ ხანათ გამოქვეყნებული შრომის Вступления из заключительной строфы, выязя в барсовой коже Шота из Рустави-ს საპასუხოდაა დაწერილი. როგორც ცნობილია, პროფ. ნ. მარი ამ შრომაში ცდილობდა დაემტკიცებია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თითქოს სპარსულიდან იყოს ნათარგმნი. სტუდენტმა ს. დადიანმა პროფ. ნ. მარის ყალბ დებულებებს მეცნიერული არგუმენტაციით დასაბუთებული პასუხი გასცა.

ს. დადიანმა თავი ისახელა 1913 წელს პეტერბურგში ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოთქმული სიტყვით, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა.

ს. დადიანი ნაფიც ვეჟილთა კორპორაციაში შესვლის შემდეგ უფრო მეტი ინტენსიურობით მუშაობს ქართული მხატვრული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საკითხებზე. 1913-1924 წელს „სახალხო გაზეთში“ ბეჭდავს წერილების სერიას „საზოგადოებრივი აზრები XIX საუკუნის ქართულ სიტყვა-კავშირულ მწერლობაში“¹⁰ და ვრცლად იხილავს სამოქალაქო მოტივებს ქართულ პოეზიასა და პროზაში დაწეხული აღ. ჭავჭავაძიდან ეგ. ნინოშვილის შემოქმედებამდე. მასვე ეკუთვნის წერილები აკ. წერეთელზე — „საზოგადოებრივი აზრები აკაკის პოეზიაში“¹¹, „აკაკი ცისა და მიწის შვილი“¹² და რუსულ გაზეთ „საკავკასიაში“ დაბეჭდილი წერილები. «Социальные идеи в поэтических произведениях кн. Ильи Чавчавалдзе».

ქართველი ადვოკატები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ თეატრალური ხელოვნებისადმი, ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა როგორც



სამსონ დადიანი

თეატრის თეორიისა და ისტორიის საუკეთესო მცოდნე, დრამატურგმა და შემსრულებელმა კი.

თეატრის თეორიისა და ისტორიის დარგში მოღვაწეობდნენ ლ. ანდრონიკაშვილი, ს. დადიანი, გრ. რცხილაძე, ს. ამაღლობელი, ა. ბურთიკაშვილი, დრამატურგაში — ია ეკალაძე, სამსონ და შოთა დადიანები, გერცელ ბააზოვი, ნიკოლოზ (ნიკუშა) წერეთელი, საშემსრულებლო ხელოვნებაში — ოსიკო ბარათაშვილი, სანდრო ყანჩელი, მიხეილ ღვამიჩავა და სხვები.

სამსონ დადიანმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1904 წელს „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ისტორიული დრამა „ლალატის“ შესახებ, 1911 წელს კი „სახალხო გაზეთში“ (№ 337) იბეჭდება მისი ვრცელი წერილი „ქართული თეატრის გაუმჯობესებისათვის“. ს. დადიანი, როგორც რევოლუციამდე, ისე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, სისტემატურად ბეჭდავს რეცენზიებს ქართული თეატ-

10 „სახალხო გაზეთი“, № 945, № 947, № 949.

11 „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 203.

12 „სახალხო გაზეთი“, 1915 წ., № 205.



რის სპექტაკლებზე, წერილებს თეატრის მოღვაწეებზე, 1925-1933 წლებში კი მან შექმნა კაპიტალური შრომა „ქართული თეატრი“ (ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა). დაბეჭდვისათვის ნებართვაც მიუღია, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო არ დაბეჭდილა. ეს შრომა ამჟამად შეისყიდა საქართველოს თეატრალურმა მუზეუმმა. ს. დადიანის შრომა „ქართული თეატრი“ დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, ავტორი ამუღავნებს საერთოდ თეატრისა და კერძოდ ქართული თეატრის საუკეთესო ცოდნას. ქართული თეატრის ისტორიას უგი იწყებს გ. ერისთავის თეატრის ანალოგიით, არკვევს იმ სოციალურ გარემოს, რაც საფუძვლად დაედო ქართული კომედიისა და დრამის შექმნას და მთელი ჩვენი თეატრის განვითარების ისტორიას 1924 წლამდე. შრომა მთავრდება კ. მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის სახელობის თეატრში 1922-1924 წლებში დადგმული სპექტაკლებით. 1929 წელს ავტორს „ქართული თეატრის ისტორია“ გაუგრძელებია დიუბრების სახით და 1929-1933 წლების ბევრი საყურადღებო მოვლენა აუწერია და კრიტიკულად გაუანალიზებია. ს. დადიანი პიესებსაც წერდა. ასეთებია — 1905 წლის რევოლუციის თემაზე შექმნილი დრამა „გვარდინ გზაზე“ და ხუმროქმედებიანი ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“, ფრანგულიდან უთარგმნია მეტენის „სამრეკლოზე“ და სხვ.

ქართული თეატრმცოდნეობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით სერგო ამაღლობელსა და ალექსანდრე (საშა) ბურთიაშვილს, რომელნიც ადვოკატურაში მუშაობის პარალელურად თეატრმცოდნეობაშიც მოღვაწეობდნენ და დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დასტოვეს.

სერგო ამაღლობელი თავისი ნაშრომებით ლიტერატურის, თეატრისა და კინოს საკითხებზე მეტად პოპულარული პიროვნება იყო ოციან წლებში. ოცდაათიანი წლების დასაწყისში მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ და მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობები ეკავა (კომუნისტური აკადემიის ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის გამგე, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დრამსექციის ხელმძღვანელი, მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი და სახმატკრო ნაწილის გამგე).

ს. ამაღლობელმა თბილისში მოღვაწეობის წლებში, მრავალი წერილების გარდა, 1928 წელს გამოსცა საინტერესო შრომა „თეატრისა და კინოს პრობლემები“. ეს იყო დიდი შენაძენი ქართული თეატრმცოდნეობისათვის. ამ შრომამ ჩვენში საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების სრულიად ახალ დარგს—კინომცოდნეობას. იმ

წლებში კინოსელოვნება არსებობის მხოლოდ სამ ათეულ წელს ითვლიდა. არამც თუ ჩვენში, რუსეთშიაც კი, მისი თეორიულ-მხატვრული პრობლემები დამუშავებული არ იყო. ს. ამაღლობელი შრომაში ამუღავნებს კინოს ისტორიის და თეორიული პრობლემების საუკეთესო ცოდნას.

ს. ამაღლობელმა მოსკოვში გადასვლის შემდეგ (1930 წ.) თავი დაანება იურიდიულ მოღვაწეობას და მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ხელოვნების საქმეს შესწირა. 1934 წელს მან ა. ნ. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობით მოსკოვში გამოსცა ნაშრომი «Грузинский театр», იმავე წელს მეთაურობდა საბჭოთა თეატრის მოღვაწეთა დელეგაციას იტალიის საშეგო აკადემიის ინიციატივით რომში ჩატარებულ თეატრალურ კონგრესზე, დაწერა მეტად პოპულარული და საბჭოთა დრამატურგისათვის სრულიად ახალი უნარის — დადებითი პერსონაჟების კომედია «Хорошая жизнь», რომელსაც საფრანგეთის დიდი მწერალი რომენ როლანიც კი გამოეხმებოდა და სხვ.

საშა ბურთიაშვილმა იურიდიული განათლება მოსკოვში მიიღო რევოლუციამდე. იქ ახლო გაეცნო სახელგანთქმულ თეატრებს, გაეცნო ისეთი დიდი არტიტების შემოქმედებას, როგორც იყენენ ა. სუბოტაშვილი-იუჟინი, მ. ერმოლოვა, მ. ჩხოვცი, ვ. კაჩალოვი და მრავალი სხვ. ამ გარემოებამ ახალგაზრდა იურისტში თეატრისადმი ინტერესი გააღრმავა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე მშობლიურ საგარეჯოში სცენისმოყვარეობა დაიწყო. საშა ბურთიაშვილი შემდეგში ერთ-ერთი თვალსაჩინო თეატრმცოდნე გახდა. მის კალამს მრავალი ნარკვევი ეკუთვნის. ა. ბურთიაშვილმა შექმნა საინტერესო პორტრეტები (ვალერიან გუნია, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი, სანდრო ახმეტელი, სანდრო ინაშვილი და სხვ.), შ. დადიანთან ერთად დაწერა მონოგრაფია „ლალო კეცხოველი“. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მემუარული ხასიათის წიგნი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ (1968). საშა ბურთიაშვილი ახლოს იცნობდა და მეგობრობდა ბევრ დიდ ქართველ მოღვაწეს. უშუალო მონაწილე იყო ბევრი მოვლენისა და ამისათვის ყველა მისი ნარკვევი ქართულ თეატრზე საქმის დიდი ცოდნითა დაწერილი.

1922 წელს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო ქართული თეატრის რეფორმა, რაც მთელი ქართველი ხალხისათვის სასიხარულო მოვლენა იყო. ქართველი პატრიოტული ინტელიგენცია გვერდში ამოუდგა განახლებულ ქართულ თეატრს. მათ რიცხვში მრავალი ქართველი იურისტთა-ადვოკატიც იყო, რომლებიც პრესაში წერილის გამოქვეყნებით, საჯარო



გამოსვლით თუ კონსულტაციით ყოველმხრივ ეხმარებოდნენ თეატრის ხელმძღვანელებს. განსაკუთრებული ადგილი ამ მხრივ უჭირავს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, რომელიც 1922 წლიდან ქართული თეატრის დიდი მეგობარი გახდა და ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა როგორც კ. მარჯანიშვილთან, ასევე ს. ახმეტელთან.

1922-1935 წ. წ. ლ. ანდრონიკაშვილი ხალიხით ესწრებოდა რეპეტიციებს, საუბარს ატარებდა დასთან, გამოდიოდა სიტყვით საჯარო დისპუტებში, მაგრამ სამწუხაროდ, დაუდევრობის შედეგად, ამ დიდი ადამიანის სიტყვები თუ მოხსენებები სტენოგრაფიული წესით არ ჩაწერილა. შემოგვრჩა მოგონებანი ზოგიერთი თეატრალური მოღვაწისა. ისინი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ ლ. ანდრონიკაშვილის დახმარებას, მაგრამ ეს ძალიან მცირეა იმ ამაგთან შედარებით, რაც მან ქართული თეატრის განვითარებას დასდო. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე ვაღმოვცემს, რომ 1923 წელს მწერალთა სახლში თეატრალურ საკითხებზე. გამართულ დისპუტზე ლ. ანდრონიკაშვილი გამოსულა და შემდეგნაირად ჩამოუყალიბებია თავისი აზრი: „თეატრმა, მისი აზრით, ჩვენს რევოლუციურ და ბოზოქარ ეპოქაში, უნდა გადალახოს „სასცენო კოლოფი“ და თეატრალური შენობის კედლები, გადავიდეს დიაცის ქვეშ და მასობრივ სახალხო სანახაობად გადაიქცეს. ლ. ანდრონიკაშვილი მოითხოვდა თეატრის „ელინიზაციას“, ე. ი. ძველი ელინური თეატრის იმგვარად აღდგენას, როგორც ეს შესაძლებელია ჩვენს ეპოქაში, მით უფრო, რომ ქართველი ერის სახალხო თეატრალური სანახაობანიც ისტორიულ ნიადაგს უქმნიან ჩვენს თეატრის ახეთ განვითარებას“-ო.¹³ იმავე დ. ანთაძის ვაღმოვცემით, 1924 წელს, როდესაც რუსთაველის სახელობის თეატრში კორპორაცია „დურუჭი“ ჩამოყალიბდა, ლ. ანდრონიკაშვილი მიუწვევიათ ლექციების წასაკითხად სასცენო ხელოვნებაზე. დ. ანთაძე წერს: „სასცენო ხელოვნების ბუნებაზე მეტად საინტერესო დეჟცია წაიკითხა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო და გაცხოველებული კამათიც გაიმართა“.¹⁴

1925 წელს კ. მარჯანიშვილმა დადგა უ. შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. სპექტაკლის მზადების პერიოდში ლ. ანდრონიკაშვილმა რამდენიმე ლექცია წაუკითხა მონაწილეებს შექსპირის მსოფლმხედველობაზე, ეპოქაზე, სასცენო პერსონაჟების ხასიათებზე და სხვ.

ლ. ანდრონიკაშვილის მრავალრიცხოვან სიტყვებიდან და ლექციებიდან თეატრალურ საკითხებზე დარჩენილია მხოლოდ ერთადერთი სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს რუსთაველის სახელობის თეატრის საიუბილეო საღამოზე 1934 წელს. როგორც ჩანს, ლ. ანდრონიკაშვილს სიტყვა მოკლედ დაუწერია და იგი მისმა ვაჟიშვილმა მწერალმა და მეცნიერმა ირაკლი ანდრონიკაშვილმა 1967 წელს უწინაღ „მნათობში“ გამოაქვეყნა.¹⁵

ქართული თეატრმცოდნეობისათვის ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვა წარმოადგენს შეუდარებელ დოკუმენტს. სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ სანდრო ახმეტელის რეჟისორული შემოქმედების შესწავლისათვის უკეთესი მასალა ჯერჯერობით არ გავაჩნია. ასე ღრმად ვერავინ ჩაწვდა ახმეტელის მეთოდს და ვერ ახსნა მისი თავისებურება.

ლ. ანდრონიკაშვილი ჩერდება იმ სიახლეებზე, რაც ს. ახმეტელმა ქართულ თეატრში შეიტანა. მას მიაჩნია, რომ სიახლე მდგომარეობს არა მარტო მსახიობის თამაშში, არამედ მთელი სპექტაკლის ეროვნული რითმისა და ბლასტიკურობის დადგენაში. „ერთიან საწყისს ემორჩილება როგორც ცალკეული გმირი, ისევე აქტიორთა მასა და სცენის საგნობრივი სამყარო“ აცხადებს იგი და მას „რითმიული პროცესის უნივერსალისაციას“ უწოდებს. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვას დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.


საყურადღებოა აგრეთვე ადვოკატ გრ. რცხილაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1909 წლის 13 დეკემბერს „სახალხო სახლში“ გამოჩენილი რუსი მსახიობის ვერა კომისარჟევსკიას ვასტროლდების გამო. ამ საღამოს „სახალხო სახლში“ ვერა კომისარჟევსკიას უკანასკნელი სპექტაკლი (ა. ოსტროვსკის „ველური ქალი“) შემდგარა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მსახიობის შემოქმედების შესახებ სიტყვით გამოსულა გრ. რცხილაძე, რომელსაც ხაზი ვაუსვამს ვ. კომისარჟევსკიას მოღვაწეობის დემოკრატიულ ხასიათისათვის.

ქართველ ადვოკატთა შორის იყვნენ ისეთიც, რომლებიც სცენაზე მოღვაწეობდნენ. სანდრო ყანჩელი ერთ დროს თბილისის ქართული დასის რეჟისორი იყო. საშა ბურთიაშვილი მსახიობი და რეჟისორი, მიხეილ ღვამიჩავას სასამოვნო ლირიკული ბარიტონი ჰქონდა და „სახალხო სახლში“ მუსიკალურ კომედიებში მღეროდა. იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილმა კი მთელი თბილისი ალაპარაკა 1928 წლის 1 თებერვალს

13 დ. ანთაძე, „დღენი ახლო წარსულისა“, 1962 წ., გვ. 155.
 14 იქვე, გვ. 223.
 15 „მნათობი“, 1967 წ., № 5.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე იტალიელი კომპოზიტორის ლეონკვალოს ოპერა „ჩამბაზებში“ მთავარი პარტიის კანოს ბრწყინვალე შესრულებით.

დამუშავებისათვის მას არასოდეს უშურველია ამ საქმეს მან ხელი მოჰკიდა მხოლოდ 1926 წლის მეგობრების დაუნიებული თხოვნით. მისი ოპერის თეატრში მიწვევის ინიციატივა ეკუთვნის



საქართველოს სასცენო მოღვაწეთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმი. შუაში ყრილობის საპატიო თავმჯდომარე აკაკი, მის მარჯვნივ თავმჯდომარე გ. ლასხიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგები მარჯვნივ კ. აბაშიძე, ალ. კრინიცი. მარცხნივ: ვ. ალექსი-მესხიშვილი და ი. ბარათაშვილი, მდივნები მარჯვნივ: ი. რომანიშვილი და კ. ანდრონიკაშვილი. მარცხნივ: შ. დადიანი, ჭანტურიშვილი, ი. იმედაშვილი და პ. ირეთელი

ოსიკო ბარათაშვილი სახელგანთქმული ადვოკატი, წარსულში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ვიბორგის ცნობილი პროცესის გმირი, მეფის ჭალათის გენერალ გრიგოლის მკვლელის, რევოლუციონერ არსენა ჯორჯიაშვილის დამცველი, ამავე დროს დიდი თეატრალური მოღვაწეც იყო. მისი თეატრალური მოღვაწეობის დახასიათებისათვის საკმარისია დაეხსენებოდნენ ერთი ფაქტი. ოსიკო ბარათაშვილი წლებს მანძილზე საქართველოს სასცენო მოღვაწეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო. 1913 წელს კი, როდესაც საქართველოს სასცენო მოღვაწეთა პირველი ყრილობა ჩატარდა, ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აკაკი წერეთელი აირჩიეს, თავმჯდომარედ — გიორგი ლასხიშვილი, მოადგილეებად კი — კიტა აბაშიძე, ლადო მესხიშვილი და ოსიკო ბარათაშვილი.

ოსიკო ბარათაშვილი ბუნებისაგან დაჯილდოებული იყო საუკეთესო ლირიკო-დრამატული ხმით და სცენიური მონაცემებით, მაგრამ ხმის

ნის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის იმდროინდელ დირექტორს, უაღრესად კულტურულ და განათლებულ ადამიანს, ცნობილი ქართველი ექიმის სიმონ ჭაფარიძის შვილს, პოეტსა და მწერალს ლელი ჭაფარიძეს. ოსიკო ბარათაშვილი ადრე სხვადასხვა ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდებში მონაწილეობდა. მაგალითად, იგი პოეტ კოტე მაყაშვილთან ერთად მღეროდა და თარზე უკრავდა მედიტონ ბალანჩივაძის გუნდში. „ჩამბაზებში“ იმ დღეს ივ. ფალიაშვილი დირიჟორობდა. სხვა პარტიებს თბილისში სავსატროლოდ მოწვეული მსახობები ასრულებდნენ (ნედა — მაკაროვა, სილვია — გამბაროვი), ხოლო ბოროტი ტონოს როლში იტალიიდან ასლად დაბრუნებული ვ. ქაშაკაშვილი გამოვიდა. ოსიკო ბარათაშვილის გამოსვლა ოპერის სცენაზე სენსაციურ მოვლენად გადაიქცა. თეატრში ტევა არ იყო. დეპუტატმა ბრწყინვალედ ჩაიარა, ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, თბილისის მაღალგემოვნებიანი მაყურებელი, რომელსაც კანოს როლში ბევრი სახელგანთქმული არტისტი ენახა, კმაყოფილი დარჩა. სა-

ქართველთა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წარგზავნილმა ადვოკატ-არტისტ გულთბილი ადრესი და ოქროს მონოგრამებით მორთული თასი მიართვეს.

ქართველთა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ, გაზეთმა „კომუნისტმა“ მაღალი შეფასება მისცა ო. ბარათაშვილის დებიუტსაი, რას წერდა ცნობილი კომპოზიტორი და მუსიკალური კრიტიკოსი კ. მეღვინეთ-უხუცესი:



ქართული ეთნოგრაფიული გუნდი მ. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით
თარით ხელში ო. ბარათაშვილი.

მიუხედავად ამისა, საქართველოს „პროლეტარული მწერლობის“ ზოგიერთი კრიტიკოსი პრესაში თავს დაესხა როგორც ო. ბარათაშვილს, ისე თეატრის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებასაც კი. ცნობილ „რაპპელტს“, რომლებსაც თავი მოჰქონდათ პროლეტარული კულტურის მესვეურებად, კურიოზად მიაჩნდათ ადვოკატის საოპერო სცენაზე გამოხვევა. ადვოკატურას ისინი ბურჟუაზიული წყობილების გადმონაშთად თვლიდნენ. მათ ავიწყდებოდათ, რომ ლეონიდ სობინოვი, რომელიც თ. შალიაპინისა და ა. ნეუდნოვასთან ერთად რუსული ვოკალური ხელოვნების სიამაყეთაა აღიარებული, სასცენო მოღვაწეობის პირველ პერიოდში ორ პროფესიას ემსახურებოდა, ადვოკატობდა და ოპერის თეატრშიც მღეროდა. „რაპპელტებმა“ საოპერო თეატრის დირექციას ბრალი დასდეს იმაში, რომ „ნაციონალისტური ინტელიგენციის ტყვეობაში“ მოექცა. პრემიერაზე დამსწრე საზოგადოებას მათ „ინტელიგენტური მე-შჩანები“ უწოდეს.

მაგრამ, მიუხედავად ამ გამოხატობებისა, სა-

სიკალური კრიტიკოსი კ. მეღვინეთ-უხუცესი: „ა. წ. 1 თებერვალს ჩვენი აკადემიური ოპერის დარბაზი არაჩვეულებრივად გაივსო ხალხით, ბევრ მსურველთათვის ადგილი აღარ აღმოჩნდა. ამისი მიზეზი ცხადია: ყველას აინტერესებდა სადებიუტო გამოხვევა ცნობილი კრიმინალისტის, დამცველთა კოლეგიის წევრის ოსიკო ბარათაშვილისა ოპერა „ჯამბაზეში“, კანონის პასუხისმგებელ როლში. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დებიუტანტმა ხელი მიჰყო სიმღერის შესწავლას არა ახალგაზრდობიდან, არამედ მხოლოდ ამ ორი წლის წინათ და არა ვიწრო პროფესიონალური მიზნების გამო, არამედ როგორც მუსიკალური კულტურის მოყვარულმა. ამ მხრით მისი გამოხვევა არის ფრიად საინტერესო გამოკვლევებისათვის, თუ რა შედეგი მოაქვს ადამიანის საერთო კულტურულ განვითარებას შეკავშირებულს სერიოზულ და უდრეკ მისწრაფებასთან ხელოვნებისადმი. ის, რაც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ გულახდილად ვაღიარებთ, რომ იყო ჩვენთვის მოულოდნელი. უპირველესად აღვნიშნავთ ო. ბარათაშვილის

ბუნებრივად დიდ მუსიკალობას, რითმის შემგრძნებას და კილოს იშვიათ სისუფთავებს. მიუხედავად იმისა, რომ მომდერაღს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ერთადერთი ჟრთიერთობა ორკესტრთან — ერთად ორი რეპეტიცია წარმოადგენის წინ, მას არ შემჩნევია არც რითმიული, არც ბგერათა უსწორობის მხრივ ორკესტრთან რაიმე შეუსაბამობა. როლის ვოკალური მხარე ბარათაშვილს საუცხოოდ აქვს შესწავლილი. ამ მხრივ დებიუტანტი ჩაითვლება სასურველ ნიმუშად ბევრ ჩვენ პროფესიონალურ ოპერის მსახიობისათვის, მაგრამ უფრო საყურადღებო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს დებიუტანტის მიერ თავისი როლის სცენური დეტალების შესწავლა, ფსიქოლოგიური გამოკვლევა, ნამდვილი და არა მარტო სცენიური განცდა, ამის შედეგად მოცემული თავისი რეალობით საუცხოო ხმის ინტონაცია. ერთადერთი ნაკლი ბარათაშვილისა წარმოადგება იმ გარემოებიდან, რომ ხმის ვარჯიშობა მან დაიწყო მეტად გვიან, დაიწყო მაშინ, როდესაც ხმა არის უკვე დამჭლარი და მისი ტექნიკურად ამოძრავება ბევრ შემთხვევაში უკვე შეუძლებელია, და თუ შესაძლებელია — ფრიალ ქნელდება ხმის უმაღლესი ფარდების მოქნილობა. ამ შემთხვევაშიც დებიუტანტის ენერგიამ საოცრად დასძლია თვით ბუნება — მისი ხმა მოძრაობს თავისუფლად, თავისუფლად ადის უმაღლეს ფარდობამდის, მაგრამ ამ მაღალ ფარდებში მომდერაღს უფრო ენერჯება მძლავრი, სანამ ნელი შელოდიური ბგერანი, და არ გვინახავს მის მიერ ფარდებში მძლავრ ბგერათა დაწყნარება ანდა წყნარ ბგერათა თანდათანობით გაძლიერება

(ფილირობა), რომელიც არის ხმის თავისუფალი მოხმარების და მის ტექნიკურ განვითარების მაჩვენებელი ზემო ფარდებში. თუ ბარათაშვილი განაგრძობს ვარჯიშს — ამ ამოცანის მიღწევაც არ გაუძნელდება მას. ყველა ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ი. ბარათაშვილი, არის უსაზღვრო, მხატვრული პოტენციალობის პატრონი, და რომ ამ პოტენციალობას გზა მისცემოდა დებიუტანტის ახალგაზრდობაში — მას ამჟამად ექნებოდა საპატიო ადგილი პირველ ხარისხოვან მომდერაღთა წრეში. მეორე დასკვნა: სრული გამარჯვება ხელოვნების დარგში შეუძლებელია, თუ რომ ბუნებრივ ნიჭს არ დასდევს საერთო კულტურული განვითარება. ის დიდი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ბარათაშვილის შემოქმედება, მისი კულტურისობის ნაყოფიცაა“.

დამსწრეთა გადმოცემით, სპექტაკლის შემდეგ სასტუმრო „ორიანტის“ რესტორანში (ახლანდელი „ინტურისტის“) დიდი ბანკეტი გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. აქ იყვნენ ადვოკატები, სპექტაკლის მონაწილე მსახიობები, საოპერო თეატრის ხელმძღვანელები, ცნობილი მწერლები, არტისტები და სხვ. მრავალი გულწრფელი და სიყვარულით აღსავსე სიტყვა ითქვა ი. ბარათაშვილის მიმართ.

ასეთია არასრული სურათი ქართველი ადვოკატების მოღვაწეობისა მეცნიერების, პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნების დარგში.

ქართველი ადვოკატები სახელოვან წინაპართა საქმიანობას დღესაც განაგრძობენ.

1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად გაუქმდა „ეროვნის უკაცობა“

ი. ტყეშელაშვილი

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთში ვსა გაეხსნა კაპიტალისტურ ურთიერთობას. ბატონყმური სასამართლო ვედარ აკმაყოფილებდა ბურჟუაზიული კლასის მოთხოვნებს. ეს მწვავედ იგრძნობოდა საზოგადოების მმართველ წრეებშიც. თვით საზოგადოებრივმა ცხოვრების განვითარებამ დააყენა გადაუდებელი ამოცანა ახალი სასამართლო სისტემის შექმნისა, რომელიც დაიცავდა აღმავალი კლასის ინტერესებს და ხელს შეუწყობდა რუსეთში კაპიტალიზმის აღმავლობას.

სასამართლო რეფორმის აუცილებლობას საზოგადოების პროგრესული ძალებიც გრძნობდნენ. მათი აზრით, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, კანონის წინაშე სხვადასხვა წოდებათა „გათანასწორების“ შემდეგ, აუცილებელი იყო სასამართლო რეფორმა, „რადგანაც კანონის წინაშე შეთანასწორებულთ ეჭირებოდით ერთგვარი სამართლიანი და ქვეყნობის დამცველი სასამართლო“¹.

დაისვა საკითხი სასამართლო წყობის მთლიანი შეცვლის შესახებ. მეფე ალექსანდრე II-მ 1864 წლის 20 ნოემბერს დაამტკიცა ახალი სასამართლო წესდება, რომელმაც ძირეულად შეცვალა ძველი სასამართლო სისტემა. ამ წესდებამ საფუძვლად ედო დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების სასამართლო წყობილების პრინციპები. იგი გამოხატავდა იმდროინდელი ექსპლუატატორების ინტერესებს და მიმართული იყო მშრომელთა წინააღმდეგ.

რეფორმით ძველი წოდებრივი სასამართლოების მაგივრად შემოღებულ იქნა საერთო სასამართლო დაწესებულებები ყველა წოდების პირთათვის. მაგრამ დევოჯი — „კანონის წინაშე ყველა თანასწორია“ ფიქში იყო. სინამდვილეში კვლავ ძალაში რჩებოდა მოსამართლეთა კლასობრივი პრინციპით შერჩევა, გაბატონებული კლასებისადმი მიკერძოება, მშრომელთა აბურჯად ავდება. რეფორმის შემდეგაც სასამართლო კლასობრივ აპარატს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ მარქსიზმის კლასიკოსებმა 1864 წლის სასამართლო რეფორმა და საერთო ბატონყმობის გაუქმებისა და მისი შემდეგდროინდელი რეფორმები შეაფასეს, როგორც ხალხის მოტყუება. როგორც ვ. ი.

ლენინი მიგვითითებს, „საერთოდ 60-იანი წლების მთელმა „რეფორმათა ეპოქამ“ გლეხი გალატაკებული, დაბეჩავებული, უმეცარი, მემამულე-მებატონეებისადმი დამორჩილებული დატოვა სასამართლოშიც, მართვა-გამგეობაშიც, სკოლაშიც, ერობაშიც“².

წესდებით სასამართლოს აღმინისტრაციისაგან დამოუკიდებლობა მიენიჭა, მაგრამ ფაქტიურად იგი დამოკიდებული იყო მეფის ხელისუფლების ბიუროკრატიულ აპარატზე.

დაწესდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. იგი ირჩეოდა მოსახლეობიდან 12 კაცის შემადგენლობით. იმისათვის, რომ პირი ნაფიც მსაჯულად აერჩიათ, მას უნდა ჰქონოდა გარკვეული ქონებრივი ცენზი. ამრიგად, თითქმის მთელი მშრომელი მოსახლეობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის გარეშე იყო დარჩენილი. მიუხედავად ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძველ ჩინოვნიკურ და წოდებრივ სასამართლოებთან შედარებით უდავოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

შემოღებულ იქნა აგრეთვე სამართალწარმოების საჯაროობა და მხარეების მონაწილეობა პროცესში.

საქართველოში სასამართლო რეფორმა ძალაში შევიდა 1868 წლის 1 იანვრიდან. ჩვენში იგი რუსეთისაგან განსხვავებულად გატარდა. კოლონიებში ცარიზმის მთავარი საზრუნავი იყო ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. მეფის რუსეთს თავისი ყველა კოლონია, მათ შორის საქართველოც, მიაჩნდა უკულტურო და ველური ხალხებით დასახლებულ განაპირა მხარედ. ამიტომ აქ სასამართლო სისტემას ცარიზმი სხვაგვარად აწყობდა. „რაც საუკეთესო მხარე ჰქონდა ამ რეფორმას, იმისი ღირსი არ გაგვხადეს ჩვენ. ჩვენში არ არის ნაფიცი მსაჯულები, არ არის მომრიგებელ მოსამართლეების ამორჩევი დანიშვნა ისე, როგორც რუსეთში არის“³. — წერდა გულნატკენი „დროება“. „დროებას“ გარშემო შემოკრებილი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია დაუდალავად იბრძოდა იმისათვის, რომ ყველაფერი საუკეთესო და პროგრესული, რაც გააჩნდა მაშინდელ რუსეთს, გადმოეტანათ საქართველოშიც. ჩვენში რეფორმის შეცვლილად შემოღებას „დროება“⁴

1. „დროება“, 1884 წ. № 52.

2. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტომი 17, გვ. 126-127.

3. „დროება“, 1862 წ. № 63.

უყურებდა როგორც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც „დროება“ შენიშნავს, საქართველოში არ იყო შემოღებული. აქ საქმეებს იხილავდნენ მუდმივი დანიშნებითი მოსამართლეები ნაფიცთა მონაწილეობის გარეშე. 1868 წლის მეორე ნომერში „დროება“ გამოაქვეყნა „უქაზი უმართებულის სენატისადმი“, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოში „ჩვენს მიერ (კავკასიის მეფისნაცვლის მიერ — ი. ტ.) დამტკიცებულის შტატისამებრ სამსჯავრო პალატა და იმის ხელქვეითი მაზრის სამსჯავროები დაარსდებიან, ხოლო საპროკურორო მოხელენი, აგრეთვე მომრიგებელი მოსამართლე, იმათი თანაშემწენი და სხვა მოხელენი დამტკიცდებიან“.

„დროების“ აზრით, ეს გარემოებები ამცირებდნენ რეფორმის დადებით მხარეებს: „ნაფიცთა სასამართლოს და აღმორჩეულთა მსაჯულთა მთავარი ბიუროკრატიული დაწესებულებათა შემოღება... იმდენ დამატკიცებულთა მიწვევებს ჰბადებს, რომ ფრთხილად ამ დაწესებულებათა ხალხისათვის გამოსადგეობას. ნაფიცთა სასამართლოს მთავარი ორს უწყებამი შემოღება სახასო (სახასო ნიშნავს სახაზინოს, სახელმწიფოს კუთვნილს — ი. ტ.) სასამართლოებისა, მომრიგებელი იუსტიციის ასპარეზის ერთობ გავრცელება და, აგრეთვე, სასამართლოში საქმეების რუსულ ენაზე წარმოება, ერთობ აგვიანებენ საქმეების გათავებას“⁴.

განსაკუთრებით მწვავედ აყენებდა გაზეთი „დროება“ სასამართლო წარმოების ენის საკითხს. როგორც ცნობილია, რეფორმის შემდეგაც საქართველოში სასამართლო დაწესებულებები საქმეებს იხილავდნენ მხოლოდ რუსულ ენაზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფლის სასამართლოებს, სადაც შედარებით მცირე მნიშვნელობის საქმეები ირჩეოდა). ამ გარემოებას ეწინააღმდეგებოდნენ და საზიანოდ მიიჩნევდნენ არა მარტო ქართველი, არამედ მოწინავე რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რუსულ გაზეთ „მოღვაში“ დაბეჭდილი სტატია, რომელიც ეხებოდა კავკასიაში სასამართლო რეფორმას. ეს სტატია გაზეთმა „დროებაშიც“ გადმობეჭდა თავის ფურცლებზე. გაზეთი „მოღვა“ წერდა:

„სასურველია აგრეთვე, რომ კავკასიის მომრიგებელთა სასამართლოებში, რომელთაც უმთავრესად რუსულის უმეცარს ხალხთან ექნებათ საქმეები, საქმის წარმოება ადგილობრივ ენაზედ მიდიოდეს. ეს საშუალება სასამართლოს საჯაროდ შექმნის და და-

რიბს კაცს მენაგარე და უმეცარი მთავრეულთაგან გაათავისუფლებს“. გაზეთი „დროება“, რასაკვირველია, ალტაცებული შეხვდა „მოღვის“ ამ მოწოდებას, მაგრამ მას პატარა შენიშვნაც დაურთო: „პატივცემულს გაზეთს „მოღვას“ ჩვენ ყველაფერზე ვეთანხმებით ერთ ადგილის გარდა, რომელზედაც „დროებას“ არა ერთგვის წარმოუთქვამს თავისი აზრი. ეს გახლავთ ენა, რომელზედაც უნდა სწარმოებდეს საქმენი ჩვენს ადმინისტრაციულს და სასამართლო ყველა დაწესებულებებში. ეს ენა საქართველოში უნდა იყოს ქართული, დადესტანში ადგილობრივი და სხვა“⁵. მასხადამე, გაზეთი „დროება“ მოითხოვდა, რომ ქართულ ენაზე ყოფილიყო საქმის წარმოება არა მხოლოდ მომრიგებელ სასამართლოებში, არამედ საქართველოს ყველა სასამართლო დაწესებულებაშიც.

მოითხოვდა, რა ჩვენში სასამართლო საქმეების ქართულ ენაზე წარმოებას, „დროება“ არ იფიქრებდა იმასაც, რომ მართლმსაჯულების აღმასრულებლები საქართველოში ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. რუსი მოსამართლეები არ იცნობდნენ ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებებს და არ იღებდნენ ამას მხედველობაში. ამიტომ მათ ხელში სამართალი ხშირად მრუდდებოდა. აი, რას წერს „დროება“ სტატიაში — „ჩვენი საჭიროებანი“: „...მომეტებულად ხელისშემშლელი და დამატკიცებელი ჩვენი სასამართლოების ის გარემოებაა, რომ სამართლის აღმსრულებლად და გამჩენად ისეთი პირები დაგვინიშნეს, რომელთაც ჩვენი არც ენა იციან, არც ხასიათი, არც ჩვეულება, არც ძველი კანონები და არც ახალი ცხოვრება და ამ ცხოვრების მოთხოვნილება ამ გვარ მოსამართლეების ხელში სრულიად უნაკლულო და ჩვენს ცხოვრებაზე უხედავობრივი კანონებიც რომ იყოს, ცხადია, რიგვანი სამართალი მაინც არ დაწესდებოდა ჩვენში“⁶.

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში „დროება“ აკრიტიკებს რეფორმის შემდეგდროინდელ მოსამართლეებსაც, მიიჩნევს რა მათ გაუნათლებელ და ახალი ცხოვრების მოთხოვნილების უცოდინარ პირებად. ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ „დროების“ აზრი იმაზე, თუ როგორი პიროვნება უნდა ყოფილიყო მოსამართლედ არჩეული: მოსამართლე უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ განათლებული, უნდა სცოდნოდა ადგილობრივი ხალხის ენა, ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, ახალი კანონები, ახალი ცხოვრების მოთხოვნილება და ა. შ.

რეფორმის შემდეგდროინდელი სასამართლო სისტემა იმდენად არასრულყოფილი იყო, რომ რეაქციულ ძალებს საბაბი მიეცათ ახალი სასამართლოები უდროოდ დაწესებულებებად ჩათვალოთ. ამის გამო ისი-

4. „დროება“, 1880 წ. № 191.

5. ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1879-1881 წლებში.

6. „დროება“. 1880 წ. № 191.

7. „დროება“. 1882 წ. № 63.

ანი მოითხოვდნენ ძველი, რეფორმამდელი სასამართლო წყობის დაბრუნებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ხალხი ამ ახალი სასამართლო დაწესებულებებისათვის მომზადებული არ იყო.

გაზეთი „დროება“ დამაჯერებლად ამტკიცებს ძველი, დროშობული წყობილების დამცველთა მოსაზრების უსაფუძვლობას და განმარტავს, რომ მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭიროა არა ახალი სასამართლოების გაუქმება და ძველის დაბრუნება, არამედ სასამართლო დაწესებულებათა წინამძღოლებად, მოსამართლეებად რიგიანი, შესაფერისი პირების შერჩევა. აი, რას წერს ამის შესახებ „დროება“: „...ჩვენის აზრით, ხალხი საზოგადოდ ყოველი რიგიანი დაწესებულებისათვის მომზადებულია, საქმე მხოლოდ დაწესებულებათა წინამძღოლებზეა დამოკიდებული. თუ საქმის მმართველი რიგიანია და რიგიანადაც ესმის თავისი საქმე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხალხიც ამ მმართველის დიდი პატივისმცემელი იქნება...“⁸

რა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს „დროების“ არასწორი პოზიცია — მისი აზრით, საკმარისია, რომ საქმის წინამძღოლებად მცოდნე და პატიოსანი პირები იქნენ არჩეულნი და მდგომარეობაც გამოსწორდება — სასამართლოები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ როლს. „დროებამ“ ვერ განსაზღვრა, რომ საჭიროა არა მხოლოდ მოსამართლეების შეცვლა, არამედ ბურჟუაზიული, ექსპლუატატორული სასამართლო სისტემის მთლიანად მოსპობა და ახალი, ნამდვილად დემოკრატიული სასამართლოს შექმნა.

შემდეგ „დროებას“ მოჰყავს მაგალითი ერთ-ერთი მსაჯულის-ბერნაკის შესახებ, აქებს მისი მუშაობის მეთოდს და მოუწოდებს სხვა მოსამართლეებსაც რომ მას მიჰბაძონ. ბერნაკი კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა უბრალო ხალხთან და საქმესაც კარგად უძღვებოდა. ამის მიუხეზი ის არის, წერდა „დროება“, რომ „ბ. ბერნაკისთან რომ მომჩივანი მოვა და პირადად შეეხვეწება, ეს დაწერილ არზას არ მოსთხოვს ხოლმე, იმ წამშივე თავის მწერალს დააწერინებს საჩივარს და დროსაც დაუნიშნავს. ამას გარდა, არც ადვოკატებს იკარებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ადვოკატები უბრალოდ ატყაყებენ ხალხს... ჩვენის აზრით, ამგვარი სისტემა თხოვნის დაწერისა და ვეკილების განდევნისა რომ შემოიღონ სხვა მსაჯულებმაც, მგონი, დიდი სარგებლობა მოუტანონ ხალხს“⁹.

რასაკვირველია, როცა „დროება“ ადვოკატების განდევნის სურვილს გამოთქვამს, იგი არასწორ პოზიციაზე დგას. რადგან ადვოკატი არის ამა თუ იმ პირის კანონიერი ინტერესების წარმომადგენელი სა-

სამართლოში და მისი მონაწილეობის უარყოფა დემოკრატიული პრინციპის დარღვევას ნიშნავს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ადვოკატი მხოლოდ ატყუებდა ხალხს, ფულს ართმევდა და საქმით კი ბევრს ვერაფერს უკეთებდა.

სწორი პოზიცია ეკავა გაზეთ „დროებას“, როდესაც აფასებდა ზეპირი და საჯარო სასამართლო წარმოების შემოდების მნიშვნელობას. 1864 წლის რეფორმამ სასამართლო პროცესის მეორე სტადიაზე შემოიღო საჯაროობა, რაც გულსხმობდა საქმის მხარეთა და ყველა მსურველთა თანდასწრებით დიად მოსმენას სასამართლო სხდომის გახსნის მომენტიდან განაჩენის გამოტანამდე (მხოლოდ მოსამართლეთა თათბირი წარმოებდა საიდუმლოდ, ცალკე ოთახში).

რეფორმამდე საქმის განხილვა სდებოდა წერილობით, მხოლოდ მოსამართლეთა თანდასწრებით. ეს გარემოება საქმის სწორად და ობიექტურად გადაწყვეტაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. ამას კარგად ამჩნევდა გაზეთი „დროება“: „...ძველი სასამართლო წესის თავი ნაკულუვეკანებათაგან კიდევ ის იყო, რომ საქმე სულ ქაღალდით და არა სიტყვიერათ წარმოებდა, საქმე წყდებოდა საიდუმლოთ კანცელარიაში და არა საქვეყნით და სახალხით. ცხადია, რომ მოსამართლე უფრო გარკვევით და მალე შეიტყობს მოდავე მხარეებისაგან საქმის გარემოებას, როცა ისინი მის წინ დგანან და სიტყვიერათ ეუბნებიან, მინამ იმ შემთხვევაში, როცა იმან ქაღალდით უნდა მოსთხოვოს მათ სხვა და სხვა საჭირო ცნობები“¹⁰.

ამას გარდა, „დროების“ აზრით, ჭეშმარიტების დადგენას ისიც შეუწყობდა ხელს, რომ მოსამართლეები, რომლებიც ხედავდნენ მათ წინ მჯდომ ხალხს, უფრო მიუდგომელნი და სამართლიანი იქნებოდნენ, რადგან მათზე იმოქმედებდა საზოგადოებრივი აზრი. „უშეველია ყოველი მოსამართლე, რომელიც ხედავს თავის წინ მჯდომარე ბუბლიკას... ნებით თუ უნებურად უნდა შეიქმნეს მორიდებული და ბეჯითი აღმასრულებელი თავის მოვალეობისა და მიუდგომელი და სამართლიანი თავის მსაჯულებაში. — წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის სასტიკი სამართალი და განაცხევა იმ უძლიერეს მსაჯულისაგან, რომელსაც ეწოდების საზოგადოებითი პაწერი“¹¹.

საჯაროობის პრინციპი არა მარტო სასამართლოზე მოახდენდა დადებით გავლენას, არამედ დამსწრე საზოგადოებაზეც. როგორც ცნობილია, სასამართლო განხილვის საჯაროობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო წარმოების აღმზრდელითი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „დროება“: „...განსაკუთრე-

⁸ „დროება“, 1884 წ. № 44.

⁹ „დროება“, 1884 წ. № 44.

¹⁰ „დროება“, 1868 წ. № 8.

¹¹ „დროება“, 1872 წ. № 18.

ბითი შემოქმედება ხმოვანის სამართლის საზოგადოებაზე მდგომარეობს შემდეგში: პუბლიკა, ვითარ წარმომადგენელი საზოგადოებისა, თავისი თანდასწრებითა სასამართლოში საქმის გარჩევის და გარდაწყვეტის დროს, უეჭველია იძენს გამოცდილებას კანონთ ცოდნაში, პრაქტიკულად ცნობილობს როგორც სჯა-წარმოების წესს, აგრეთვე იმ პირობებითა, რომლებზედაც დაფუძნებულია განჩინება მართლმსაჯულებისა. ...საქვეყნოდ აღსრულება მართლ-მსაჯულებისა შვებს და განაძლიერებს საზოგადოებაში კანონიერების და სამართლიანობის გრძნობას¹².

როგორც შემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, „დროება“ ხედავდა სასამართლო რეფორმის დადებით მხარეებს და სათანადოდ აფასებდა მათ, მაგრამ ამჩნევდა ნაკლოვანებებსაც, რომლებიც საკმაოდ გააჩნდა რეფორმის შემდეგდროინდელ სასამართლოს.

გაზეთი „დროება“ განსაკუთრებით იმ გარემოებას აკრიტიკებს, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმა რუსეთისაგან განსხვავებულად იქნა მიღებული, თანაც ისე, რომ მსხვედრობაში არ მიუღიათ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამან კი ძალზე ცუდი შედეგები გამოიწვია: ... რაც უფრო თხუთმეტი წელიწადი გადის მას აქეთ, რაც ახალი სასამართლო რეფორმები შემოიღეს ჩვენს ქვეყანაში, რაც ახალი ამცალები — აღმასრულებელი გამოგვიგზავნეს ამ რეფორმებისა და ჯერ ვერა ვხედავთ, რომ ახალ სამართალს ახალი სამართლიანობა და უკეთესი წესები დაემკვიდრებინოს ჩვენში. პირიქით ახლა თითქმის უფრო ხშირადაც ისმის ხალხში საჩივარი ყოველგვარ უწყისობაზე და ბოროტ-მოქმედებაზე, გაუთავებელ დავებზე და საჩივრებზე¹³.

ყველაფერი ამის მიზეზად „დროებას“ მიაჩნია ის, რომ ჩვენში არ იყვნენ კანონების რიგიანად აღმასრულებელი მოსამართლეები, არ იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სამართლიანობის დამყარებას. „დროებას“ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად და „კარგი სამართლის“ დასადგენად შემდეგი გარემოებების დაცვა მიაჩნია: „ორი რამ არის საჭირო რომელსავე ქვეყანაში კარგის სამართლის დადგენისათვის: გონიერი კანონები, ხალხის ხასიათზე, ჩვეულებებზე და ზნეზე გამოჭრილი და რიგიანი, პატიოსანი და მცოდნე აღმასრულებელი ამ კანონებისა“¹⁴. ამავე საკითხის შესახებ „დროება“ სხვა ადგილას წერს: „...რომელიმე ახლად დადგენილი წესი, ანუ კანონი მხოლოდ მაშინ მოუტანს საზოგადოებას ჯეროვან სარგებლობასა და ნაყოფს, როდესაც ამ საზოგადოებაში ამ კანონი-

სა და წესის კარგი აღმსრულებელი პირები აღმოჩნდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი წესი და კანონი დარჩება მკვდარ წესად და კანონათ და იმის აუსრულებლობა, ან ცუდად ასრულება საკეთის ნაცუდად ვენებას მოუტანს საზოგადოებას“¹⁵.

„დროება“ თავის ფურცლებზე დაიბეჭდა რუსეთის იუსტიციის მინისტრის სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო მოსკოვის ერთ-ერთ სასამართლოში. მინისტრი ამბობდა: „საყვედური და ჩივილი სასამართლოებზე რომელიც ამ უკანასკნელ დროს ისმის, უსაფუძვლოა... შეიძლება ითქვას, რომ სამოსამართლო დაწესებულებანი თითქო შუშის ბურთში არიან, რომლის ქვეშაც ყველა მსურველს შეუძლია გასინჯოს მოქმედებანი და მოძრაობანი დიდის მაშინის თითოეულის ნაწილისა, და რადგანაც სამოსამართლო დაწესებულებანი ჯერ ისევე ახალი საქმეა, დღემდე შენიშნული გარეგანი ნაკლულებანება ტენსიკისა, თავის დროზედ გასწორდება“.

იუსტიციის მინისტრის ამ სიტყვებს გაზეთი „დროება“ უერთდება და გამოთქვამს რწმენას, რომ თუ საზოგადოება და თვით მოსამართლეები მთინდომებენ, მდგომარეობა საკებით გამოსწორდება და სამართლიანობა დამყარდება. აი, რას წერს ამის შესახებ „დროება“: „არა ერთხელ გამოთქმულა ის აზრი, რომ სასამართლო რეფორმა ზოგიერთთა მხრით არ შეეფერება საზოგადოების მოთხოვნილებას და განსაკუთრებით ჩვენის საზოგადოებისას, მაგრამ ამ ნაკლოვანებათა აცილება ადვილია, თუ როგორც საზოგადოება, ისე თვით მოსამართლე პირნი ხელს შეუწყობენ ბ. მინისტრის სურვილს და კიდევ უფრო გამოაშკარავენ „დღემდე შენიშნულს ნაკლულებანებას ტენსიკისას“¹⁶.

ამკარაა, რომ გაზეთი „დროება“ ამ შემთხვევაში უკან იხევს. შეიძლება დაისვას საკითხი, თუ რატომ მოხდა, რომ „დროება“, პროგრესულმა გაზეთმა, რომელიც რევოლუციური დემოკრატიზმის პოზიციებზე იდგა, გააკეთა ასეთი უკანდახვევა?

საქმე იმაშია, რომ შემომოყვანილი სტატია „დროების“ ფურცლებზე დაიბეჭდა 80-იანი წლების რეაქციის მქონეარების პერიოდში (1884 წელს). ცარიზმი გაზეთს ამ პერიოდში განსაკუთრებით სულისშემწუთველ რეჟიმს უქმნიდა. ამიტომ იგი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა უკან დაეხია.

ამგვარად, გაზეთმა „დროება“ ვერ მოგვცა 1864 წლის სასამართლო რეფორმის კლასობრივი არსის კრიტიკა, მაგრამ მას არც შეეძლო ეს მოეცა, ვინაიდან იმ დროისათვის ჯერ კიდევ მიეღი სისრულით გამოვლინებული არ იყო ახალი, კაპიტალისტური საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობანი.

¹² „დროება“, 1872 წ. № 18.

¹³ „დროება“ 1882 წ. № 63.

¹⁴ „დროება“ 1882 წ. № 63.

¹⁵ „დროება“ 1872 წ. № 10.

¹⁶ „დროება“, 1884 წ. № 250.

ჯაშუშებზე მონადირე

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ო. პინტოს წიგნიდან „ჯაშუშებზე მონადირე“ მკითხველს აცნობს დასავლეთის სამყაროს კონტრდაზვერვის ორგანოების მუშაობას, კერძოდ კი ექვმიტანილის დაკითხვის მეთოდებს.

ო. პინტო, წარსულში ინგლისის, შოლანდიისა და ბელგიის კონტრდაზვერვის პოლკოვნიკი იყო. ჩვენი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მისი შეხედულებანი დაკითხვის მეთოდებზე.

უახლოეს ხანში წიგნს ქართულად გამოსცემს „საბჭოთა საქართველო“. თარგმანი ეკუთვნის ბ. ასათიანს.

თავი I

მთელი ცხოვრება ჯაშუშების დევნაში გაატარე. წასული ომის დროსაც ჩემი უშუალო მონაწილეობით რამდენიმე ჯაშუში სიკვდილით დაისაჯა, ზოგიერთს კი მრავალი წლით პატიმრობა მიესაჯა. ამას პატივმოყვარობა ან ტრაბახი არ მალაპარაკებს. უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ უფლება მაქვს დავწერო წიგნი ჯაშუშებზე.


მრავალ ლექცია წამიკითხავს ამ საკითხზე. მამაკაცი და ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ხშირად მომმართავენ კითხვით, თუ როგორ შეიძლება გახდე მზვერავი. თითქმის ყველა მათგანს წაეკითხა დეტექტური ლიტერატურა და ოცნებობდა აღმოეჩინათ ჯაშუშები ბარებსა და მდიდრულ სასტუმროებში, თავბრუდამხვევი სისწრაფით დასდევებოდნენ მათ მანქანით და ბოლოს მოხდენილად წამოეცვათ ხელბორკილი თავიანთი მსხვერპლისათვის, რომელსაც წაასწრებდნენ საზღვარგარეთის რომელიმე ევზოტიკური დედაქალაქის საკანალიზაციო მილში.

სინამდვილეში ჯაშუშებზე მონადირე სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს. მისი მუშაობა ფრონტელი ჯარისკაცების სამსახურის მსგავსად მოსაწყენი და დამაინტერესებელია. გასართობ კინოფილმებში კი მზვერავის მუშაობა სულ სხვადასხვაგვარად გამოიყურება. აქ მთელი ყურადღება ყველაზე მთავარ მომენტებზეა გამახვილებული, მაყურებლისათვის მოსაწყენი გამოძიების ხანგრძლივი საათების, ცალკეული ფაქტების დაპირისპირებისა და მათი მთლიანობაში თავმოყრის ჩვენება ეკრანზე შეუძლებელია.

ჯაშუშებზე მონადირე ათი თვისებით უნდა

იყოს დაჯილდოებული. შვიდი მათგანს თანდაყოლილია, სამი კი შეიძლება შეიძინოს... თითქმის ყველა დამწყები მზვერავი პირველ ხანებში დიდ სიძნელეებს აწყდება. ქვემოთ ჩამოთვლილი ამ თვისებებს ისეთი თანამიმდევრობით როგორ მნიშვნელობასაც მე მათ ვანიჭებ.

ფენომენალური მეხსიერება. ჯაშუშებზე მონადირეს მარტო სახეების, შემთხვევების და იმ ადგილების დამახსოვრების უნარი კი არ უნდა შესწევდეს, სადაც მრავალი წლის წინ იყო, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში ოქმის გარეშე დაკითხვის წარმოებაც უნდა შეიძლოს. მეორე თავში დაწვრილებით მოგითხრობთ დაკითხვის სახეობათა შესახებ, ახლა კი მხოლოდ შეგნიშნავ, რომ გამომძიებლისათვის ყველაზე მთავარია — მოიპოვოს ექვმიტანილის ნდობა და თუ შესაძლებელია ჩაუხერგოს მას მოჩვენებითი სიმშვიდის გრძნობა. თუ გამომძიებელი ხშირად შეწყვეტს დაკითხვას ჩვენების ჩასაწერად, იგი ვერ შესძლებს ეს პროცედურა არაოფიციალური საუბრის სახით წარმართოს და ექვმიტანილი, ბუნებრივია, ფრთხილად იქნება, მოასწრებს აზრების მოკრებას და მომდევნო კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის მომზადებას. მოჩვენებითი უზრუნველობით სავარძელზე გადაწოლილი გამომძიებელი მშვიდი და კეთილი მოქცევით ექვმიტანილს აფიქრებინებს, რომ დაკითხვა ეს მხოლოდ აუცილებელი ოფიციალური პროცედურაა. ექვმიტანილი მშვიდდება და ასეთ მდგომარეობაში, როგორც წესი, ვაცემს თავს ღმერთმა ან იქნებ ეშმაკმა საოცარი მეხსიერებით დამაჯილდოვა. მაგალითად, შემძლიარა გავისხენო, რა საჩუქრები მომიტანეს დაბადების დღეს, როდესაც მხოლოდ 3 წლის ვიყავი.



ისიც კი მახსოვს, თუ ვინ მომიტანა და დღის რომელ დროს. მე თავი ექვსი თვის ასაკიდან მახსოვს, დღემდე არ დამვიწყებია იმ ბაბთების ფერი, რომლითაც ჩემი საწოლი იყო მორთული.

მამაჩემი ჰოლანდიაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც ტელეფონი ჰქონდა. ქალაქის ნაგლეჯზე დაწერილი რამდენიმე ნომერი აბარატთან იქვე ეკიდა. აი უკვე 50 წელზე მეტი ხანი გვიდა იმ დროიდან, მაგრამ მე დღესაც კარგად მახსოვს თითოეული მათგანი. ფენომენალური მეხსიერება თანდაყოლილი თვისებაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჯანსუღებზე მონადირე გახდე.

დიდი თავდაპირველობა და დეტალებისადმი ყურადღება. გამოძიების დროს ჯანსუღში ავლენს მაქსიმალურ მოთმინებას, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი სიცოცხლე. მამასადავს გამოძიებელი უფრო მოთმინე უნდა იყოს, თუ სურს მიზანს მიაღწიოს. გამოცდილ ჯანსუღს კარგად ახსოვს თავისი გამოგონილი ბიოგრაფიის მთავარი მომენტები, ეგრეთ წოდებული „ლეგენდები“ და ამდენად გამოძიებლისათვის ძნელია მისი ტყუილში დაჭერა. მხოლოდ წვრილმან დეტალებში შეიძლება შეცდეს გამოცდილი ჯანსუღი. დეტალებისადმი ყურადღება უსაზღვრო მოთმინებასთან შერწყმული მნიშვნელოვანი იარაღია გამოძიებლის ხელში.

უცხო ენების შესწავლის ნიჭი. გამოძიებლის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, შეზღუდულია, თუ ის ექვმიტანილის დაკითხვას თარჯიმნის საშუალებით აწარმოებს. ასეთ შემთხვევაში მას უნარი არ შესწევს, მაგალითად, განსაზღვროს დაკავებული, რომელიც თავს შვედ ბიზნესმენად ასაღებს, მართლა შვედია, გერმანელი თუ შვედურ ენას ბრწყინვალედ დაუფლებული ნორვეგიელი. ექვმიტანილის პირადი ნივთების გასინჯვის დროს კი მსოფლიოს საუკეთესო დეტექტივიც უსუსური იქნება, თუ მან არ იცის ის ენა, რომელზეც დაწერილია ექვმიტანილის წერილები, დღიურები და რეზიუმეები და სხვა დოკუმენტები.

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცოდნა. კონტრდაზვერვის აგენტს უნდა შეეძლოს ექვმიტანილის ხასიათის გაგება, რათა წინასწარ განსაზღვროს, თუ დაკითხვის რომელი მეთოდი გამოიყენოს მასთან ურთიერთობაში. გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებზეც დაშინება და მუქარის ტონი საწინააღმდეგოდ მოქმედებს — განამტკიცებს მათ გამძლეობას. ამავე დროს თანაგრძობის ოდნავი გამოვლინებაც კი ხელს უწყობს სიჯიუტის დათრგუნვას. ზოგიერთი შეიძლება ალაპარაკოთ, თუ მის პატივმოყვარეობას მონებრებულად შეეხებით. ამისათვის

საკმარისია ადამიანი დროზე შეაქოთ. გამოძიებელი, რომელიც ვერ შეძლებს თავიდანვე განსაზღვროს ექვმიტანილის ხასიათი, რინგზე ბრმად მიმავალ მოკრივეს ჰგავს.

გულადობა. მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ გამოძიებლისათვის გულადობა საჭირო არ არის. ზოგიერთი იმასაც მეტყვის, რომ ექვმიტანილს უფრო მართებს „გულადობა, რადგან ის თავისი სიცოცხლისათვის იბრძვის. ეს მართალია, მაგრამ ვერც ერთ ჯანსუღს, როგორი უგუნურიც არ უნდა იყოს მისი საქციელი, ვერ უსაყვედურებ სიმხდალეს. მას თავიდანვე აშაადებენ იმისათვის, რომ სიცოცხლე გასწიროს უცხო ქვეყანაში, სადაც ის მარტოა და არა აქვს მეგობრების დახმარების იმედი. ამ რამდენიმე გვერდიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ ჯანსუღებზე მონადირე ჯანსუღის ორეულია და იგი დაუფლებელი უნდა იყოს სრულყოფილ აგენტის ყველა თვისებას. გარდა ამისა მას უნდა ჰქონდეს მახვილი გონება, რათა შეძლოს მოწინააღმდეგის მოტყუება. ვისაც პარლამენტში კამათი მოუსმენია ან დასწრებია სსსამართლო სსდომას, სადაც მნიშვნელოვანი საქმის განხილვის დროს მოწმეთა ჯვარედინ დაკითხვას აწარმოებდნენ, იცის, რომ არსებობს თვისება, რომელსაც მორალური უბირატესობა შეიძლება ეწოდოს. აუცილებელი არ არის, ეს უბირატესობა პროკურორის მხარეზე იყოს, იგი შეიძლება დაცვასაც გააჩნდეს. მორალური უბირატესობა თან სდევს მამაც ხალხს, კონტრდაზვერვის გამოძიებელი ექვმიტანილთან უხეში მოქცევით ვერ მიაღწევს მიზანს. მან უნდა დათრგუნოს ექვმიტანილი თავისი ღრმა რწმენით. თუ გამოძიებელი მოიგებს ამ უსიტყუო ბრძოლას, იგი აუცილებლად მიაღწევს თავისს. ამისათვის აუცილებელია დიდი ნებისყოფა.

ევროპის დედაქალაქებისა და მსხვილი ცენტრების ცოდნა. ჯანსუღებზე მონადირემ უნდა იცოდეს არა მარტო მთავარი ქუჩები და მნიშვნელოვანი შენობები, არამედ შესახვევები, სასტუმროები, მათ შორის მანძილი და ისიც კი, თუ როგორ უფრო ხელსაყრელია ერთი ადგილიდან მეორემდე მისვლა. ამისათვის მას უნდა ჰქონდეს საუკეთესო მეხსიერება. დასაბასტურებალად მინდა მოგიხსნათ ერთი ამბავი.

ეს მოხდა 1942 წლის მარტში... ჰანსი ჩემს კაბინეტში დასაკითხად შემოიყვანეს. რადგან მისი საქმე სსსამართლოსათვის არ გადაუციათ, არ შემოძლია ჰანსის ნამდვილი გვარის დასახელება. როდესაც ის ჩემს პირდაპირ ჯდებოდა, სავარძელზე გადაწოლილი ყურადღებით ვაკვირდებოდი მას. ჰანსი იყო მაღალი, გამხდარი, მაგრამ ძლიერი ადამიანი. ეტყობა, თავის დაქვრა შეეძლო. მოკლე, შეჭრილი ქერა თმა,



ცისფერი თვალები, ფართე ღაწვები, ჩავარდნილი ლოყები, რომ არაფერი ვთქვათ შრამზე, რომელსაც მარჯვენა ლოყა გადაესერა და აღამიანს ღუელს მოაგონებდა, მისი ხასიათის ზოგიერთ მხარეზე მეტყველებდა. მასში გერმანელს შეიცნობდით. მე ვიცოდი, რომ იყვნენ კარგი და ცუდი გერმანელები, მაგრამ როგორი იყო ჰანსი?

მისი მონაყოლი უბრალო და გულახდილი მეჩვენა.

მას რამდენიმე სიტყვაც კი არ ჰქონდა ნათქვამი, და მე მივხვდი, რომ საქმე მქონდა დიდათ განათლებულ, ჰქვიან ადამიანთან, რომელსაც თავის დაცვა შეეძლო. ჰანსმა გულწრფელად აღიარა, რომ ის გერმანელია. როგორც მისი მონაყოლიდან გავიგე, ის 1936 წელს გაქცეულა დანიაში, რადგან ვერ შეგუებია ნაციონალისტურ რეჟიმს და ამის გამო მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა. კოპენჰაგენში ის თურმე ადვოკატად მუშაობდა, რაც არსებობის საშუალებას აძლევდა. როცა 1940 წელს დანია დიპყრეს ჰანსი მიხვდა, რომ მას ახლა პირვანდელზე მეტი საშიშროება ელოდა. გადაწყვიტა იტაქვეშეთში გადასულიყო. საიდუმლოდ დაბრუნდა გერმანიაში, იქიდან გაიქცა შვეიცარიაში, შემდეგ — სამხრეთ საფრანგეთში და ესპანეთის საზღვრით — ბარსელონში. ეს იყო თავდახსნის საიმედო გზა.

მე დამაინტერესა მისი მონაყოლის დასაწყისმა. მან კოპენჰაგენში რამოდენიმე წელი გაატარა და შესანიშნავად იცნობდა ქალაქს. ის საუბარში აქა-იქ ხმარობდა იურიდიულ სატყვეებს, რაც სარწმუნოს ხდოდა, რომ ჰანსი ოდესღაც მართლა მუშაობდა ადვოკატად. არავითარ ეჭვს არ იწვევდა ისიც, რომ იგი კარგად იცნობდა ვასაქცევ მარშრუტს. ის ისეთ დეტალებს ასახელებდა, რომლებიც მხოლოდ ამ გზით ნავალ კაცს შეეძლო ცოდნოდა.

მე სიგარეტს მოვუკიდე.

— რა დროს ჩახვედით ბარსელონაში? — ვკითხე მას გერმანულად.

— გვიან საღამოს. რამდენადაც მახსოვს დაახლოებით ათი საათი იქნებოდა.

— სად ვაატარეთ ღამე?

— სასტუმრო „კონტინენტალი“.

— აა, „კონტინენტალი“... ხომ არ გახსოვთ რომელ სართულზეა რესტორანი? — ვკითხე მე. მცირე შეყოვნების შემდეგ მან გაიღიმა.

— ვაი რომ არ მახსოვს, იცით რა, გვიანი იყო, დაახლოებით ათი საათი იქნებოდა, მითხრეს, რომ რესტორანი დაკეტილია და ნომერში ვივანშმე.

ჰანსმა მოხერხებულად აარჩია თავი ჩემს კითხვაზე პირდაპირი პასუხი ვაცა.

— რას აკეთებდით მეორე დღით?

— ნომერში ვისაუხმე და ინგლისის საპასპორტო ბიუროში გავეშურე.

— როგორ მიხვედით იქამდე, ტაქსით თუ ფეხით?

— ფეხით, — მიპასუხა მან.

— რამდენი დრო დაგვირდათ იმისათვის, რომ ფეხით მისულიყავით სასტუმრო „კონტინენტალიდან“ ინგლისის საპასპორტო ბიურომდე?

— დაახლოებით ოცი წუთი, — მიპასუხა მან.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. სიგარეტი ავიღე, მოვუკიდე და ღრმად შევიხსნთქე.

— ჩემო მეგობარო, — მშვიდათ მივუთხე მე, — თქვენ მატყუარა ხართ, ქვეშევეშა მატყუარა და შესაძლოა ჯამუშიც.

ჰანსი გაწითლდა და გველნაკბენივით წამოხტა სკამიდან.

— არა გაქვთ უფლება შეურაცხყოფა მომაცენოთ!

— დაჯექით და დამშვიდდით. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. სცენებს ნუ მიწყობთ.

მე მაგიდაზე დავეყრდინე.

— თქვენს წინააღმდეგ ორი ფაქტია. „კონტინენტალიში“ რესტორანი მოთავსებულია არაპირველ სართულზე, როგორც ეს ევროპის ყველა სასტუმროშია, არამედ მეორეზე. თქვენ იგარქებით მახე, გონივრულად აუარეთ გვერდო ჩემს კითხვას და მიპასუხეთ, რომ თითქოს რესტორანი საღამოს დაკეტილი იყო. ასე შეიძლება ყოფილიყო ბერლინში, ლონდონსა და კოპენჰაგენში, მაგრამ თქვენ არ იცით, ჩემო მეგობარო, რომ ესპანეთში, როგორც ხმელთაშუა ზღვის უმეტეს სანაპირო ქვეყანაში, ღამის ცხოვრება გაცილებით გვიან იწყება, ვიდრე ჩრდილო ევროპაში. გსმენიათ რაიმე სიესტის შესახებ — შუადღის შესვენებაზე? ცხელ ქვეყნებში სადილის შემდეგ ისვენებენ. ყველაზე გრილ დროს, როცა ხალხი ცხოვრებით ტკბება — გვიანი ღამეა. ესპანეთში კინოები და თეატრები საღამოს 11 საათზე იღება. მაშასადამე, როგორც ხედავთ, „კონტინენტალის“ რესტორანი საღამოს 10 საათზე არ შეიძლება დაკეტილი ყოფილიყო. ამ დროს ხომ იქ მხიარულება გაჩაღებული.

დასკვნა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს — თქვენ არასოდეს ყოფილხართ ამ სასტუმროში...

ჰანსი შეეცადა სიტყვა შეეწყვეტინებინა, მაგრამ მე ვანვარძე, — ეს შეცდომაა რომ დანაშაულად არ ჩაგითვალოთ, თქვენ, ჩემო ძვირფასო, მაინც ჩაუარდით.

მე ფანქარი და ქალაღლი ავიღე.

— უყურეთ. რადგან თქვენ არ იცნობთ ბარსელონას, ამიტომ მე დაგიხზავთ ამ ქალაქის პატარა გეგმას. აი აქ, რამბლა და კატალუნას

ქუჩაზე, მდებარეობს სასტუმრო „კონტინენტალი“, ოდნავ მოშორებით — პლაზა დე კატალუნას მოედანი, აქედან ვადის ჰასო დე გრასიას ქუჩა, რომელზედაც საპასპორტო ბიუროა მოთავსებული. სასტუმრიდან ბიურომდე ხუთ წუთზე ნაკლები სავალია, თქვენ კი ამბობთ, რომ იქ მისასვლელად ოცი წუთი დაგჭირდათ. ისეთ მაღალ და მოძრავ ადამიანს, როგორც თქვენა ხართ, არ შეეძლო ასე ნელა ევლო...

ლილას თითი დავაჭირე, რათა ჰანსი გაეყვანათ.

— სხვათა შორის, — დავუთრე მე, — თუ თქვენ ნამდვილად გაჩერდით სასტუმრო „კონტინენტალი“ში, მაშინ ნომერის ფანჯრიდან დაინახავდით საპასპორტო ბიუროს. ბიუროს ჩინოვნიკების მტკიცებით, თქვენ მართლაც ყოფილხართ იქ, მაგრამ ჩემთვის გაუარკვეველია, როგორ მიადწიეთ იქამდის. გერმანიის სადაზვერვო სამსახურის დახურულ მანქანაში უკან ხომ არ იჯექით?

ადამიანზე ეჭვის მიტანა ადვილია, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია მისი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთების მოპოვება. ჰანსის საქმე არ გადასცეს სასამართლოს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის საშიში ჯაშუში იყო. უშეშროების მიზნით ომის ბოლომდე იგი ინტერნირებულ იქნა.

ეს შემთხვევა შემდეგზე მეტყველებს: შეიძლება ჩემზე ჰკვიან ადამიანს მრავალი საათი მოენდომებია ჰანსის დაკითხვისათვის, მაგრამ თუ არ ეცოდინებოდა უცხოეთის ქალაქები, ამ შემთხვევაში ბარსელონა, იგი ვერ შეამჩნევდა ორ უმნიშვნელო შეცდომას მის საკმაოდ დამაჯერებელ ჩვენებაში.

საერთაშორისო სამართლის ცოდნა. ყოველი ექვმიტანილი, მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარგებლობს გარკვეული უფლებებითა და პრივილეგიებით, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი ანიჭებს. მაგალითად, არ შეიძლება ექვმიტანილის დაკავება განსაზღვრულ დროზე მეტ ხანს. დაკავების პერიოდში კი აუცილებელია დადგენილი წესების დაცვა. საერთაშორისო სამართალი ტყვეებსა და ექვმიტანილებს იცავს უხეში მოქცევისაგან. მოხერხებულ ჯაშუშს, რომელმაც კარგად იცის ჰაგის კონვენცია, შეუძლია მოითხოვოს მეტი პრივილეგიები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით და ამით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს გამოძიებელი. ამიტომ მან არ უნდა დაუშვას, რომ ექვმიტანილმა მოაღწყო.

ჯაშუშებზე მონადირე მსახიობად დაბადებული უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს მრისხანების, მოუთმენლობის, თანაგრძობის დაფარვა — ერთი სიტყვით თავის დაჭერა. მას შე-

მდგე, რაც გამოძიებელი ექვმიტანილის ხასიათს შესწავლის და დაკითხვის შესაფერ მეთოდს აირჩევს, ის იწყებს თავისი როლის განსახიერებას. არ შეიძლება ლაპარაკი ამაღლებული ტონით, როდესაც სახეზე ჯერ კიდევ დიმილი გაქვთ შერჩენილი, ხმაში კი თანაგრძობის ბგერები ისმის. გამოძიებელი მალე დამარცხდება, თუ თანაგრძობის ტაქტიკას აირჩევს, მაგრამ თავს ვერ დააღწევს გამოკლმზერას და გამაღიზიანებელ ტონს. გამოცდილი ჯაშუში საზოგადოდ შესანიშნავად ხვდება გამოძიებლის სუსტსა და ძლიერ მხარეებს. ის გრძობს ყალბ ბგერებს და ამჩნევს არაბუნებრივ დიმილს. ჯაშუშებზე მონადირეს უნდა შეეძლოს თავისი ნამდვილი გრძობების დამალვა. ექვმიტანილის მიერ თავისდაუნებურად დაშვებულ უმნიშვნელო შეცდომას გამოძიებელი უმალ ხვდება, მაგრამ არ იმჩნევს. თუ გამოძიებელი მზერით ან აღევლებით გასცემს თავის შინაგან დაძაბულობას, ექვმიტანილი ფხიზლად იქნება. დაკითხვები ხშირად ძალზე დამაქანცველია — კიუტი ექვმიტანილი ყოველ დღე ერთსა და იმავეს იმეორებს, რასაც გამოძიებელი შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს, მაგრამ მას თავშეკავების უნარი უნდა შესწევდეს და სიმშვიდე შეინარჩუნოს. უღლია, როდესაც გამომეტყველება, ან უცაბედი მოძრაობა გასცემს გამოძიებლის ნამდვილ გრძობებს.

ჯაშუშებზე მონადირეს უნდა გააჩნდეს გამჭრიახობა, ინტუიცია და დაკვირვების უნარი. ჩემი აზრით, ამ უნარის გამოყენებით შეიძლება მიზეზების გამოძიებაც, ექვმიტანილის ჩვენებათა მიერ ჯაშუში ცალკეული რგოლების მნიშვნელობის შეფასება და ლოგიკური აზროვნება. მხოლოდ ისეთ გამოძიებელს შეუძლია ბრძოლის მოგება გაქნილ ჯაშუშთან, რომელსაც უნარი შესწევს დაკითხვის დროს გამოავლინოს მისი იდეალური ზრახვანი. ამასთანავე დიდი როლი ენიჭება დროის ფაქტორს, იდეალური იქნებოდა, ექვმიტანილს რომ შეეძლოს იმ პერიოდის ყველა წუთის აღწერა, რომელიც გამოძიებელს აინტერესებდა. ბუნებრივია, პატიოსან ადამიანს მღელვარების დროს ძალა არ შესწევს ამომწურავი პასუხები გასცეს გამოძიებლის შეკითხვებს. პირველი ჩვენების მიცემისას ექვმიტანილი, როგორც წესი, დაბნეულია და ამიტომ ავიწყდება მნიშვნელოვანი დეტალები და მოვლენები. ყოველი პოლიციელი დაგვიმომბობს, რომ იშვიათად თუ ვინმე მოახერხებს დაწვრილებით მოგიყვით ახლახან მომხარამბავი. თუ კაცს ჩვენების მიცემის გამოცდილება არა აქვს, იგი უყურადღებოდ სტოვებს მნიშვნელოვან ფაქტებს, იმეორებს ერთი და იმავეს, იბნევა და თანამიმდევრულად არ ლაპა-



რაკობს. ქუჩაში მომხდარი უბედური შემთხვევის ორი მოწმე სრულიად სხვადასხვა ჩვენებას იძლევა. გამომძიებელს უნდა ახსოვდეს ეს და არ უნდა უყვიროდეს, თუ თავისი ფიქლების მისაღწევად ტანჯვა-ვაებას გამოვლილი ლტოლვილის ნაამბობი აბდაუბლა და არალოგიკური იქნება. როცა საშოში მოგზაურობა რამდენიმე დღე, კვირა და ზოგჯერ თვეებიც გრძელდება, ლტოლვილს შეიძლება დაავიწყდეს რომელ რიცხვში ან რა დროს გადალახა საზღვარი, როდის ჩავიდა ამ თუ იმ ქალაქში, დაზვერვის სამსახურის ოფიცერს უნდა შეეძლოს სიმართლისა და სიცრუის გარჩევა, ანგარიში გაუწიოს მეხსიერების შესაძლებელ დაკარგვას და არ უნდა დაავიწყდეს, რომ ადამიანს დაქანცულობის გამო გავზვიადების უნარი შესწევს.

აქამდე ჩემი შენიშვნები ძირითადად ექვმიტანილის ზეპირ დაკითხვას ეხებოდა. შემდეგ დაწერილებით მოგიყვებით დაკითხვის მეთოდებზე და ექვმიტანილის პირადი ნივთების ვასინჯვაზე. აქ მხოლოდ შეენიშნავ, რომ ყველა ნივთს, რომელიც გამომძიებელში მყოფის კუთვნილებაა, დაწებული ტანსაცმელით და დამთავრებული ხელის ტვირთით, დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების დადგენისათვის. როცა გამოცდილმა გამომძიებელმა იცის, თუ რა საშიშლებს ეძებს, ექვმიტანილის წერილების, წიგნების, ტანსაცმლისა და სხეულის ცალკეული ტერიტორიაზე. წარმოება, ჯამუშისათვის ჭირი ცნობები. იშვიათად თუ ანდობს ჯამუშო თავის მეხსიერებას კოდებს, შიფრებსა და საზღვარგარეთის მისამართებს, სადაც საჭიროა მიღებული ცნობების გადაგზავნა. ზოგიერთი სხვადასხვა აღნიშვნებს ენდობა. თუკი გამოძიებელმა იცის, რომელი მონაცემი სჭირდება, იგი აქეთ-იქით კი არ მიაწყდება, არამედ გარკვეულ ადგილას დაიწყებს ძებნას. სწორედ ამაზე მოგვიხსობს შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ შექნება საუბარი.


ძველი ეშმაკური ფანდებისა და ხრიკების ცოდნა. არსებობს საიდუმლო წერისა და მნიშვნელოვანი საშიშლების დამალვის კარგად ცნობილი ხერხები. გერმანიის დაზვერვის ერთერთი არსებითი ნაკლი ორივე მსოფლიო ომის დროს იყო შაბლონური წესების მკაცრი დაცვა და ინიციატივის გამოვლენის შიში. თუ რომელიმე საიდუმლო კოდი ცნობილი ხდებოდა საზღვარგარეთის დაზვერვისათვის მას მაშინვე ცვლიდნენ ახლით. მაგრამ გერმანელები მათ ნაცვლებად კვლავ იყენებდნენ იმ კოდებს, რომლებიც გამოფრული იყო მრავალი წლის წინ და ამგვარად ყოველგვარი საჭიროების გარეშე საფრთხეში აგდებდნენ თავიანთ აგენტებს. მე

აქ მოვიყვან ორ მაგალითს, ერთს — მეორე მსოფლიო ომიდან, მეორეს — პირველიდან.

პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა საბრძოლო მოქმედება კონტინენტის ევროპულ ტერიტორიაზე წარმოებდა, ჯამუშისათვის უფრო ადვილი იყო სადაზვერვო ცნობების შეკრება, ვიდრე მათი გადაცემა. მეორე მსოფლიო ომის დროს პირიქით, მოხდა, გართულდა ინფორმაციების მოპოვება, მათი გადაცემა კი არ წარმოადგენდა პრობლემას ორი გამოგონების წყალობით. ეს იყო უმავთულო ტელეგრაფი და მიკროფოტოგრაფია. ძლიერ რადიოგადამცემს დგამდნენ რომელიმე მიყრუებულ ადგილას. გადაცემის შემდეგ რადიოგადამცემს შლიდნენ და გადაჰქონდათ ამ ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ვიდრე კონტრდაზვერვა მოასწრებდა რადიოსადგურის ზუსტი ადგილის დადგენას. კიდევ უფრო სრულყოფილი გამოგონებაა მიკროკამერა. მე მინახავს ავტოკალმის სიგარძისა და მასზე სამჯერ უფრო თხელი გერმანული ფოტოაპარატი. იგი ადილდა თავსდება როგორც კოსტუმის, ასევე ქილტის პატარა ჯიბეშიც. ეს აპარატი გამოიყენებოდა დოკუმენტების გადასაღებად. ნეგატივის დაპატარავება შეიძლებოდა ქინძისთავის ზომამდე. ჯამუშო ნეგატივს ათავსებდა კონვერტზე, საფოსტო მარკის ქვეშ და წერილს საზღვარგარეთ აგზავნიდა. წერილის შინაარსი, რა თქმა უნდა, სრულიად უმნიშვნელო იყო. ომის დროს ცენზურა ჩვეულებრივ მეტრომეტად გადატვირთულია მუშაობით და მარკას ათავს აძრობდა საქმიანი წერილის კონვერტებს, რომლებიც, ვთქვათ, ლისაბონში იგზავნებოდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც გერმანელ აგენტები არ წყვეტდნენ ექვმიტანილის მისამართზე წერილების გაგზავნას. ასეთი კორესპოდენცია განსაკუთრებული ყურადღებით ისინჯებოდა. ბოლოს და ბოლოს ეს ეშმაკური ხერხი გამომყდარებულ იქნა.

მეორე მაგალითი ეხება პირველი მსოფლიო ომის პერიოდს.

...ეს იყო 1916 წელს, საფრანგეთის ფრონტზე, მდინარე სომეზე. ისე მოხდა, რომ სოფლის ერთი ნახევარი ნეიტრალურ ზონაში მოექცა, მეორე კი — საფრანგეთის ჯარების დაცვის ხაზის გადაღმა. ბრძოლები მიყუჩდა და სოფლის მცხოვრებლებმაც ფლეგმატურად, როგორც მათ საერთოდ სჩვევიათ, დაიწყეს უხეშად შეწყვეტილი მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა. გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფლის ნაწილში ერთი გლეხი ქალი ცხოვრობდა. ის ყოველდღე ნახულობდა თავის ძმას, რომლის სახელიც საფრანგეთის ჯარების ხაზის გადაღმა მდებარეობდა. როდესაც ის ფრანგთა განლაგებაში ჩოხდებოდა ხოლმე, მას დაღვნილი



წესის შიხედვით დაკითხავდა კონტრდაზვერვის ოფიცერი. სოფლის ერთი ზონიდან მეორეში გადასული სხვა მცხოვრებთა მსგავსად, არც ეს ქალი იწვევდა ეჭვს. ერთხელ იგი ძმისჯან ბრუნდებოდა პატარა კალათით, რომელშიც მისი ეახში — მოხარული კვერცხები, პური და კარაქი ეწყო. კონტრდაზვერვის ოფიცერი კარგად იცნობდა გლეხის ქალს და მეგობრულად მიესალმა მას. ჩვეულებრივი კითხვები მისცა და თან მექანიკურად გასინჯა რა ეწყო კალათში. შემდეგ ერთი კვერცხი აიღო და დაიწყო თამაში — ააგებდა მას პაერში და იჭერდა. უცებ მან მოიხედა და გაოცდა, რადგან ქალის გაწითლებულ სახეზე შიში შენიშნა. ოფიცერმა თამაში განაგრძო და მალე დარწმუნდა, რომ რაც უფრო მალა აგებდა კვერცხს, მით უფრო ღელავდა გლეხის ქალი. მაშინ მან კვერცხი ყურადღებით გასინჯა, მაგრამ ნაჭუჭვე ვერ ნახა კვრავითარი ნიშანი ან ლაქა — კვერცხი ჩვეულებრივი იყო. ოფიცერმა ეჭვი აიღო. მან კვერცხი კალათის კიდეზე გატეხა და ნაჭუჭის მოშორება დაიწყო. ცილაზე მიკროსკოპული სიტყვები და ყავისფერი ნიშნები დაინახა. გადიდებისა და გაშიფვრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო საფრანგეთის დაცვის გეგმა დივიზიებისა და ბრიგადების აღნიშვნით. გლეხის ქალი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგა და როგორც ჯამუში სიკვდილით დაისჯა. იმ შემთხვევაში ვერმანელებმა გამოიყენეს ძმრის მკავეის თვისება. თუ ამ სიმკავეით რამეს დაწეროთ კვირცხის ნაჭუჭზე, ვააზრობთ, ხოლო შემდეგ კვერცხს მოხარავთ, სიმკავე გაივლის ნაჭუჭში და დაილექება ცილაზე. ამის შემდეგ ძლიერი მიკროსკოპითაც კი ვერ აღმოაჩნთ ნაჭუჭზე რაიმე კვალს. მხოლოდ შემთხვევა დაეხმარა საფრანგეთის კონტრდაზვერვას, გაეხსნა ეს ეშმაკური ხრიკი. შემთხვევითობა ბლუს კონტრდაზვერვის ოფიცრის მიერ აღამიანის ფსიქოლოგიის ცოდნა.

ხერხს მიუხვდნენ და გერმანელებსაც თითქოს დაიწყებდათაღის უნდა მიეცათ ეს გონებამახვილური ფანდი, მაგრამ შაბლონმა დაძლია შიში და გერმანელები წარუმატებლობის მიუხედავად კიდევ დიდხანს სარგებლობდნენ ამ ხერხით.

მე ვიცი სამი შემთხვევა, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ჯამუშებმა მიმართეს ამ მეთოდს, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. გერმანიის დაზვერვის უფროსების ერთგულებამ შაბლონისადმი ბევრი აგენტის სიცოცხლე შეიწირა.

ასეთია ის ათი თვისება, რომლებიც ჯამუშებზე მონადირეს უნდა გააჩნდეს. როგორც ვხედავთ, მხოლოდ იწითუზიანში საკმარისი არ არის. ახლა კი კონტრდაზვერვაში მუშაობაზე

მეოცნებე მკითხველმა თვით განსაზღვრის საკუთარი ღირსებები. მე კი მსურს გავაფრთხილო, რომ მას სულ ცოტა ზუთი წლის დაძაბული მუშაობა დასჭირდება, კარგი მწვერავი რომ გახდეს.

ახლა გადავდივარ ერთ ყველაზე საკამათო საკითხზე — ქალის როლზე კონტრდაზვერვის მუშაობაში. ჩემი შეხედულებით (ამას ადასტურებს ოცდაათი წლის მუშაობის გამოცდილება), ქალები ცუდი ჯამუშები არიან და ასევე ცუდად ნადირობენ ჯამუშებზე. მე არ მძულს ქალები, მაგრამ „ფროილიან ღოქტორის“ კარდა არავინ მეტულება ქალი მწვერავი ან ქალი — მონადირე, რომლის შედარება შეიძლებოდა მწვერავ მამაკაცთან. მარტა ხარიმ, რა თქმა უნდა, დიდი სახელი მოიხვეჭა საზოგადოების თვალში. ის იყო მომხიბლავი ჯამუში ქალის განსახიერება, მაგრამ იგი უფუნური ექსპანსიური არსება ვახლდათ. იგი რომ სიკვდილით არ დაესჯათ, სახელს ვერ გაითქვამდა.

წარსული ომის დროს როგორღაც მომიხდა მონაწილეობა მიმელო იმ მწვერავების მოშაღებაში, რომელთა ვადასხმაც გათვალისწინებული იყო ევროპის ოკუპირებული სახელმწიფოების ტერიტორიებზე სამშობლოდან გამოქცეული რამდენიმე ჰოლნადიელი ქალი ჩემთან მოვიდა თხოვნით, რომ საშუალება მიმეცა მონაწილეობა მიეღოთ ამ საშიში დავალების შესრულებაში. ეჭვს არ იწვევდა, რომ მათ ამოძრავებდათ წმინდა პატრიოტიული გომონებები. ყოველ მათგანს ვეკითხებოდა: „რას შესწირავთ ამ საქმეს?“ და თითოეული მათგანი უბრალოდ, მოჩვენებითი გმირობის გარეშე მპასუხობდა: „სიოცხლს“. ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენ აგენტებისაგან მოვითხოვთ. მაგრამ მზად ხართ თუ არა, ამ საქმეს შესწიროთ თქვენი პატიოსნება?“ — ასეთი კითხვის დასმას გვაძულებდა ჩვენი სამუშაოს ხასიათი.

ქალების უმრავლესობას ახასიათებს სამი ნიშანი, რაც მათ ხელს უშლით იმუშაონ კონტრდაზვერვაში. ჯერ ერთი მათ არა აქვთ აუცილებელი ტექნიკური ცოდნა. მაგალითად, თუ საჭიროა მტრის მიერ შექმნილი საიდუმლო ძრავის მოწყობილობის ვაგება, გარაყის მექანიკოსს უფრო მეტი წარმატების შანსები აქვს, ვიდრე თვით ყველაზე განათლებულ ქალს. მექანიკოსს ადრინდელი სამუშაოს მიჩვევით იცნობს ტექნიკის ზოგიერთ წესს, ქალი კი იძულებულია ყველაფერი თავიდან დაიწყოს რაც შეეხება სამხედრო საიდუმლოებებს, მხოლოდ ზოგიერთი ქალი თუ არჩევს სამხედრო წოდებებს და იცის განსხვავება ქვეგანაყოფებსა, ნაწილებსა და სხვა შენაერთებს შორის. ასეთი ცოდნის შეძენა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო.



მეორე, უჩვეულო მდგომარეობაში ქალები უფრო შესამჩნევნი არიან, ვიდრე მამაკაცები. მუშის ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში დადიოდეს სამხედრო ობჟექტთან და არ გამოიწვიოს ეჭვი, ქალი კი, მით უმეტეს ახალგაზრდა და ლამაზი, ადვილად მიიპყრობს ყურადღებას. უბრალოდ ჩაცმულ მამაკაცს შეუძლია საწვლავი პორტის ბარში შეუღმჩნევლად შევიდეს, ქალი კი ამას ვერ გააკეთებს. ის ქალია და სწორედ ეს ბოჭავს, მამასადამე, აჭკვეითებს როგორც აგენტის სრულფასოვნობას.

მესამე, — ეს მთავარია — ქალებს უნარი არ შესწევთ მამაკაცებივით დაიოკონ თავიანთი გრძნობები, ალბათ ამის გამო ქალების რისხვას დაეიმსახურებ, მაგრამ ეს გამოცდილება თაა დამტკიცებული. მე ვიცი ორი თუ სამი შემთხვევა, როდესაც ქალს — სულ ერთია გერმანელს, ინგლისელს თუ ფრანგს — თავი უნდა შეეყვარებინა, მაგალითად, მოწინააღმდეგის უფროსი ოფიცრისათვის. ამ დავალებას იგი წარმატებით ართმევდა თავს, მაგრამ ბოლოს თვითონაც თავისი მსხვერპლის საყვარულის ბაღეში ებმებოდა და ამით ყველაფერს აფუჭებდა. ძნელი არ არის იმის მიხედვრა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას. იგი შეიძლება გადავიდეს მოწინააღმდეგის მხარეს და გასცეს თუ კი რამ საიდუმლოება იცის თავისი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურის შესახებ. მე ვიცი, რომ ჯაშუში მამაკაციც გამხდარან მოლაღატენი, მაგრამ სრულიად სხვა მიზეზებით.

ერთადერთი, რაც ჯაშუშ ქალებს შეუძლიათ, ეს არის სადაზვერვო მონაცემების შეკრება. ჩვეულებრივ კი ეს ასე კეთდება. ქალი მოინადირებს მოწინააღმდეგის რომელიმე ოფიცრის ან ჩინოვნიკის გულს, ზოგ რამეს გაიგებს, შემდეგ კი შანტაჟს უწყობს და ემუქრება, რომ ყველაფერს უფროსს აცნობებს ან, უფრო უარესი, მეუღლეს. მუქარა ჭრის და ჯაშუში ქალი ამომწურავ სადაზვერვო ცნობებს იღებს. აი რატომ ვეკითხებოდი ჰოლანდიელ ქალებს, რომელთაც სურდათ საიდუმლო აგენტები გამხდარიყვნენ, მზად იყვნენ თუ არა მსხვერპლად შეეწირათ თავიანთი პატიოსნება. წესიერი ქალი ამას ვერ გააკეთებს. ქალს, რომელსაც უნარი შესწევს საჭირო ცნობების მისაღებად ღამე უცნობ, ხშირად ფიზიკურად არასასიამოვნო მამაკაცთან გაატაროს, მეჩუგის სული უნდა ჰქონდეს. მეძაგები კი, როგორც ცნობილია, არასაიმედონი არიან. ასე რომ, არ შემიძლია მაღალი შეფასება მივცე ჯაშუშ ქალებს. ისინი ასეთივე ცუდი არიან, როგორც ჯაშუშებზე მონადირენი. ბევრი მამაკაცი, რომელსაც

შინ გვიან დაბრუნებულს ცოლის შეყვანისა ეშინიათ, შემომდეგება, თუმცა ოცდაათი წლის მუშაობის პრაქტიკის მანძილზე, როცა საქმე მქონდა ევროპისა და ამერიკის კონტრდაზვერვისა და დაზვერვის ნიჭიერ მსხვერვებთან, არ შემხვედრია ქალი „ფრეილინ ტროის“ ვარდა, რომელსაც თავი გამოეჩინოს, როგორც კარგა ჯაშუშს, ან ჯაშუშებზე მონადირეს.

თ ა ვ ი ი I I

დაკითხვის მეთოდები

ექვმიტანილისაგან ჩვენების ჩამორთმევის რამდენიმე საშუალება არსებობს. ვიდრე განვიხილავდეთ იმ მეთოდებს, რომლებითაც მე ვსარგებლობდი, მინდა მოკლედ მოგითხროთ ინგლისსა და სხვა ქვეყნებში მიღებულ მეთოდებზე.

ფაშისტურ გერმანიაში ფართოდ იყენებდენ წამებას. იქ დაკითხვის მეთოდები გამოძიებლის გამომგონებლობაზე იყო დამოკიდებული. მიმართავდენ როგორც მართახით ცემას, ასევე ხელის დიდი თირის გასრესას სპეციალური ხელსაწყოთი, ფრჩხილებს დაკრებას, კიდურების დამტვრევას და თავის ეპექტყვას ლითონის რკალით. ექვქტურ საშუალებად ითვლებოდა კბილების ბორმანქანით ვაბურღვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბორი მგრძნობიარე ნერვს ეხებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც სხვადასხვა მეთოდს მიმართავდენ დაწყებული „მესამე ხარისხის“ დაკითხვიდან, რომლის დროსაც ექვმიტანლის რამდენიმე საათის განმავლობაში ძლიერი ელექტრული ლამპების სხივებ ქვეშ დაკითხვან, დამთავრებული ალბათ, საიმედო მეცნიერული საშუალებების: „სიმართლის ნარკოტიკის“ და „სიცრუის აღმომჩენის“ გამოყენებით. მე ხაზს ვუსვამ: ალბათ საიმედოს იმიტომ, რომ არ მჯერა ამ საშუალებებისა. „სიმართლის ნარკოტიკი“ ანუ პენტანოლი ადამიანის გონებას ბურუსში ხვევს და ის უნებურად იწყებს სიმართლის ლაპარაკს. ასეთ დასკვნას აკეთებენ ამ მეთოდის მომხრენი. რამდენიმე ცდის შემდეგ დავადგინე, რომ ადამიანი უჩვევა ნარკოტიკებს და ისინი ვეღარ ახდენენ მასზე ვერავითარ მოქმედებას. „სიცრუის აღმომჩენი“ ვონებაშახვილური მოწყობილობაა. იგი მოწოდებულია აჩვენოს, თუ როგორ იცვლება ადამიანის მდომარეობა სხვადასხვა გრძნობის გავლენით. „სიცრუის აღმომჩენის“ მომხრენი უფრო ღრმად იჭრებიან. ისინი აცხადებენ, რომ ამ მოწყობილობის დახმარებით შეიძლება განისაზღვროს ტყუილს, თუ

საქართველო
საბჭოთაო

მართალს ამბობს ექვმიტანილა. ასეთი შესაძლებლობა დასაშვებია, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს „აღმომჩენი“ ასი პროცენტით ეფექტური იყოს. პირადი გამოცდილებით თავრწმუნდი, რომ გულგრილ ადამიანს უნარი შესწევს მოატყუოს „სიცრუის აღმომჩენი“.

ფაზისტურ გერმანიასა და შეერთებულ შტატებში გამოყენებული „მესამე ხარისხის“ დაკითხვის მეთოდების უმეტეს შემთხვევაში ითვალისწინებს ფიზიკურ წამებას. რა თქმა უნდა, ფიზიკურ წამებას შეუძლია გატეხოს მტკიცე ნებისყოფისა და ფიზიკურად ძლიერი ადამიანი. მე ვიცნობდი საოცარი ნებისყოფის მამაკაცს, რომელსაც გესტაპოელებმა ყველა ფრჩხილი დაადვერეს, ფეხი მოსტეხეს, მაგრამ მას კონტიკ ვერ დაადვერდინეს. მან შემდეგ აღიარა, რომ მოთმინება სწორედ მაშინ დაელოა, როცა მტანჯველებმა მისი წამება შეწყვიტეს, და თუ გაავარძლებდნენ მის ტანჯვას, ვეღარ გაუძლებდა და აუცილებლად გამოტყდებოდა. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია წამების ატანა წყლის გამოყენებით. წყლის წჭეტები რამოდენიმე სეკუნდის ინტერვალით ადამიანს თავზე ეცემა. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ადამიანი რამდენიმე წუთში ალაპარაკდება, ხოლო ერთი საათის შემდეგ შეიშლება. მაგრამ ფიზიკურ წამებას აქვს სერიოზული ნაკლოვანება. მათი ზემოქმედების შედეგად ძალიან ხშირად უღანაშაულო აღიარებს ისეთ დანაშაულს, რომელიც არასოდეს ჩაუდენია. ამას იგი იმიტომ აკეთებს, რომ შეისვენოს. მხეტურ წამებას უღანაშაულო ადამიანი შეუძლია აიძულოს „აღიაროს“ ისეთი დანაშაული, რისთვისაც სიკვდილით დასჯა ელის. ასეთ შემთხვევაში მას მიანიჩა, რომ სწრაფი სიკვდილი უფრო იოლია, ვიდრე არაადამიანური წამების ატანა. ფიზიკური წამება, ბოლოს და ბოლოს, ყველას აიძულებს ალაპარაკდეს, მაგრამ მიცემული ჩვენება შეიძლება არ შეეხებამებოდეს სიმართლეს.

ომის დროს დავალების შესასრულებლად გავზავნილ აგენტებს აძლევენ სამი სახის ტაბლეტს, რომლებსაც ისინი ყოველთვის თან ატარებენ. პირველია — „სანოკუთო ტაბლეტები“. ამ ტაბლეტის გადაყლაპვის შემდეგ ადამიანი ოცდაათი საათის განმავლობაში კარგავს გონებას. მეორეა — „ბენზიდონის ტაბლეტები“. ეს პრეპარატი დაქანცულ ადამიანს დროებით ინერგიულს ხდის. მესამეა — ციანმჟავას მარილის ან რომელიმე სწრაფად მოქმედი საწამლავეთის შემდგარი „თვითმკვლელობის ტაბლეტები“. ის გათვალისწინებულია იმ აგენტებისათვის, რომლებიც გრძნობენ დაბა-

ტიმრების მოახლოებას და ისიც იცინა, რომ ვერ გაუძლებენ მოსალოდნელ წამებას. ჭკმ-მარიტად მამაცი ადამიანი უნდა იყო, რომ შეგნებულად თან ატარებდეს საკუთარ სიკვდილს.

აი ყველაფერი ის, რაც მინდოდა მეიქვა ფიზიკურ წამებაზე. ასეთი მეთოდები, როგორც წესი, ეფექტურია, მაგრამ მეტისმეტად შემზარავი. ვარაუდობსა იმს გამოძიებლის სესუსტეს ადასტურებს, რაკი რწმუნდება რომ ექვმიტანილიმასზე ჭკვიანი და ძნელია აჯობოს დაკითხვის საშუალებით.

მეორე ბიურო (Deuxieme Bureau). ჩვენს სამხედრო კონტრდაზვერვის (MI-5) ფრანგული ექვივალენტია, სადაც მე სამსახურებრივი კარიერა დავიწყე და გარკვეული გამოცდილებაც შევიძინე, იყენებდა ძალზე ნაგონებაამხვილურ მეთოდს, რაც ჩვეულებრივ კარგ შედეგებს იძლეოდა. ერთ ექვმიტანილზე მიმაგრებული იყო ორი გამოძიებელი, ერთი უხეშის როლს თამაშობდა — ყვიროდა, ემუქრებოდა, მაგიდას მუშტებს ურტყამდა. მეორე კი მშვიდი, სიმპატიური ადამიანი იყო, თითქოს იცავდა ექვმიტანილს და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეოკებია გამძვინვარებული კოლეგა. დაამატოდა უმადლეს წერტილს აღწევს. და აი, „უხეშს“ ყვირილისა, ლანძღვისა და საშინელი მუქარის ღრეს მოულოდნელად სადღაც იძახებენ. დაკითხვას განაგრძობს „სიმპატიური“ გამოძიებელი. ის შეგობრული ტონით ამშვიდებს ექვმიტანილს და სიგარეტსაც სთავაზობს. მღგომარეობის მკვეთრ შეცვლას, საზოგადოთ, კარგი შედეგები მოსდევს, — ექვმიტანილმა ყველაფერი აღიარა.

სკოტლანდ იარდი! ჩვეულებრივ სარგებლობს რბილი მეთოდებით, რაც იმაში ვლინდება, რომ გამოძიებელი ვითომდა თანაუგრძნობს ექვმიტანილს. სკოტლანდ იარდის დეტექტივები თავზიანად იქცევიან, მეგობრულად არიან ვანწყობილი და საკმაოდ სწრაფად აღწევენ საჭირო აღიარებას. ისინი არაპირდაპირი გზით ოსტატურად შთაავსებენ ექვმიტანილს, რომ შეცდომა ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელია. მე, როგორც პოლანდიელმა, რომელმაც მრავალი წელი გავატარე ინგლისში, შემიძლია უკუვავადო ინგლისელებისათვის დამახასიათებელი მოჭარბებული მოკრძალება და ვთქვა, რომ ეს რბილი მეთოდები ნაკარნახევია მხოლოდ იმ სურვილით. რათა ექვმიტანილს სიცოცხლის გადარჩენის უქანასენელი შანსი მისცენ.

სასამართლოს სხვა სისტემებისაგან განსხვავ-



გებით, ინგლისის სასამართლოში ბრალდებულს აქვს ერთი ძალზე ძვირფასი უპირატესობა — მისი დანაშაული უნდა დამტკიცოს ბრალდებამ, თანაც ეს დამახასიათებელია ყველა სტადიისათვის, დაპატიმრებიდან სასამართლომდე. ინგლისში ავრძალულია ტყვეებსა და ექვემდინარეებზე ფიზიკური ძალადატანების გაგამოყენება და ცნობების მიღება მუქარის გზით. ბევრ მკითხველს ალბათ ახსოვს შემთხვევა, რომელიც გადახდა ერთ პოლოცონიკს სამხრეთ ინგლისის რომელიღაც ქალაქში. ფაშისტმა მფრინავმა ქალაქს ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა, იგი ჩამოაგდეს. დაკითხვაზე მას თავი გამომწვევად ეჭირა. მფრინავის საქციელით უკიდურესად აღშფოთებულმა პოლოცონიკმა, რომელსაც ისიც კარგად აღსოგდა თუ როგორ დაუშინა სულ ახალახან მან ცეცხლი უმწეო ქალებსა და აბეშებებს, ხელჯოხი დაარტყა მფრინავს. პოლოცონიკი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. კაცი იფიქრებს ეს მკაცრი სასჯელით, მაგრამ ამის მიღმა იფარება ინგლისის სასამართლო წარმოების მნიშვნელოვანი პრინციპი.

ამაზე უფრო საინტერესო ამბავი შემემთხვა 1941 წელს. მე დაკითხვაზე მყავდა ექვმიტანილი (როგორც შემდეგ გამოირკვა ის ჯამუში იყო) და აღშფოთების მომენტში მას მატყუარა ვუწოდე. ამ ამბავმა უფროსების ყურამდე მიადწია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა ჩინოვნიკმა გამომიძახა და ლექცია წამიკითხა იმ საზარელო შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც თურქე მე ექვმიტანილს მივაყენე. საქმე იმაშია, რომ დაკითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში მიმდინარეობდა, ამ სამინისტროში კი მკაცრად იცავდნენ წესს — არავის ეწოდებინა ექვმიტანილისათვის მატყუარა. უკიდურეს შემთხვევაში გამომძიებელს შეუძლია ეს აზრი სხვა სიტყვებით გამოხატოს, მაგალითად: „ვფიქრობ, თქვენი პასუხი ჩემს უკანასკნელ კითხვაზე ზოგიერთ უზუსტობას შეიცავს“. მაგრამ მას არა აქვს უფლება „საცოდავ მსხვერპლს“ შეურაცხყოფა მიავუნოს და მის ნერვებზე ითამაშოს. იმ დროს მე ეს კიდევაც მართობდა და თანაც მამბრახებდა, რადგან ჩემი „მსხვერპლი“ უსინდისოდ ტყუოდა და ამავე დროს უკიდურესად საზიზღარი პიროვნება ვახლდათ. ახლა ეს წესი სამართლიანად მიმაჩნია. თუმცა ვთვლი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვებაა საჭირო.

პოლანდიის გათავისუფლების შემდეგ ახალგაზრდა თანამემამულეებს კონტრდაწვევაში მსამუშაოდ ვამზადებდი. ლექციების ერთ-ერთი სერიის, კერძოდ, დაკითხვის მეთოდების თე-

ზისები მოთავსებულია ამ თავის ბოლოს, ამიტომ ახლა მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდები.

ჯვარედინი დაკითხვის დროს მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა — რაც შეიძლება სწრაფად მომედრიკა ექვმიტანილის ხეზისყოფა. ეს არც თუ ძნელი საქმეა. ჯვარედინი დაკითხვა გონებათა კიდილია, სადაც ორივე მხარე ცდილობს ინიციატივის ხელში ჩაგდებას და მის ბოლომდე შენარჩუნებას. ბუნებრივია უპირატესობა თავდაპირველად გამომძიებელის მხარეზეა. მას წარუმატებლობის გარდა არაფრისა არ ეშინია, თანაც ამ შედეგს მისთვის საბედისწერო მნიშვნელობა არა აქვს. მას შეუძლია დაკითხვა შეწყვიტოს კიდევ. მაგრამ თუ გამომძიებელი თავის უპირატესობას ვერ გამოიყენებს, ე. ი. ვერ შეძლებს ექვმიტანილისაგან საჭირო ცნობების მიღებას, იგი მათ კარგავს. თუ გამომძიებელი თავის ქცევით ექვმიტანილს წონასწორობას დააკარგვინებს ან კითხვებით შეაშინებს, მას წარმატების მასალებად გრძელი გზის გავლა მოუხდება. უშაბდაში ექვმიტანილის გრძნობებს რომ დაეყრდნო, ფსიქოლოგი უნდა იყო.

კონტრდაწვევის ოფიცრები არასოდეს მმართავს ფიზიკურ წამებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ცნობების მისაღებად ცდილობენ ექვმიტანილისაგან სხვადასხვა უხერხულობა შეექმნათ. ასე მაგალითად, ისინი ექვმიტანილს ხმელ სკამზე სვამდნენ ან აიძულებდნენ მთელი დაკითხვის დროს „სმენაზე“ მდგარიყვნენ. სამხედრო მწვერავების ერთი ფაზა მასხუნდება. დაკითხვის წინ მტრის უფროს ოფიცრებს აიძულებდნენ ბევრი ჩაი და ყავა დაელიათ, ხოლო შემდეგ მათ იქამდე ჰკითხავდნენ, ვიდრე ბუნებრივი მოთხოვნილებები არ აიძულებდათ ოფიცრებს ეცნობებინათ გამომძიებლისათვის მნიშვნელოვანი ცნობები. პირადათ მე ამ „მეთოდებს“ წინააღმდეგი ვარ. მართალია, ისენი არ ეკუთვნიან ფიზიკური წამების კატეგორიას, მაგრამ ხშირად უანლოვლებიან მათ.

შეიძლება ეს დონეისობაა მაგრამ მე ექვმიტანილს ისე ვესაუბრები, როგორც თანასწორ ადამიანს. იგი ჯდება მოხერხებულ სავარძელში, გადაწვება ან ზის თავისუფლად. როგორც სურს. ექვმიტანილი რომ არ დიქანცოს დაკითხვა ხანგრძლივი არ უნდა იყოს. ის უნდა გრძელდებოდეს დილის 9 საათიდან საღამოს ექვს საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. მე მირჩევნია დაკითხვა პირადად ჩავატარო და შემცვლელზე არ ვიყო დამოკიდებული. ჯვარედინი დაკითხვის დროს არაფერს ვინიშნავ. ვცდილობ არ შეექმნა დამატული ატმოსფერო, თუ, რა თქმა უნდა არა ვგრძნობ, რომ ექვი-



ტანისზე სიმკაცრე უკეთესად მოქმედებს. ვცდილობ ვიმოქმედო ექვმიტანილის გრძნაზე-ზე და ამ გზით ინიციატივა ხელში ჩაიკიდო. თუ ნაკადი ხერხებით ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემს წინააღმდეგობაში, ვაიძულებ მას რამდენჯერმე განმეოროს თავიდან ამბავი, რომელიც დამაკარებლად უღერს, ისე რომ არ გამოტოვოს არც ერთი დეტალი. ეს შეიძლება გაგრძელდეს მთელი კვირა და იქცეს ორივე მხარის მოთმინებისა და მეხსიერების სერიოზულ გამოცდათ. ადრე თუ გვიან ექვმიტანილი რომელიმე უმნიშვნელო დეტალზე წაიბოროტებებს, თუ იგი ის პიროვნება არ არის, ვინც სურს წარმოგვიდგინოს, და მაშინ მისი გამომტყველება ადვილია.

ახლა მოკლედ ავღწერ თუ როგორ მიმდინარეობდა დავითბები მეორე მსოფლიო ომის დროს. მაშინდელი პირობები ვაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე პირველი მსოფლიო ომისა. პირველ მსოფლიო ომში ბენდიერი შემთხვევის, აგრეთვე ინგლისის კონტრდაზვერვის მახვილი აღდგა გამო, ინგლისში შემოგზავნილი ყველა გერმანელი ჯანმრთელობის ოცდა ოთხი სათის განმავლობაში ომის დაწყებამდე. პირველ გერმანელ ჯანმრთელობის კარლ ლოდის, რომელიც ომის დაწყებისთანავე უნდა ჩამოსულიყო ინგლისში, სკოტლანდ იარდის აგენტები უკვე ელოდნენ და მისი დაკავება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ეს შემთხვევა ფართოდ არის ცნობილი და ამიტომ მასზე მხოლოდ ზოგადად მოგიხსენებ.

1911 წელს, გერმანიის იმპერატორის ლონდონში ჩასვლის დროს, გერმანიის სამხედრო ატაშეს ჩვეულებად ექცა კალედონის როუდის ქუჩაზე საპარაკმახეროში სიარული. ეს საპარაკმახერო პრუსიელი უფროსი ოფიცრებისათვის შეუფერებელ ადგილს წარმოადგენდა, ამიტომ ატაშეს საქციელმა კონტრდაზვერვას ეჭვი აღუძრა. საპარაკმახეროზე მეთვალყურეობა დაწესდა, ხოლო ოფიცრის მთელი კორესპონდენცია გულდსმით მოქმედებდა. მთელი კონტრდაზვერვა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საპარაკმახერო ინგლისში მყოფი გერმანელი ჯანმრთელობის „საფოსტო ყუთი“ იყო. ხელისუფლებამ არ ცნო მიზანშეწონილად გადამწვეტი ზომები მიეღო. საპარაკმახეროს მხოლოდ უთვალთვალდნენ და აღრიცხავდნენ იქ მომხდარ ყველა შემთხვევას. ომის გამოცხადებისთანავე მათ ერთი დაცვით მოსპეს ჯანმრთელობის სისტემა, რომლის შექმნას გერმანელებმა სამ წელზე მეტი მონაწილეობა. ეს დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ

გერმანიის დაზვერვამ ომის მომდევნო წლებშიც ვერ შეძლო წელში გამართვა. ყველაფერი კი იმის გამო მოხდა, რომ მაღალი ჩინის გერმანელმა ოფიცერმა არა არისტოკრატიული საპარაკმახერო ამოიჩნია.

მეორე მსოფლიო ომმა გაართულა ინგლისის კონტრდაზვერვის სამუშაო პირობები. ჩვეულებრივ ლონდონსა და ინგლისის სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრობს მრავალი უცხოელი, რომელსაც შეუძლია მეგობრულ დამოკიდებულებაში იყოს ინგლისის მოწინააღმდეგესთან. წარსული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ამ კატეგორიის მცხოვრებთა რიცხვი იზრდებოდა ლტოლვილთა გერმანელთა და იტალიელთა ხარჯზე. ბევრი მათგანი ებრაძოდა პიტლერისა და მუსოლინის საქმეებზე რეჟიმს, შემდეგ კი რუბრესიებისაგან თავის დაღწევის მიზნით სხვა ქვეყნებში გაიქცნენ. ნაცისტები და ფაშისტები ამხელსაყრელ მდგომარეობას იყენებდნენ და ლტოლვილთა სახით ჯანმრთელობის აგზავნიდნენ ამ ქვეყნებში. ზოგიერთი ინგლისელი თანაუგრძობდა ნაცისტებს და სწამდა, რომ თუ ინგლისი პიტლერის მოკავშირე გახდებოდა იგი თავს დააღწევდა ომს. მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს საჭირო გახდა წლების მანძილზე ინგლისში ჩასულ ათასობით გერმანელი ლტოლვილის „გაფილტვრა“. ეს იყო დიდი და რთული სამუშაო. დიუნკერკის ამბების რამდენიმე თვის შემდეგ ინგლისში 150.000 ლტოლვილი ჩამოვიდა დანიიდან, პოლანდიიდან, ნორვეგიიდან, საფრანგეთიდან, ასევე ჩეხოსლოვაკიიდან და პოლონეთიდანაც კი. ლტოლვილთა პრობლემა ძალზე რთული იყო, ამავე დროს აუცილებლობა მოითხოვდა ინგლისის მოეხდინა საექსპედიციო ჯარების ევაკუაცია საფრანგეთიდან. გადასაჭრელი იყო ბრიტანეთის უნძებლებზე გერმანელთა ჯარების შემოჭრის თავიდან აცილების საკითხიც. დაიწყო გერმანელთა ავიაციის თავდასხმები, ლტოლვილთა ნაკადი კი მატულობდა, რაც ართულებდა ინგლისის წინაშე მდგომ ამოცანებს. ინგლისელები ახლა იძულებული იყვნენ მოეწყობათ როგორც ლტოლვილები, ისე თავისი უსახლკარო თანამემამულენი.

ლტოლვილთა მისაღებად სასწრაფოდ შეიმუშავეს შემდეგი სისტემა. ლონდონში შეიქმნა ხუთი მისაღები ცენტრი — ფულემ როუდის, ბალგაუს, ბუში პარკის, კრისტალ პელისა და ნორვედის ქუჩებზე. ლონდონის საგრაფო საზღვრის მიერ შექმნილი ეს ცენტრები მუშაობდნენ გამასწორებელი სახლების მსგავსად, მათ ხელმძღვანელობდნენ სპეციალური პირები. მე,



როგორც უშიშროების ოფიცერი, ნორკუდის ცენტრში მიმავლინეს, რადგან მას სხვაზე უკეთ ვიცნობდი. ადრე აქ მოთავსებული იყო ჰოსპიტალი. იგი ორი ორსართულიანი შენობისაგან შედგებოდა და არ ჰქონდა არც საარდადეგან შედგებოდა და არ ჰქონდა არც სარდაფ-რომელიც ჩვენ გვქონდა დაკავებული, სწრაფად აქვს მათუფლბართი. ჩვენ გვიცავდნენ ჯარისკაცები. წესრიგის დამყარება სიბნელესა და უცნობ ადამიანთა ბრბოში ადვილი როლია, მაგრამ ასე თუ ისე ვაღწევდით ამას. ლტოლვილთა აღრიცხვა გვარებისა და ეროვნების მიხედვით სწარმოებდა. ამის შემდეგ მათ აქლევდნენ რამდენიმე ყლუბ ცხელ სასმელს და ცოტაოდენ საჭმელს. მერე კი ჩვენს წინაშე იდგა პრობლემა მათთვის მოკვებენა საბანი და დამის გასათევი ადგილი. ღიღი შრომის შედეგად დამყარებული ამ რაღაც წესრიგის მსგავს მდგომარეობას არღვევდა პანიკა, რომელსაც მორიგი საპაერო თავდასხმა იწვევდა ხოლმე. გეგონებოდათ გერმანელმა ბომბდამშენებმა ნორვუდი და კრისტალ პელისი დასაბომბ ხეივანდ აირჩიესო. ამ ცენტრებიდან ერთ-ერთი მათგანი ყოველი თვედასხმის დროს იღებდა განკუთვნილ წილს.

მე და ცენტრის მუშაეები მთელ დამეა ფეხზე ვატარებდით, გათენების ხანს უკვე თვალები გვეხუტებოდა, მაგრამ სწორედ ახლა იწყებოდა ნამდვილი მუშაობა. ლტოლვილები სანიტარულ დამუშავებას გადაიოდნენ, შემდეგ მათ ექიმი სინჯავდა. ინფექციური სნეულებით — ყვავილი, მუნი და სხვა — დაავადებულ ლტოლვილებს აცალკევებდნენ. ბევ მათგანს მძიმე და ზანგრაძლივი მოგზაურობის შედეგად სამედიცინო დახმარება ჭირდებოდა.

ამის შემდეგ მუშაობას იწყებდა კონტრაზვერვა. საჭირო იყო თითქმის შევიდასამდე ლტოლვილის ნივთების დახარისხება და თითოეული ქადალის ნავლეის, წიგნის ყოველი გვერდის, ტანსაცმლის სარჩელოსა და ნაყურების, ჩემოდნების, ჩანთების გულმოდგინედ გასინჯვა. ეს არ იყო ზერელე, ფორმალური ვასინჯვა, როგორც ამას ადვილი აქვს ხოლმე საბაჟო შემოწმების დროს. ზოგიერთ ლტოლვილს იმის სურვილით, რამეთი მაინც დახმარებოდა ამ ქვეყანას, სადაც თავშესაფარი პოვა, თან ჩამოჰქონდა რუქები, ფოტოები და ნახაზები, რომლებიც შეიცავდნენ ცნობებს გერმანიის საოკუპაციო ძალების შესახებ. საჭირო იყო ყველა ამ საბუთის შესწავლა.

ამ სამუშაოს დამთავრებისთანავე იწყებოდა ზებირი დაკითხვა. ნამდვილი ლტოლვილებიდან აცალკევებდნენ და აკავებდნენ საეჭვო პირებს.

გარე სამყაროდან ლტოლვილთა იზოლაცი-

ის მთელი ეს პროცესი დაახლოებით ერთი კვირა გრძელდებოდა. მათ უფლება არ ჰქონდათ წერილები მიეღოთ და კავშირი დაემყარებინათ გარე სამყაროსთან კონტრაზვერვის ოფიციალური ნებართვის გარეშე. შემდეგ ლტოლვილებს აგზავნიდნენ ჩინოვნიკთან, რომელიც იმიგრაციულ საკითხებს განაგებდა. მხოლოდ დოკუმენტებისა და პირადობის მოწმობის მიუღწეველ შემდეგ ეძლეოდათ მათ ინგლისში „დასახლება“ ოფიციალური უფლება. საეჭვო პირები — მათ შორის ქსირად ხვდებოდა პატიოსანი ხალხიც, რომელნიც ვერ ახერხებდნენ თავიანთი სიმართლის დამტკიცებას დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ. ინგლისში შექმნილი ცენტრალური სარევისტრაციო ბიურო, უნდა ითქვას, საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა. აქ თავს იყრია ყველა ცნობა თითოეულ ლტოლვილზე. ცენტრალური სარევისტრაციო ბიუროს შემწეობით ხშირად შეიძლებოდა ლტოლვილის ნამბობის შემოწმება ან ადრე ჩამოსული ლტოლვილის მოძებნა, რადგან მას შეეძლო სიმართლის თქმა ექვმიტანილ პირთგანაზე.

ამ არასრულყოფილი მეთოდით სარგებლობდნენ 1941 წლის აპრილამდე, როცა მე და ჩემ კოლეგას დავავალეს შეგვექმნა სპეციალური ცენტრი ცნობილი სამეფო ვიქტორიანული პატრიოტულ სკოლის სახელობით (Rogal Victoria Patriotic School). ეს სკოლა კლავამში იყო მოთავსებული.

ლტოლვილთა დროებით ცენტრში მრავალი დღედაღამის დასაბული მუშაობის შედეგად დიდი გამოცდილება მივიღე, რის საფუძველზეც ჩემს კოლეგებთან ერთად შევამუშავე ეფექტური სისტემა. მისი წყალობით ლტოლვილები შემოწმებისას მხოლოდ მცირეოდენ უხერხულობას განიცდიდნენ. ჩვენ კი ამ დროს შეგვეძლო უშიშროების საკითხებზე გვეწმუშავა. ამ პერიოდში ლტოლვილთა ნაკადმა იკლო. გამოძიებულთა რიცხვმა კი შესამჩნევლად მატა. ჩვენც ამის გამო შესაძლებლობა მოგვეცა მეტი ყურადღება მიგვექცია ყოველი ლტოლვილისათვის. ამ დაწყებულუბაში 1941 წლის აპრილიდან 1942 წლის ოქტომბრის ბოლომდე, ვიდრე ჰოლანდიის კონტრაზვერკაში გადაამყვანდნენ, გამოძიებელთა ხელმძღვანელების მოვალეობას ვასრულებდი. ამ დროისათვის გამოცდილებულა რიცხვი ხუთიდან ოცდაათამეტამდე გაიზარდა.

ჩვენი გაძლიერებული მუშაობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, განსაკუთრებით დიუნკერკის ევაკუაციის შემდეგ, რამდენიმე ჯამუშს ნამდვილად შეეძლო ხელიდან დაგვასლტომოდა. მაშინდელი უწესრიგობისა და გამოუცდელ გამოძიებელთა მცირე რიცხვის გამო შეუძლებელი იყო ყველა საეჭვო ლტოლვილის

გამოვლენა. მათი რიცხვი დიდი იყო. შემოწმებისათვის განკუთვნილი დრო კი — ძალზე მცირე. ეს ხელს უშლიდა სასურველი შედეგებს მიღწევას. ლონდონში დიუნკერკის დღეებში მხოლოდ ლტოლვილთა შემოწმებას როდი ვაწარმოებდნენ. საფრანგეთის დაცემის შემდეგ გერმანელები კონტროლს უწყვედნენ დასავლეთ ევროპის მთელ სანაპიროს პორტუგალიის გარდა. ლისაბონი იყო ერთადერთი პორტი, საიდანაც ოფიციალურად შეიძლებოდა გამგზავრებულიყავით ინგლისში. ლისაბონიდან ლივერპულსა და გლავზოში რეგულარულად ჩამოდიოდნენ გემები. პიდრობლანები კვირაში ორჯერ ეშვებოდნენ პულში ბორნემუტის მახლობლად, თვითმფრინავები კი, რომელთაც აეროდრომზე პქონდათ ბაზა — ჟიეტორჩში. ლონდონში მუშაობის გარდა მე მევალებოდა გამოძიებლების ჯგუფთან ერთად წვაესულიყავი ზემოხსენებულ ოთხ პუნქტში ყველა ჩამოსულის, როგორც ინგლისელების ისე უცხოელების შესამოწმებლად. ამ მგზავრობას დიდი დრო სჭირდებოდა. მეგონი კონტრდაზვერვის აგენტთა შორის მხოლოდ მე დავრჩი ამ სამუშაოზე, სანამ კლაფამის სკოლაში გადავიღოდი, სადაც შემოწმებისათვის აგზავნიდნენ თვითმფრინავებითა და გემებით ჩამოსულებს.

ასეთი იყო მაშინდელი მდგომარეობა. ამის საფუძველზე შეიქმნა ჩემი ცხოვრებისეული მოთხოვნები. მეორე მსოფლიო ომის დროს კონტრდაზვერვის მუშაობის პირობები ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე 1914 წელს, როცა დიდი გარჯის გარეშე დააატორრეს ხმელა გერმანული ჯაშუში და ვერც ერთმა „ლტოლეულმა“ ვერ შეძლო ხელიდან გასხლტომოდა კონტრდაზვერვას.

1940 წლის მაისში ინგლისის საქებადეაციო ჯარები მზად არ იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანელთა შემოტევისათვის. არც კონტრდაზვერვა გრძნობდა თავს ძლიერად. მას უნდა გაეთვალისწინებინა წარსული წლების მწარე გამოცდილება, თორემ ახლა თითოეული შეცდომა შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო.

**მეორე თავის დამატება
(გამომძიებლის სამახსოვრო)**

1. პირადი ნიშნების ბასნივება. ჩვენ არასოდეს ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოძიებაში მყოფის ნივთების გულდასმით გასინჯვა და ამას სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ. სანამ პრალდებულს შევხვდებოდეთ საჭიროა მისი პირადი ნივთების გულდასმით გასინჯვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უბის წიგნაკის ჩანა-

წერებს, დღიურებს და საერთოდ ქაღალდის ყოველ ნაგლეჯს, რომელზეც რაიმე წერია.

გულდავულ უნდა იქნეს შესწავლილი თითოეული ნაყუწი, პაპიროსიცი კი.

გაუგებარი ჩანაწერები უნდა გადაორჩეს და პირველად დაკითხვის შემდეგ გამოძიებაში მყოფს მასზე ახსნა-განმარტება მოეთხოვოს. ყველა მისამართი უნდა ჩაინიშნოთ და მასზეც განმარტება მოითხოვოთ. თუ ნივთებში წიგნებიც ურევია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფორზაცებს. თუ წიგნს შემოხვეული აქვს ქაღალდი, იგი უნდა მოხსნათ, თუ ფურცლის კუთხე ჩაეცილია, საჭიროა მისი ყურადღებით გასინჯვა — მასხედ შეიძლება იყოს ნიშნები და ნასვრეტები.

ლექსიკონების აღმოჩენის შემთხვევაში, გადაშალეთ გვერდები, სადაც ახალი ასოები იწყება და გასინჯეთ ამ ასოს ზევით ან ქვევით ხომ არ არის რაიმე ნიშანი.

აუცილებლად შეამოწმეთ ასანთის კოლოფის შიდა ნაწილი ღეროების გადმოყრის შემდეგ. გამოძიებელს მხედველობის გარეშე არ უნდა დარჩეს ქიმიური ნივთიერებანი და პატენტია-ნი წაძლები, ფხვნილები და აბები.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ზამბას, ხის კბილსაჩიჩქნებს და უბის წიგნაში ჩადებულ ფორთოხლის ხის ჩხირებს.

გულდასმით შეამოწმეთ ნახშირი გადასალეები და საშრობი ქაღალდები; შეიძლება სწორედ მათი შემოწმებით მიიღოთ მნიშვნელოვანი ცნობები.

II. პირველი დაპითხვა. ა) საერთო დებულება.

გამოძიებაში მყოფის პირველი დაკითხვა არ უნდა ატარებდეს დაკითხვის ფორმას. სთხოვეთ მას, რაც შეიძლება დაწვრლებით მოგიტხროთ თავის თავზე და მოგზაურობაზე.

გამოძიებელმა თავზიანობა უნდა გამოიჩინოს და არ გამოხატოს სიტყვით ან ქცევით ეჭვი. განცვიფრება და ა. შ. გარდა, ვფიქრობ, ალტაცებისა.

საჭიროა აშკარა ტყუილისა და ტრახახის წაქეზება. არ უნდა გამახვილო ეჭვიმტანილის ყურადღება მის ნაამბოში არსებულ წინააღმდეგობებზე.

თუ ეჭვიმტანილისა და მასთან ერთად დაკავებული პირების ჩვენებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, არასოდეს არ მიუთითოთ მას ამაზე პირველი დაკითხვის დროს.

რაც უფრო მეტი წინააღმდეგობაა დაკითხვლის ჩვენებაში, მით უფრო ოსტატურად უნდა მოაჩვენოს გამოძიებელმა, რომ სავსებით სჯერა მისი. არ უნდა მისცეს ისეთი კითხვები და შენიშვნები, რომლებიც ეჭვიმტანილის ყურადღებას გამახვილებს და აგრძნობინებს, რომ მისი



• რ სჭერათ. თუ დაკითხვის ბოლოს ნათელი გახდება, რომ ექვმიტანილის ჩვენება გულწრფელია, ხოლო საქმე ასე თუ ისე — ჩვეულებრივი, მაშინ შეგიძლიათ დაიწყეთ ჯვარედინი დაკითხვა და მისცეთ მას სურვილისამებრ საჭირო კითხვები. თუ თქვენ დარწმუნდებით, რომ დასაკითხი პიროვნება პატიოსანი ადამიანია და აღარ არის საჭირო მისი ხელმეორედ დაკითხვა, შეგიძლიათ გაათავისუფლოთ იგი.

თუ ნაამბობის რომელიმე პუნქტი ექვს იწვევს, მაშინ ამით დაასრულეთ პირველი დაკითხვა.

ბ) ანგარიშგება. ანგარიშგების დროს საჭიროა ჩვეულებრივი მონაცემების გარდა, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაბარაკი, უჩვენო შემდეგი:

1. დასაკითხის სარწმუნოება.
2. ეკუთვნოდა თუ არა ის რომელიმე პოლიტიკურ პარტიას (ან პროფკავშირს), და თუ ეკუთვნოდა, — რომელს.
3. იცის თუ არა ექვმიტანილმა უცხო ენები; და თუ იცის, — რომელი და რამდენად.

ნურასოდეს დაიწყებთ ანგარიშის შედგენას წინადადებით, რომ ეს ადამიანი თქვენზე კარგ (ან ცუდ) შთაბეჭდილებას ტოვებს.

შთაბეჭდილება მაცდუნებელია. მოხერხებულნი ვართ თქვენზე, როგორც წესი, ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს.

მსოფლიოში განთქმულმა კრიმინალისტმა აღიარა ერთხელ, რომ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მასზე მოახდინა ქალმა, რომელმაც დაზღვევის პოლისით ფულის მიღების მიზნით მოწამლა საკუთარი ბავშვები. ყველაზე არახელსაყრელი შთაბეჭდილება კი შეუქმნა ცნობილმა ფილანტროპმა და რეფორმატორმა.

თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ დაკითხულის ჩვენებით ნუ მიიღებთ საბოლოო დასკვნებს.

განსაზღვრეთ ექვები, საწინააღმდეგო მოსაზრებანი და ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი. თუ უნარი შეგწევთ ლოგიკურად ახსნათ ყველა ფაქტი, რაც შეიძლება დაწვრილებით გააკეთეთ ეს და რეკომენდაცია გაუწიეთ, რომ ექვმიტანილი შემდეგი დაკითხვებისათვის დააკავონ. თუ თქვენ ძალას აღემატება ასეთი ახსნა-განმარტების მიცემა, სხვა გამომძიებელს თხოვეთ თავისი აზრი გამოთქვას თქვენთვის საინტერესო საკითხზე.

პირველი დაკითხვის შემდეგ აუცილებელია ექვმიტანილზე დაწესდეს თვალყურის დევნება. მთავარია ამაზე ბევრი დრო არ დაიკარგოს, რადგან მეთვალყურეობის შედეგები დიდ დახმარებას უწყვენ გამომძიებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მეორე დაკითხვისათვის იქნება წარდგენილი.

III — მეორე დაკითხვა. მეორე დაკითხვის

წინ, თუკი პირველი სხვა გამომძიებელმა ჩაატარა, შესწავლეთ ამ დაკითხვის ანგარიში.

გახსოვდეთ, რომ საჭიროა სიფხიზლე, თორემ ადვილად შეიძლება მოექცეთ წინასწარგანზრახულ თუ უნებური ვარაუდის გავლენის ქვეშ.

ფაქტები, რომლებიც პირველ გამომძიებელს მნიშვნელოვნად მიუჩნევია, დაწვრილებითაა გაშუქებული, მისი აზრით ნაკლებმნიშვნელოვანი ან სრულიად უმნიშვნელო კი იგნორირებულია.

ფაქტების შეფასება, რომელსაც პირველი გამომძიებელი იძლევა, მეორემ არ უნდა მიიღოს როგორც რაღაც უცილობელი.

საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი მეორე დაკითხვის წინ აუცილებლად უნდა გადაისინჯოს. მასთან საჭიროა თითოეული ფაქტი ცალკეულად შეფასდეს. თქვენ აღმოაჩინეთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომელსაც პირველმა გამომძიებელმა ყურადღება არ მიაქცია.

ხანდახან აუცილებელია გაბრაზებული გამომეტყველების მიღება, მაგრამ სინამდვილეში არასოდეს არ დაკარგეთ წონასწორობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები დასვით პირდაპირ.

მოულოდნელ კითხვას ისეთივე შედეგი აქვს, როგორც ჩასაფრებულ თავდასხმას.

შეძლებისდაგვარად ეს შეტევა უნდა წარმოადგენდეს არა შეკითხვას, არამედ მტკიცებას.

თუ თქვენ, მაგალითად, დარწმუნებული ხართ, რომ პიროვნებას ამა თუ იმ ქალაქში კავშირი ჰქონდა გერმანიის კონსულთან, ნუ შეეკითხებით: „როდის იყო ყოფილხართ გერმანიის კონსულთან ამა თუ ამ ქალაქში?“ ამის ნაცვლად შეეკითხეთ: „როდის იყავით უკანასკნელად გერმანიის კონსულთან ამა და ამ ქალაქში?“

ასეთი შეკითხვების დასმა საჭიროა მოულოდნელად, წინა საუბრისგან დამოუკიდებლად; ამასთან დააკვირდით ექვმიტანილის ხორხს და ქუთუთოებს.

თუ დასაკითხის ჩვენებაში საეჭვო ან მნიშვნელოვანი აღვლებია, მათ თანამიმდევრულად ნუ გარჩევთ, მაშინვე შეუდგებით ჯვარედინ დაკითხვას, ერთი საკითხიდან მეორეზე გადასვლით.

ვიდრე ჯვარედინ დაკითხვაზე გადახვიდოდეთ, დაადგინეთ რა კაცია დასაკითხი და მას სათანადოდ მოექცით.

ზოგიერთ ადამიანზე ზემოქმედება შეიძლება უხეშობით. ამიტომ წინასწარ განსაზღვრეთ, რომელი მეთოდით სჯობია ამ პიროვნებაზე ზემოქმედების მოხდენა — უხეშობით, სარკაზმით, თავაზიანი მოქცევით თუ თანაგრძობის გამოხატვით.

ლეგენდა ლეგენდაში

პირველი დაკითხვის ანგარიშიში გამოძიებელს შეუძლია შემოგთავაზოთ ამ ადამიანის დაკავება იმ დრომდე, სანამ მისი ჩვენების განსაზღვრული ფაქტი, ან ფაქტები, რომლებიც გამოძიებელს უცნაურად ან გამოგონილად ეჩვენა, არ იქნება გამორკვეული.

ასეთ შემთხვევებში თქვენ განსაკუთრებული სიფხიზლე გმართებთ, რადგან შეიძლება მოისმინოთ ეგრეთ წოდებული „ლეგენდა ლეგენდაში“, რომელსაც აგენტი „ყოველი შემთხვევისათვის“ სწავლობს.

ახლა მავალითად აგიხსნით, თუ რა იგულისხმება ამაში.

სწარმოებს მეზღვაურის დაკითხვა. ის ყველა როგორ გაიქცა ოკუპირებულ ტერიტორიიდან, სადაც რვა თვის განმავლობაში არაფერს აკეთებდა, რადგან არ უნდოდა ნაცისტებისათვის ემუშავა, როგორ ცდილობდა იგი რომელიმე იატაკქვეშა ორგანიზაციასთან დაკავშირებას და ა. შ. ბოლოს და ბოლოს მან გაქცევა მოახერხა და ესპანეთისა და პორტუგალიის გავლით ჩვენამდე მოაღწია.

ნაამბობი სინამდვილედ გეჩვენება. მეზღვაური დამაჯერებლად ლაპარაკობს, თავი მშვიდად უჭირავს და „კარგ შთაბეჭდილებას“ ტოვებს.

მაგრამ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, (და ეს ხდება მეორე დაკითხვის მიზეზი), რომ ამ „უმუშევარს“ თან ჩამოჰყვა ორმოცდაათი ფუნტი ინგლისური სტერლინგი და ორასი ამერიკული დოლარი.

საიდან აქვს უმუშევარს ამდენი ფული? თავდაპირველად მან მიპასუხა რომ ეს მისი დანაზოგია.

პირველმა გამოძიებელმა სრულიად კანონიერად არ დაიჯერა ეს და მოითხოვა მისი დაკავება საექვო ფაქტის გამორკვევამდე.

შემდეგ მეზღვაური იწყებს მეორე ლეგენდის მოყოლას.

დიდი ზემოქმედებისა და ხანგრძლივი მერყეობის შედეგად ის აცხადებს: „სერ, ვხვალა აზრი არა აქვს თქვენს მოტყუებას. სიმართლეს გეტყვი: მე ქურდი ვარ“.

და მეზღვაური დაწვრილებით ჰყვება როგორ გაძარცვა ქალი, რომელმაც შეიკვდლა იგი დამით, როგორ მოჰპარა მას ბრილიანტები და შემდეგ გაყიდა შავ ბაზარზე.

საზოგადოდ ყველა ჩვენგანის მიდრეკილებად ავიჯროთ ექვმიტანილის ყოველგვარი განცხადება, რაც მის არასასარგებლოდ მეტყველებს. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორია.

თუ გამოძიებელი დაიჯერებს მეორე ლეგენდას, მაშინ პირველი ანგარიშის საექვო ფაქტი გამორკვეული აღმოჩნდება; მაგრამ რადგან ჩვენ მხოლოდ უშიშროების საკითხები გვანტერესებს, ეს საქმე როგორც ინტერესმოკლებული შეწყდება და პიროვნებას გაათავისუფლებენ.

ლეგენდის შემთხვევლი თავის გმირს არასოდეს წარმოგვიდგენს, ყოველმხრივ შემკობილად.

ერთ ლეგენდაში ჩვეულებრივ აღმოჩნდება ხოლმე მეორე, რომელიც აშკარად ექვმიტანილის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ასეთ შემთხვევაში მას მეტი შანსები აქვს, რომ დაუჯერებენ. ამიტომ ის თავს ასალებს ქურდად, მკვლელად, სუტენერად და ა. შ.

ასეთ ლეგენდას ლეგენდაში უნდობლად უნდა მოექცეთ. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ პიროვნების გამომეტყველებაში ერთგვარ წარმატებას მიღწევით და ის სიმართლეს ლაპარაკობს, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. ხშირად სწორედ ასეთი ადამიანი აშკარად ექვმიტანილად უნდა მიიჩნიოთ.



ქართული საბჭოთა მთავრობის

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით შენაშენი*

სარეცენზიო ნაშრომი პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების შესახებ. მართალია, ეს პრობლემა მეტნაკლებად განხილულია ქართულ საბჭოთა ისტორიულ და იურიდიულ ლიტერატურაში (ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის, ი. კაჭარავას, ა. ძიძიგურის, ნ. მახარაძის, ი. მირცხულავას, გ. უვანიას, გ. ერემოვის, გ. ბრეგვაძის, ი. ახალაის, მ. ჯიჯუაშვილის, ა. სურგულაძის, კ. წერეთლის, დ. გოგონიას, უ. ბახტაძის, ლ. თოიძის და სხვ. ავტორების შრომებში), მაგრამ იგი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.

დიდძალი საარქივო დოკუმენტების გამოვლინების, სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა მთელი რიგი საკითხების ორიგინალურ და საინტერესო მეცნიერულ გადაწყვეტას. ასე, მაგალითად, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებანი, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორია, რევკომების არსის გაგება, საკითხი აფხაზეთის, აჭარის სახელმწიფოებრიობის, საქართველოს რესპუბლიკის ფერადაციული ხასიათის შესახებ და სხვ. მონოგრაფია დაწერილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა საფუძველზე. მასში გამოყენებულია დიდძალი პარტიული და სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი საარქივო მასალა, სხვადასხვა სახის ლიტერატურა, პერიოდული პრესა.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან.

შესავალ ნაწილში მოცემულია ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა.

ავტორი საინტერესოდ უჩვენებს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ ბუნებას, საქართველოს სსრ ჩამოყალიბებას სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოდ, რსფსრ და საქართველოს სსრ ურთიერთდამოკიდებულებას სსრ კავშირის შექმნამდე, საქართველოს სსრ უფლებრივ მდგომარეობას ამიერკავკასიის ფედერაციასა და სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ნაშრომში დახასიათებულია ამიერკავკასიის ნაციონალისტური პარტიების კონტრევოლუცი-

ური ბლოკის და კოალიციური ბურჟუაზიული მთავრობის კრახი, მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მარცხი. იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ საქართველოს ე. წ. „დემოკრატიული“ რესპუბლიკის ოკუპაცია, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევა, ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბება, ახალი კონსტიტუციის მიღება. ნაშრომში დეტალურად და საფუძვლიანად განხილულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, მიმართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისაკენ აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ-ოსეთში. ავტორი ცხადყოფს რსფსრ მხრივ საქართველოს მშრომელებისათვის გაწეული უანგარო დახმარების უდიდეს მნიშვნელობას ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენობის უზრუნველსაყოფად, ნაშრომში ვრცლად არის განხილული საქართველოს სსრ მთავრობის საგარეო პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ეროვნული სამხედრო ნაწილების ფორმირება და სხვ.

ასეთია მოკლედ ნაშრომის აღნაგობა და მთავარი შინაარსი.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება მიმდინარეობდა კამიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საერთო კანონზომიერების საფუძველზე, მაგრამ მას ჰქონდა თავისი სპეციფიკაცია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა საქართველოს რევკომების საკითხი, რომელიც უკანასკნელ ხანს სადისკუსიო გახდა. ზოგიერთი ავტორი ცდილობს დამტკიცოს, რომ რევკომები საქართველოში წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმას, ზოგს კი ისინი გარდამავალ ფორმად მიაჩნია. ავტორი ასაბუთებს, რომ რევკომები არ წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის არც ახალ და არც გარდამავალ ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით არსებობდნენ, მაინც ყველაზე რუსეთისა თუ საქართველოშიც წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს. მათს

* В. Мерквиладзе, Создание и укрепление Советской государственности в Грузии (1921—1936), изд. «Сабчота Сакартвело», Тб., 1969 г.

ფუნქციას შეადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრება. ლენინის მიერ აღმოჩენილი საბჭოები პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენდნენ, და, რა თქმა უნდა, საქართველოს არ დასტირვება სხვა ფორმის გამოძებნა, რევიკომები, როგორც დროებითი საგანგებო ორგანოები, ასრულებდნენ საბჭოების როლს და ფუნქციას. ამასთან ნაწარმოში მოცემულია საქართველოს რევიკომების ზოგიერთი თავისებურების დახასიათება.

ნაწარმოში საფუძვლიანად ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის როლი, რსფსრ-სა და სხვა მოძმე რესპუბლიკების დახმარება საქართველოსადმი ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა-განმტკიცების საქმეში.

ნაწარმოში სათანადო ადგილი უჭირავს ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების მხილვას. ავტორი ცხადყოფს, რომ საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა-განმტკიცება მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლის ლენინური ხაზიდან გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.

ნაწარმოში ყველა საკითხი გარჩეულია სათანადო მეცნიერული სიღრმით. იგი დაწერილია გამართული ენით და ინტერესით იკითხება.

ამასთან გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა:

1. ნაწარმის სტრუქტურა კარგია, მაგრამ, ჩვენი აზრით, შესაძლებელი იყო ზოგიერთი პარაგრაფის გაერთიანება. ასე, მაგალითად, მეორე თავის მესამე პარაგრაფი ეხება საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისაკენ აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში, ხოლო ამავე თავის მეოთხე პარაგრაფი ეხება ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფა პოლიტიკური უფლებებით, მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარება (იხ. გვ. 137-182). აქ არსებითად ერთსა და იმავე საკითხთან გვაქვს საქმე. ამიტომ გაუმართლებლად გვეჩვენება მათი ცალკე განხილვა.

2. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიო-

ბის შექმნა და განმტკიცება საქართველოში ამავე დროს ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესია, ასე რომ ეს ორი თემა არსებითად ერთ მთლიან პროცესს — საქართველოს სსრ შექმნასა და განმტკიცებას გულისხმობს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთი მოვლენის ორ მხარესთან, რომლებიც ორგანულად არიან დაკავშირებული და მათი გამოყოფა არც ისე ადვილია. ნაწარმოში უმთავრესად პირველი მხარეა (ნაწარმის სახელწოდების შესაბამისად) გამოუქმებული, მეორე მხარე კი არასაკმაოდ არის განხილული.

3. სასურველი იქნებოდა ავტორს მეტად გაემხვილებინა ყურადღება საქართველოში კლასთა შორის დამოკიდებულებაზე, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირზე, როგორც საქართველოს სსრ სოციალურ დასაყრდენზე. ნაწარმოში ხალხთა მეგობრობის მნიშვნელობას თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი. ეს ბუნებრივად არის, მაგრამ მეგობრობა ხომ ამ ორი კლასის კავშირზეა აგებული. ამდენად საინტერესო იყო იმის ჩვენება, თუ როგორ განმტკიცებდა ეს კავშირი საბჭოთა ეროვნულ სახელმწიფოებრიობას საქართველოში.

4. ნაწარმის მეორე თავის მესამე პარაგრაფში, რომელშიც გამოუქმებულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში (გვ. 137-182), ავტორი არასაკმარისად ასაბუთებს, თუ რით იყო განხორციელებული თავიდანვე აფხაზეთის აღიარება სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად და არა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

ეს შენიშვნები არ ამცირებენ ნაწარმის ღირსებას.

სასურველი იქნებოდა ამ წიგნის გამოცემა ქართულ ენაზე.

სარეცენზიო ნაწარმი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო შენაძენია.

გ. გამსახაშვილი,

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი.**

აქტივის კრებულზე

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურის ინიციატივით მოწვეული იქნა პარტიის რაიონული აქტივის კრება, სადაც განიხილეს სოციალისტური საკუთრების გატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

კრებას ესწრებოდნენ რაიკომის პლენუმის წევრები, რაიონის წარმომება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტორგანიზაციის მდივნები, ადმინისტრაციული დარგის მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანმა **ვ. ხოდელმა**.

მოსენებით „სოციალისტური საკუთრების გატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ — გამოვიდა რაიონის პროკურორი **ა. გეგია**.

უკანასკნელ ხანს, ამბობს მომხსენებელი, რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა გაფლანგვა-გატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სამწუხაროდ, კიდევ ვხვდებით აღნიშნულ დანაშაულობათა ფაქტებს, გარკვეული დროის განმავლობაში გამოუმუქდავებელი რჩებიან სახალხო ქონების გამტაცებლები, მექრთამეები.

სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცება განსაკუთრებით თავს იჩენს იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც სათანადოდ არ წარმოებს აღრიცხვა-ანგარიშგება და სამეურნეო ოპერაციები, არ არის დაწესებული კონტროლი მასალებისა და ნედლეულის ხარჯვაზე, საქონლის გაცემაზე, საჭირო სიმაღლეზე არ ღვას მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და სარევიზიო მუშაობა, მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობენ ადრე მსჯავრდებული პირები. სწორედ ამ პირობებში მოხდა სახალხო დოვლათის საკმაოდ დიდი თანხით გაფლანგვა-გატაცება ადგილობრივი მრეწ-

ველობის სამინისტროს თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში, „საქნილობოსტანგვაობაში“, № 1 წისქვილოკომინატსა და სხვ.

ჩვენი რაიონის ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციაზე ჯერ კიდევ ვხვდებით რეკლამაციებს. ქარხანა „თბილხელსაწყობი“ მიმდინარე წლის ექვს თვეში მიიღეს 21 რეკლამაცია 49 ხელსაწყობზე, ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანში“ ამ დროის მანძილზე 319 რეკლამაცია მიღებული.

მომხსენებელი ლაბარაკობს ფაბრიკა-ქარხნების მიერ სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობაზე, ტექნიკური მოწყობილობის უყაირათო გამოყენებაზე, რკინიგზის ვაგონების მოცდენაზე, რის გამოც ორგანიზაციები იხდიან ჯარიმებს დიდი ოდენობით.

დიდია და გადამწყვეტი ადმინისტრაციული ორგანოების როლი სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მექრთამეობის აღმოფხვრის საქმეში. მჭიდრო, საქმიანი კონტაქტი უნდა დამყარდეს წარმომება-დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, სარევიზიო საკონტროლო ჯგუფებთან, სისტემატური ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს სახელმწიფო ქონების გატაცებისა და მექრთამეობის ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად.

მოსენების დასასრულს აშხ. ა. გეგიამ აღნიშნა, რომ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები საზოგადოების მხარდაჭერით ყველაფერს გააკეთებენ მათზე დაკისრებული ამოცანების პირნათლად შესრულებისათვის.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი **მ. ჯაფარიძე**, 26 კომისრის რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე **ვ. ვამალაძე**, სახალხო მოსამართლე **ტ. გაბუნია** და სხვ.

პარტიის აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი ღონისძიება.

ლ. ისაბაძე

იურისპრენსულტების რესპუბლიკური თაობიერი

ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში განლაგებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა იურისკონსულტების თათბირ-სემინარი. სემინარის მონაწილეებისათვის წაკითხული იქნა მოხსენებები:

1. საარბიტრაჟო პრაქტიკა მეურნეობის ახლებურად გაძღოლის პირობებში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი კონსულტანტი მ. დედინანი).

2. სიახლენი შრომის კანონმდებლობაში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნ. წმრემელი).

3. ცვლილებები სატრანსპორტო კანონმდებლობაში (ამიერკავკასიის რეინიგზის იურიდიული განყოფილების უფროსი პ. პალანტაროვი).

თათბირზე მოისმინეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო

ფო არბიტრაჟის იურისკონსულტთა რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის ნ. წერეთლის ანგარიში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის იურისკონსულტმა ვ. სიხარულიძემ, აფხაზეთში იურისკონსულტმა ვ. ტყეშელაშვილმა, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის იურისკონსულტმა ნ. ხიდაშელმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურისკონსულტმა მ. დიდიშვილმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის იურიდიული ბიუროს გამგემ ს. შონიძემ და სხვ.

არჩეული იქნა იურისკონსულტთა რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭოს ახალი შემადგენლობა, საბჭოს თავმჯდომარედ — ნ. წერეთელი.

თეატრი საღამო

ქ. ზუგდიდის პროკურატურამ ენგურქალაქის კომპოზიტორის კომიტეტთან ერთად საწარმოს მუშა-ახალგაზრდობისათვის მოაწყო თემატური საღამო დევიზით — „ვისწავლოთ საბჭოთა კანონები და განუხრელად შევასრულოთ ისინი“.

თემატური საღამო გახსნა კომპოზიტორის კომიტეტის მდივანმა მ. ნაჭყვებია.

მოსხენებით „საბჭოთა კანონები და ჩვენი ახალგაზრდობა“ გამოვიდა ქ. ზუგდიდის პროკურორი პ. ნარმანიძე. მან გააანალიზა დანაშაულებრივი ფაქტები ზუგდიდის სინამდვილეში, ყურადღება გაამახ-

ვილა პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობაზე.

დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებს შეეხნენ აგრეთვე თანამომხსენებლები შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილების უფროსი მ. კოლუა, ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე პ. ჭანტურია.

თემატურ საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ კომპოზიტორის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ჭიჭინაძე, შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორ-



ტო მაგიდის უფროსი მ. პილასონია, კომ-
ბინატის მექანიკოსი ო. ქარჩავა, კომბინა-
ტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის
მოადგილე ნ. მორგოშია.

შემოსულ შევითხვებზე პასუხი გასცა
პროკურორმა კ. ნარმანიამ.

ა. ზარაშია,

გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციის
თანაშრომელი.

თათბირი შრომის კანონმდებლობის დანაშაულის თაობაზე

საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლოს
სხდომათა დარბაზში გაიმართა ქალაქის წა-
რმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებ-
ის, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯ-
დომარეების, სახალხო სასამართლოსა და
შინაგან საქმეთა საჩხერის რაიონული გან-
ყოფილების მუშაკათა თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საჩ-

ხერის რაიონის პროკურორის, იუსტიციის
უმცროსი მრჩეველის ბ. ბაფრინდაშვილის
მოხსენება — „შრომის კანონმდებლობის
შესრულების მდგომარეობაზე“.

მოხსენების შემდეგ გ. გაფრინდაშვილმა
პასუხი გასცა შემოსულ კითხვებზე.

ბ. ანასაშვილი



ძველი სპარსეთის მეფე კამბიზის სამეფოს უმაღლესი მოსამართლე გამოუსწორებელი მექრთამე იყო. მეფე და სამეფო კარი ბევრს ეცადნენ გამოესწორებინათ იგი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ მძვინვარე კამბიზმა ბრძანა: „მექრთამე მოსამართლე ცოცხლად გაატყავეთ და მისი ტყავი მისივე სავარძელს გადააკართო“.

ბრძანება შეასრულეს.

მეფემ მოიხმო დასჯილი მოსამართლის შვილი და უბრძანა: „მამაშენის ადგილი შენ გეკუთვნის, მას არავინ გეცილებს, მხოლოდ გახსოვდეს სავარძელს ვისი ტყავი აქვს გადაკრული“-ო.



როდესაც ფილოსოფოსმა სოკრატმა ჯალათს გამოართვა საწამლავი დასალევად, მისმა ცოლმა ქსანტიპამ ტირილი დაიწყო და შეჰკვივლა: „ვარი უდანაშაულოდ გკლავენო“.

— „ნუთუ შენთვის საამური იქნებოდა, რომ დანაშაულისათვის მოვეკალიო“, — დინჯად უპასუხა სოკრატმა და საწამლავი დალია.



ერთხელ საბერძნეთის მეფე ფილიპე მაკედონელი ბრალდებულის საქმეს არჩევდა. პირი ბრალდებას უარყოფდა. სასამართლო პროცესზე ფილი-

კეს ჩაეძინა და ბრალდებულის გამამართლებელ საგუთებს ყურადღება ვეღარ მიაქცია. როდესაც მეფემ მას მსჯავრი დასდო და სასჯელი გამოუტანა, მსჯავრდადებულმა წამოიძახა: „მე უჩივლელად არ დავტოვებ ამ საქმესო“.

„მერე ვისთან იჩივლებ?“ — შეუტია წყრომით ფილიპემ.

— „თვითონ ხელმწიფესთან, თუ კიდევ არ ჩაეძინება გასამართლების დროს.“

ფილიპეს ისე მოეწონა ეს სიტყვები, რომ არა თუ გასაჩივრების ნება მისცა მას, არამედ საქმის ხელმეორედ გარჩევის დროს დიდი ყურადღებით მოუსმინა მას და ბრალდებული გაამართლა.



სპარტაში ყოველ წელს დიდთა სახელმწიფოთა საქმეთათვის სამას წარჩინებულ კაცს ირჩევდნენ.

სახელგანთქმულმა სპარტანელმა სპედარეტმა ერთხელ კენჭი იყარა და სამასთა შორის არჩეული არ იქნა, მაგრამ კრებიდან მაინც მხიარული სახით გამოვიდა.

„ასე რა გამხიარულებს?“ — ჰკითხეს სპედარეტს ზოგიერთებმა.

— „მე ის მიხარია, რომ დღეს ჩემდა სასიამოვნოდ დავინახე ჩემს ქვეყანას — სპარტას სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰყოლიაო“ უპასუხა უანგარო მამულიშვილმა.

სამოსის ელჩებს უნდოდათ აეძულებინათ სპარტანელი პოლიკრატისათვის ომი გამოეცხადებინათ. ამიტომ სპარტანელთა მეფე კლეომენის წინაშე ძალიან გრძელი სიტყვა წარმოსთქვეს. მეფემ მოისმინა რა სიტყვა უპასუხა „თქვენი სიტყვის დასაწყისი აღარ მახსოვს, ამის გამო სიტყვის შუა ადგილის აზრი არ მესმის. ხოლო რაც შეეხება დასასრულს, მაგას კი არ ვეთანხმებო.“



რომაელი სარდალი მან კურისი მიწა-ვაშლას ჭამდა. ამ დროს მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან საზინელნი მოვიდნენ და ქრთამად დიდძალი ოქრო შეაძლიეს.

— „იმ დრომდე, ვიდრე მე მიწა-ვაშლა მასაზრდოებს, თქვენი ოქრო ჩემთვის საჭირო არ იქნება“ — უთხრა უანგარო მამულიშვილმა.

შეკრიბა ვახტანგ სიღამონიძემ

ფასი 50 ლაზ.

0-7000
ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР